



განახლებულია 2018 წლის აპრილში

წლიური აუდიტის ფაილის ინდექსი

დამკვეთი/ნომერი: „მენ ოფ მუურგეთ (ხანადუ) ლიმიტიდ“ / MANN01

ბუღალტრული ანგარიშგების თარიღი: 20X7 წ. 30 ივნისი

განყოფილება **აღწერა**

-	პერიოდის ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგების ასლი
Aa	დასრულება
Ab	საკონსტროლო ჩამონათვალი
Ac	დაგეგმვა
Ad	ფინანსური ანგარიშგების პროექტი
B	გრძელვადიანი აქტივები – არამატერიალური აქტივები და გუდვილი
C	გრძელვადიანი აქტივები – ძირითადი საშუალებები
D / G	ინვესტიციები
E	მარაგი
F	დებიტორული დავალიანება
H	ფული ბანკში და სალაროში
I	კრედიტორული დავალიანება
J	გადასახადები
K	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
L	ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებებისა და ფინანსური მოვალეობების ანარიცხები
M	საკუთარი კაპიტალი და სადამფუძვნო ინფორმაცია
N	აუდიტის სხვა სფეროები
O	ამონაგები
P	პირდაპირი დანახარჯები
Q	სხვა შემოსავალი და შემოსულობები
R	სხვა დანახარჯები და ზარალი
S	ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული საკითხები
T	ოპერაციებისა და კონტროლის ტესტირება
U	საცდელი ბალანსი და შესწორებები
V	ინფორმაცია საბუღალტრო ანალიზის შესახებ

კომპანია „მენ ოფ მუურგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდ“

ზოგადი ინფორმაცია

ეს კომპანია „მენ ოფ მუურგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდის“ სიტუაციური ანალიზია, რომელსაც HAT იყენებს ტრენინგის მიზნებისთვის. კომპანია საცალო მოვაჭრეა, გაყიდვები აქვს როგორც ნაღდ ფულზე, ისე კრედიტით. ისინი ყიდნიან იურიდიულ და ბუღალტრული აღრიცხვის საცნობარო წიგნებს. კომპანია მდებარეობს მუურგეთში, ლონდონის ცენტრში.

კომპანია 1990-იან წლებში დაფუძნდა და იმდენად გაიზარდა, რომ ბრუნვა £10 მილიონს აღწევს. რადგან ვერ აკმაყოფილებს სავალდებულო აუდიტის ჩატარებისგან გამონაკლისის კრიტერიუმებს, ამიტომ საჭიროა გარე აუდიტის ჩატარება. ერთადერთი დირექტორი და აქციონერია მაიქლ მენი, რომელსაც ახლა დახმარებას უწევს მისი შვილი, ჯეიმს მენი, რომელიც კომპანიის გაყიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

რამდენიმე წლის წინ მაიქლ მენმა გადაწყვიტა მთლიანად ფლობილი შვილობილი კომპანია „მენ ოფ მუურგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდის“ ხანაღუში დაარსება, მსგავსი მომსახურების ხანაღუში გასაწევად.

„მენ ოფ მუურგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდის“ მართვა „ადგილობრივად“ ხორციელდება და მისი აღმასრულებელი დირექტორია დენი ჰიგინბოთამი. მაიქლ მენიც ასევე დირექტორია, ხოლო ჯეიმს მენი ხანაღუში განხორციელებული ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს და როგორც წესი, კვარტალში ერთხელ სტუმრობს ხანაღუს. მაიქლ მენს შეუძლია ფინანსურ მდგომარეობაზე თვალყურის დევნება, რადგან საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა „ქლაუდზეა დაფუძნებული“. კომპანიის შენობა-ნაგებობები მდებარეობს ვოთარპორტის როუდზე, ვოთარგარდენსის №10-ში.

კომპანია იმდენად წარმატებულია, რომ ბრუნვა აჭარბებს ხანაღუში დაწესებულ სავალდებულო აუდიტის ზღვარს. კომპანიის აუდიტორია „პეპე რინას“, რომელიც ქეიზმეითის მოედანზე, ICC-ის მე-11 სართულზე მდებარეობს. გაწეული არააუდიტორული მომსახურებებია მხოლოდ საგადასახადო შესაბამისობის მომსახურება, საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარსადგენად, კომპანიის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მომსახურება კომპანიების რეესტრში ინფორმაციის წარსადგენად და სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები „პეპე რინას“ სამუშაო დოკუმენტებიდან, რომლებიც შედგენილია HAT-ის აუდიტის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რათა სრულად აისახოს ხანაღუში არსებული მოთხოვნები ამ სამუშაო დოკუმენტებში. ამონარიდები მოიცავს ასევე აუდიტის დაგეგმვასა და დასრულებასთან დაკავშირებულ ყველა შესაფერის დოკუმენტაციას. ამასთან, აღნიშნულ სამუშაო დოკუმენტებში ნაჩვენებია, როგორ შეიძლება რეაგირება აუდიტის სამუშაო დოკუმენტების გავრცელებულ პრობლემურ საკითხებზე.

კომპანია „მენ ოფ მუურგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდის“ აუდიტის სამუშაო დოკუმენტები სიტუაციური ანალიზია ტრენინგის მიზნებისათვის და არა აუდიტის სამუშაო დოკუმენტების „ნიმუში“. მიაქციეთ ყურადღება, რომ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებსა“ და „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან“ შესაბამისობასთან ერთად სამუშაო დოკუმენტებში მოცემულია სცენარები, რომლებიც არ ასახავენ ფაქტობრივ ან მოსალოდნელ სიტუაციებს.

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ (ამონარიდი ფინანსური ანგარიშგებიდან)

20 X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნები	20X7	20X6
		CU	CU
შემოსავალი	2	2,660,480	3,055,725
პირდაპირი დანახარჯები		(1,991,859)	(2,154,238)
მთლიანი მოგება		<u>668,621</u>	<u>901,487</u>
ადმინისტრაციული ხარჯები		(542,820)	(615,677)
საოპერაციო მოგება	3	<u>125,801</u>	<u>285,810</u>
ფინანსური ხარჯები		(496)	-
მოგება დაბეგვრამდე		<u>125,305</u>	<u>285,810</u>
გადასახალი	5	(12,305)	(27,200)
ფინანსური წლის მოგება		<u><u>113,000</u></u>	<u><u>258,610</u></u>

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ (ამონარიდი ფინანსური ანგარიშგებიდან)

20 X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	20X7 CU	20X6 CU
გრძელვადიანი აქტივები ძირითადი საშუალებები	7	103,310	79,230
მოკლევადიანი აქტივები მარავი		229,045	187,700
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	120,913	144,122
ფული და ფულის ეკვივალენტები		<u>1,000</u>	<u>13,180</u>
		350,958	345,002
მოკლევადიანი ვალდებულებები: სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	(228,402)	(261,366)
		<u>122,556</u>	<u>83,636</u>
სულ აქტივები, შემცირებული მოკლევადიანი ვალდებულებებით		<u>225,866</u>	<u>162,866</u>
სააქციო კაპიტალი			
ჩვეულებრივი აქციები	10	100	100
გაუნაწილებელი მოგება	11	225,766	162,766
		<u>225,866</u>	<u>162,866</u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია საბჭოს მიერ
20X8 წლის 15 თებერვალს, რასაც საბჭოს სახელით ხელმოწერით ადასტურებს:

[ხელმოწერა]

მაიქლ მენი – დირექტორი

კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 04321

წლიური აუდიტის ფაილის ინდექსი

Aa

ნომერი: დასრულება

ინიციალები

1	აუდიტის კონტროლის ჩანაწერები		ს.ჯ.
2	გარდამავალი საკითხები მომდევნო წლისთვის		ს.ჯ.
3a	შემდეგი მოვლენების საკონტროლო სია		ს.ჯ.
3b	საკონტროლო სია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისთვის		ს.ჯ.
4	წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია		გ.პ.რ.
5a	ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილი		გ.პ.რ.
5b	პოტენციური საკითხები ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილისთვის		ს.ჯ.
6a	აუდიტის გარიგების პარტნიორის მიმოხილვის საკითხები	არ არის მოცემული	გ.პ.რ.
6b	გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის საკითხები		N/A
7	ასს-თან შესაბამისობის მნიშვნელოვანი საკითხების მემორანდუმი		გ.პ.რ.
8	საკითხები ხელმძღვანელობის მიმოხილვისთვის	არ არის მოცემული	გ.პ.რ.
9	ხელმძღვანელობასთან განსახილველი საკითხები	არ არის მოცემული	ს.ჯ.
10	ანალიზური პროცედურები და კომენტარი ფინანსურ ანგარიშგებაზე		ს.ჯ.
11	აუდიტის შეუსწორებელი შეცდომების რეზიუმე / შეტანილი შესწორებები		ს.ჯ.
12	საკითხები უფროსი აუდიტორის მიერ მიმოხილვისთვის		
13	დამკვეთთან შეხვედრის ოქმი		
14			
15			
16			

შენიშვნები:

შემსრულებელი:	სტიუარტ ჯეკსონი	თარიღი:	20X7 წ. 22 ოქტომბერი
მიმოხილველი:	ვარენ რობერტსი	თარიღი:	20X7 წ. 12 ნოემბერი
აუდიტის გარიგების პარტნიორის მიმოხილვა:	პეპე რინა	თარიღი:	20X8 წ. 3 თებერვალი

დამკვეთი: „ქენ ოფ ბუერგეთ (ხანაღუ) ლიმიტიდი“

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

აუდიტის კონტროლის ჩანაწერები

დაგეგმვა

- 1 „აუდიტორის საკონტროლო სიის კონტროლი“ დასრულდა და სათანადოდაა განხილული არააუდიტორული მომსახურება?
- 2 ფულის გათეთრებასთან მიმართებით ამ დამკვეთის სათანადო გულისხმიერების შეფასება მიმოხილული და განახლებულია, საჭიროების შემთხვევაში. ამასთან, თანამშრომლებთან განხილულ იქნა ამ შეფასებაში დოკუმენტირებული ყველა ძირითადი საკითხი?
- 3 გასული პერიოდის გარდამავალი საკითხები (მათ შორის წერილი ხელმძღვანელობისთვის და ფინანსური ანგარიშგება) განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა?
- 4 განხილულ იქნა თუ არა გასული პერიოდის აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცები და გათვალისწინებულ იქნა თუ არა შესაბამისი თანხები და ამ პერიოდში მოდიფიცირების ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის საჭიროება?
- 5 შეივსო თუ არა აუდიტის მუდმივი ფაილის საკონტროლო სია და დოკუმენტირებულია თუ არა ყველა დაშვება, რომელიც დამკვეთმა სააღრიცხვო შეფასებების გასაკეთებლად გამოიყენა?
- 6 ჩატარდა თუ არა წინასწარი ანალიზური პროცედურები და დაგეგმვამდე პროცესში დამკვეთის ჩართულობა სათანადოდ დოკუმენტირდა თუ არა?
- 7 სამეურნეო საქმიანობის თანდაყოლილი რისკი და კონტროლის გარემო შეფასდა თუ არა?
- 8 თანდაყოლილი რისკი მტკიცებულების დონემდე შეფასდა თუ არა თითოეული ჯგუფის ოპერაციების ან ნაშთებისთვის და ეს რისკები გათვალისწინებულ იქნა თუ არა აუდიტის პროგრამების შემუშავებისას?
- 9 კონტროლის ტესტირების დაგეგმვის შემთხვევაში კონტროლის რისკი მტკიცებულების დონემდე შეფასდა თუ არა თითოეული ჯგუფის ოპერაციების ან ნაშთებისთვის და შეფასდა თუ არა უფრო მაღალი დონის კონტროლი?
- 10 არსებითობა და სამუშაო არსებითობა გამოთვლილია?
- 11 დავალების შესრულების გეგმა მომზადებულია?

დიახ/არა /N/A	სამუშაო დოკ. მინიშნება / კომენტარი
✓	Ac2 Ac3
✓	
✓	Ac4 Ac5 Ac6
N/A	Ac14
✓	Ac7 / Ac8/2 PAF (A1/11)
✓	Ac8/1 Ac9
✓	Ac10
✓	Ac11
N/A	Ac12
✓	Ac13
✓	Ac14
✓	Tick and Bash LLP-ის - ჯგუფის აუდიტორი - წინაშე ანგარიშგება 04/18

12 არსებობს თუ არა ამ დამკვეთისთვის შესაფერისი სპეციფიკური ან დამატებითი ანგარიშგების მოთხოვნები (მათ შორის მშობელი საწარმოს აუდიტორებისადმი ანგარიშგება) და თუ ეს ასეა, სათანადო ყურადღება დაეთმო ამ მოთხოვნებს?

დაგეგმვა (გაგრძელება)

13 გამოთვლილ იქნა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა?

14 თანამშრომლებმა განიხილეს თუ არა თაღლითობა, რისკი და დაკავშირებული მხარეები, მათ შორის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევები და მათ აცნობეს თუ არა სხვა შესაფერის საითხებზე?

15 დაგეგმვის თაობაზე წერილი გაიგზავნა დამკვეთთან?

დიახ/არა /N/A	სამუშაო ღოკ. მინიშნება / კომენტარი
✓	Ac15
✓	Ac14 / Ac18
✓	Ac19

ჩანაწერები

16 მიმოხილულ იქნა თუ არა სისტემებისა და კომპიუტერული სისტემების მიმოხილვის საკონტროლო ჩამონათვალი და სათანადოდ იქნა თუ არა გათვალისწინებული რისკი, რომელსაც საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები წარმოქმნიან დამკვეთისთვის?

17 სააღრიცხვო სისტემისა და კონტროლის დეტალური აღწერა სათანადოდ გაკეთდა თუ არა თითოეული არსებითი საოპერაციო ციკლისთვის (მათ შორის მომსახურე ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციები)?

18 ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა იძლევა თუ არა სწორი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო საფუძველს და აუდიტურმა ფირმამ სათანადოდ შეისწავლა თუ არა სისტემები და კონტროლის მექანიზმები, რაც დადასტურებულია „თავიდან ბოლომდე გავლის” ტესტებით?

19 სათანადოდ იქნა თუ არა შესწავლილი ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ოპერაციებზე დაფუძნებული არ არის, როგორცაა მაგალითად ბიუჯეტები, მმართველობის ანგარიშგებები, შიდა აუდიტის ფუნქცია და სხვა?

20 აუდიტის ძირითად ფაილში მოცემული ინფორმაციისა და აუდიტორული ტესტების საფუძველზე აწარმოებენ თუ არა სათანადო აღრიცხვას?

21 კონტროლზე დაყრდნობის შემთხვევაში:
 ➤ კონტროლის ტესტებით დასაბუთებულია ეს დაყრდნობა?
 ➤ შეფასების პროცესში გამოვლენილ სუსტ მხარეებზე შემდეგში ჩატარდა თუ არა სათანადო ძირითადი ტესტები?

✓	B1 PAF
✓	B2-5 PAF
✓	B2-5 PAF
✓	PAF
✓	PAF
N/A	

საველე სამუშაო

- 22 საველე სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებულ იქნა თუ არა დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილი რისკები და სათანადოდ განხორციელდა თუ არა შესაბამისად მორგებული აუდიტის პროგრამები?
- 23 დაგეგმვის ეტაპზე გამოთვლილი შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა დაცული იქნა თუ არა და შერჩევის საფუძველი სათანადოდ აისახა თუ არა სამუშაო დოკუმენტებში?
- 24 პერიოდის ბოლოს ძირითადი ტესტები ასახავს თუ არა შიდა კონტროლზე ან შუალედურ ძირითად ტესტებზე დაყრდნობას?
- 25 ბუღალტრული აღრიცხვის თითოეულ სფეროსთან მიმართებით გაკეთებული დასკვნები სათანადოდაა ასახული თუ არა აუდიტის ფაილის შესაბამის ნაწილში?
- 26 აუდიტის ყველა პროგრამა სათანადოდ შესრულდა?

✓	Ac10-12
✓	Ac15
✓	
✓	წლიური აუდიტის ფაილის ნაწილები
✓	

საველე სამუშაო

- 27 მომზადებულია თუ არა სათანადო სამუშაო დოკუმენტები?
- 28 ყველა არსებითი ნაშთისა და ოპერაციის ჯგუფისთვის მოპოვებულია თუ არა სათანადო აუდიტორული მტკიცებულება თითოეული ძირითადი მტკიცებულებისთვის?
- 29 მოცემულია თუ არა აუდიტის საბოლოო, მიმოხილვის ეტაპზე გასარკვევი ყველა საკითხის ჩამონათვალი?
- 30 საწყისი ნაშთები და შესაბამისი თანხები სათანადოდ იქნა გახნილული თუ არა?

დიახ/არა /N/A	სამუშაო დოკ. მინიშნება / კომენტარი
✓	
✓	
✓	Aa
✓	U2

შესაბამისობა საყოველთაოდ მიღებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებთან

- 31 ფინანსური ანგარიშგების წარდგენის გამოყენებული საფუძვლები შესაფერისია კომპანიისთვის?
- 32 ფინანსური ანგარიშგება კრიტიკულად იქნა მიმოხილული თუ არა განმარტებითი შენიშვნების სათანადო საკონტროლო ჩამონათვალთან ერთად?
- 33 საწარმოს მიერ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები მიმოხილულ იქნა თუ არა და ისინი საწარმოს გარემოებებს საუკეთესოდ შეესაბამება თუ არა იმისათვის, რომ წარადგინონ უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი?
- 34 როდესაც გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, აღნიშნული გამჟღავნებული

✓	
✓	Ab1/ Ab2/Ab6
✓	Ac8/2 / N2 / S2
N/A	Ac3 / S4e

აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურების საზღაური შეაჯერეთ არააუდიტორული მომსახურების გაწევის ფორმაში ასახულ საზღაურთან.

მიმოხილვა და დასრულება

- 35 არსებითობისა და რისკის ფორმები განახლებულია და მენეჯერმა მიმოხილა აუდიტის საბოლოო ეტაპზე?
- 36 აუდიტის გარიგების პატნიორმა მიმოხილვისთვის შეაჯამა თუ არა აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილი შემდეგი საკითხები:
 - გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილებები;
 - მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით მიღწეული დასკვნები;
 - ძირითადი კონსულტაციები (როგორც შიდა, ისე გარე მხარეებთან);
 - ასს-ის მოთხოვნებიდან გადახვევა, როდესაც საჭირო იყო აუდიტის ალტერნატიული პროცედურების გამოყენება; და
 - როდესაც შეუძლებელი იყო ასს-ის მიზნის მიღწევა და ალტერნატიული პროცედურების შესრულება შეუძლებელი იყო, აღინიშნა სავარაუდო გავლენა აუდიტორის დასკვნაზე?
- 37 გარდამავალი საკითხები მომდევნო წლისთვის შეიცავს თუ არა ყველა შესაფერის საკითხს?

მიმოხილვა და დასრულება

- 38 შემდეგი მოვლენებისა და საწარმოს ფუნქციონირებადობის სათანადო მიმოხილვა ჩატარდა?
- 39 მომზადდა თუ არა ხელმძღვანელობის მიერ წარსადგენი ოფიციალური ინფორმაციის პროექტი?
- 40 აუდიტის შესწორებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა თუ არა დამკვეთს და შეთანხმდა თუ არა ეს შესწორებები, ასევე დამკვეთმა აღნიშნული შესწორებები შეიტანა თუ არა მომდევნო ფინანსური პერიოდის საწყისი ნაშთების კორექტირებისთვის?
- 41 მომზადდა თუ არა ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილის ასლი?
- 42 დასრულებისას ჩატარდა თუ არა ანალიზური პროცედურები?
- 43 ფინანსურ ანგარიშგებაში შეუსწორებელი შეცდომების არსებობის შემთხვევაში, ისინი უმნიშვნელოდ მიიჩნევა? თუ მიიჩნევა, რომ შეცდომები უმნიშვნელო არ არის, აისახა თუ არა ისინი ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ ოფიციალურ ინფორმაციაში?
- 44 თაღლითობის ან კანონმდებლობასთან შეუსაბამობის

დიახ/არა /N/A	სამუშაო დოკ. მინიშნება / კომენტარი
✓	Aa3a Aa3b
✓	Aa4
✓	Aa4, U3
✓	Aa5
✓	Aa10
✓	Aa11
N/A	N განყ.

გამოვლენის შემთხვევაში მიღებულ იქნა თუ არა სათანადო ზომები (მათ შორის სათანადო კომუნიკაცია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან და სათანადო ორგანოების ინფორმირება)?

1. შესრულებულია საველე სამუშაოს შემსრულებელი ყველაზე უფროსი აუდიტორის მიერ

დავასრულე ჩემი სამუშაოს შესრულება, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი და მჯერა, რომ სამუშაო დოკუმენტები სათანადოდ ამყარებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას, გარდა გადაუჭრელი საკითხებისა

ხელმოწერა: *სტიუარტ ჯეკსონი*.....თარიღი: *20X7 წ. 22 ოქტომბერი*.....

2. მიმოხილვის შესრულება მენეჯერის მიერ

დავასრულე ჩემი სამუშაოს შესრულება და მჯერა, რომ სამუშაო დოკუმენტები სათანადოდ ამყარებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას, გარდა გადაუჭრელი საკითხებისა.....

ხელმოწერა: *კორენ რობერტსი*.....თარიღი: *20X7 წ. 12 ნოემბერი*.....

3. მიმოხილვის შესრულება აუდიტის გარიგების პარტნიორის მიერ

დავასრულე შემდეგი დოკუმენტების მიმოხილვა:

- აუდიტის სამუშაო დოკუმენტები, მათ შორის:
 - მნიშვნელოვანი განსასჯელი საკითხები, განსაკუთრებით გარიგების შესრულებისას გამოვლენილ რთულ ან საკამათო საკითხებთან დაკავშირებული;
 - მნიშვნელოვანი რისკები; და
 - საკითხები, რომლებიც წარმომიდგინეს Aa7 ნაწილში.
- ფინანსური ანგარიშგება / დირექტორებისთვის გაგზავნილი ფინანსური ანგარიშგება.

მჯერა, რომ ისინი ამყარებენ გამოსათქმელ მოსაზრებას, გარდა Aa6 განყოფილებაში მითითებული საკითხებისა და აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

როდესაც შემოთავაზებულია არამოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმა, შემძლია დავადასტურო, რომ:

- აწარმოებენ სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერებსა და შესაფერისია იმ ფილიალების შესახებ მიღებული ინფორმაცია, სადაც ჩვენ არ ვყოფილვართ;
- ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ინფორმაციასთან;
- ჩვენ სრულად მივიღეთ ინფორმაცია და ახსნა, რომელიც საჭირო იყო ჩვენი

აუდიტისთვის;

- ფინანსური ანგარიშგება სათანადოაა მომზადებული ~~*ეროვნული საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების/~~ *ფასს-ის შესაბამისად და განმარტებითი შენიშვნების გამოკალისები სათანადოაა გამოყენებული;
- ფინანსურ ანგარიშგებასა და მასთან ერთად წარდგენილ სხვა ინფორმაციას შორის არსებითი შეუსაბამობები არ არსებობს;
- ეჭვს არ იწვევს ჩვენთვის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაციის / წარმოსადგენი ინფორმაციის საიმედოობა;
- არ არსებობს ასს-ის „მნიშვნელოვანი საკითხების შესაბამისობის მემორანდუმში“ (Aa7) ასახული საკითხები, რომლებიც განაპირობებენ აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირებას;
- შეუსწორებელი შეცდომების სახით ასახული საკითხები (Aa11), ცალკე ან ერთობლივად განხილვის შემთხვევაში, არ განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობას;
- აუდიტის სამუშაოზე შეზღუდვას არ ჰქონია ადგილი; და
- არ არსებობს საკითხები, რომელთა ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ასახვის სურვილი გვექნებოდა იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის წარგვედგინა დამატებითი ახსნა.

როდესაც ზემოაღნიშნულის დადასტურება შეუძლებელია, მიზანშეწონილია აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება* / მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის* / სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის* ასახვა მიზეზების გამო.

(* - წაშალეთ საჭიროებისამებრ)

ხელმოწერა: პეპე რიინა თარიღი: 20X8 წ. 3 თებერვალი

აუდიტის გარიგების პარტნიორმა ასევე უნდა უზრუნველყოს შესაფერისი დეკლარაციების გაკეთება Aa3b-სა - ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო სია - და Aa7-ის - ასს-თან შესაბამისობის მნიშვნელოვანი საკითხების მემორანდუმის - პირველ გვერდებზე.

საკითხები, რომლებიც უნდა გაირკვეს ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმოწერამდე:

დეტალური ინფორმაცია საკითხის შესახებ:

.....

დამკვეთის მიერ მოთხოვნილი თარიღი: 20X8 წ. 28 თებერვალი (ანგარიშგება ჯგუფის აუდიტორის წინაშე, Tick and Bash LLP, ამ თარიღამდე)

საჭირო ასლების რაოდენობა: 4

4. ხელმოწერამდე შესრულებულია აუდიტის გარიგების პარტნიორის მიერ

აუდიტის დასრულება

1 დაადასტურეთ, რომ არ არსებობს ისეთი საკითხები, რომლებმაც შეცვალა აუდიტორის საკონტროლო სიის (Ac2) რეგულირებასა და აუდიტის დამკვეთებისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევაში (Ac3) მოცემული ეთიკური განხილვები.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა გარკვეული საკითხები, გვაქვს თუ არა აუდიტორებად მოქმედების უფლება?

გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ნებისმიერი საკითხი, რომელმაც მიიპყრო აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება აუდიტორული ფირმის დამკვეთისგან დამოუკიდებლობის თვალსაზრისით;
- ნებისმიერი საკითხი, რომელმაც ფირმის ეთიკის პარტნიორის ყურადღება მიიპყრო, აუდიტორული ფირმის დამკვეთისგან დამოუკიდებლობის თვალსაზრისით;
- ნებისმიერი ახალი არააუდიტორული მომსახურება, რომელიც მოითხოვს ფორმის „აუდიტის დამკვეთებისთვის არააუდიტორული მომსახურებების გაწევა“ შევსებას;
- ნებისმიერი თაღლითობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხელმძღვანელობის პატიოსნებას.

2 მოხდა თუ არა აუდიტის შედეგად აღმოჩენილი ქვემოაღნიშნული ფაქტების განხილვა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან (დარწმუნდით, რომ ფაილში მოცემულია ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ/როდის შედგა კომუნიკაცია):

- აუდიტორის მოსაზრება კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების მიზანშეწონილობის შესახებ?
- აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობის შესახებ?
- მნიშვნელოვანი სირთულეები, მათი არსებობის შემთხვევაში, რომლებიც წარმოიშვა აუდიტის დროს?
- ოფიციალური წერილის საბოლოო ვარიანტი, მათ შორის ნებისმიერი არასტანდარტული აბზაცები, რომლებსაც აუდიტორი მოითხოვს ოფიციალურ წერილში, ასევე დანართები, რომლებშიც მოცემულია შესწორებული და შეუსწორებელი შეცდომები (საჭიროების შემთხვევაში)?

დას/არა /არ ეკისრება	მინიშნება საბუშაო დოკუმენტზე / კომენტარი
Y	Ac2, Ac3
Y	Aa5
Y	Aa5
N/A	
Y	Aa4
N/A	
N/A	Aa5
Y	Aa5
Y	
N/A	Ac2

- აუდიტორის ანგარიშში შესატანი მოსალოდნელი მოდიფიკაციები (იმ შემთხვევებში, როდესაც შეტანილ იქნა აუდიტორის მოდიფიცირებული მოსაზრება ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, განხილულ იქნა თუ არა აღნიშნული დირექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა აღნიშნულის თავიდან აცილება?)
- ხელმძღვანელობისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები?

- 3 გაეგზავნა თუ არა დამკვეთს ხელმძღვანელობის წერილი?
- 4 აღმოჩნდა თუ არა ორმხრივი კომუნიკაციის პროცესი აუდიტორებსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს შორის, საკმარისად ეფექტური დოკუმენტისთვის (ასს 260.22)?
- 5 თუ დაკმაყოფილდა ფირმის კრიტერიუმები, ჩატარდა თუ არა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა?

5. ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული მოსაზრება

გაირკვა თუ არა ინიციატორის სურვილისამებრ ყველა ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, დადასტურდა თუ არა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით შეცდომებს ან უზუსტობებს (და გადახედილ იქნა თუ არა ისინი აღნიშნულის წარმოსაჩენად)?..... დიახ

მოპოვებულ იქნა თუ არა ოფიციალური წერილი, რომელიც დათარიღებულია აუდიტორული ანგარიშის თარიღით ან უშუალოდ მისი წინა თარიღით, ან შეტანილ იქნა თუ არა შესაბამისი მოდიფიკაცია?..... დიახ

ვადასტურებ, რომ მხედველობაში იქნა მიღებული ანგარიშგების თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე წარმოშობილი შემდგომი მოვლენები. შესაბამისი საკითხის წარმოშობის შემთხვევაში, ისინი დაფიქსირდა ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნაში ... დიახ

ვადასტურებ, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველი *არის/აარ არის შესაფერისი და ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია აისახა განმარტებით შენიშვნებში.

აუდიტორული მოსაზრების განხილვისას, მიმოვიხილე:

- მოპოვებულ იქნა თუ არა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება იმ განცხადების გასაკეთებლად, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს არსებით უზუსტობას, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით;
- არის თუ არა შეუსწორებელი უზუსტობები, ცალ-ცალკე ან მთლიანობაში, არა არსებითი;

- ფინანსური ანგარიშგება ასახავს თუ არა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს; და
- მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება სწორად *ეროვნული საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების GAAP / ფასს სტანდარტების შესაბამისად, ყველა შესაბამისი იურიდიული მოთხოვნის ჩათვლით.

ვადასტურებ *არამოდიფიცირებული/*მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების ხელმოწერას.

*მოსაზრება მოდიფიცირებულია აღნიშნული მიზეზების გამო.

*აუდიტორის დასკვნა მოიცავს *მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს/ *სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცს..... აღნიშნული მიზეზების გამო.

*აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირების შედეგად შეტანილ იქნა დამატებითი აბზაცი, რომელიც უკავშირდება მოდიფიცირების გავლენას, მომავალში კომპანიის მიერ დივიდენდების გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით.

ხელმოწერილია: Pepe Ríñua..... (აუდიტორული გარიგების პარტნიორი)
თარიღი: 15 თებერვალი '08.....

6. დასრულება გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის მიერ:

შევასრულე გარიგების დასრულებამდე მიმომხილვა (ცხელი მიმომხილვა / hot review), რომელიც დასაბუთებულია.....

*კმაყოფილი ვარ, რომ ჩემს მიმომხილვაში აღნიშნული ყველა საკითხი გაირკვა.

*განვიხილე შემოთავაზებული მოდიფიცირება / მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და მას მიზანშეწონილად მივიჩნევ.

*ვადასტურებ, რომ მე-5 პუნქტში მოცემული დასკვნა შესაფერისია.

ხელმოწერა:..... (გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი) თარიღი:
(* - წაშალეთ საჭიროების შემთხვევაში)

7. განმეორებით დანიშვნაზე დათანხმება (ივსება აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ)

აღნიშნული ნაწილი უნდა შეივსოს აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ განმეორებით დანიშვნაზე დათანხმებამდე.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, აუდიტორული ფირმის ან ნებისმიერი ქსელის ფირმის შემთხვევაში, მთლიანად გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, სხვა დამკვეთებთან ინტერესთა კონფლიქტი, ეკონომიკური დამოკიდებულება, ნდობა, მარეგულირებელ ორგანოებთან დაკავშირებული საკითხები, დამკვეთისთვის მომსახურების გაწევის

Appendix 3.1
Aa1

უნარი, დამკვეთისათვის გაწეული სხვა მომსახურებები და მასპინძლობა. დამატებითი ინსტრუქცია ხელმისაწვდომია კანონმდებლობაში და ეთიკის კოდექსში, რომელიც გამოცემულია ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

ნებისმიერი პასუხი დადებითი სრულად უნდა იქნეს საფუძვლიანად ახსნილი დამცავი ზომების მაქსიმალურად გათალისწინებით, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, თანხმობა განვაცხადოთ განმეორებით დანიშვნაზე.

მნიშვნელოვანი საკითხები განხილულ უნდა იქნეს ეთიკის პარტნიორთან ერთად და საჭიროა განხილვის დეტალების ფაილში დოკუმენტირება.

1 არსებობს თუ არა ისეთი საკითხები, რომლებიც შეცვლიდა აუდიტის საკონტროლი კითხვარში მოცემულ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებულ განხილვებს (Ac2), აუდიტის დამკვეთებისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევის კითხვარში მოცემულ საკითხებს (Ac3) და აუდიტის საკონტროლო კითხვარის მე-4 ნაწილს?

2 თუ ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხია „დიახ“, რომელი საკითხებია გასათვალისწინებელი:

ახდენს თუ არა რომელიმე ზემოაღნიშნული საკითხი გავლენას ჩვენი, როგორც აუდიტორების მიერ, დამკვეთისათვის გასაწევ მომსახურებაზე?

3 ცნობილია თუ არა ჩვენთვის რომელიმე სხვა ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დამოუკიდებლობაზე ან სხვაგვარად მოანიშნებდეს, რომ არ უნდა დავთანხმდეთ განმეორებით დანიშვნაზე?

დიახ/არა	კომენტარები
N	
N/A	
N	

განმეორებით აუდიტორად დანიშვნის უფლებამოსილების მიღება:

განვიხილე ზემოაღნიშნული და არ მიმაჩნია, რომ არსებობს რაიმე სახის აღქმადი საფრთხეები ჩვენს დამოუკიდებლობასთან, პატიოსნებასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ *შეგვიძლია მივიღოთ/ *შეგვიძლია მივიღოთ განცხადებული დამცავი ზომების გამოყენებით/* არ შეგვიძლია მივიღოთ აღნიშნული განმეორებითი დანიშვნა.

საჭიროების შემთხვევაში, ჩაიწერა და დადოკუმენტირდა შესაბამისი კონსულტაცია, ეთიკის პარტნიორთან ერთად.

(* - წაშალეთ, საჭიროების შემთხვევაში))

ხელმოწერა: Pepe.....Rúna.....(გარიგების პარტნიორი)

თარიღი: 15 თებერვალი, 20X8.წ......

საჭიროების შემთხვევაში:

ხელმოწერა:(გარიგების ხარისხის კონტროლის

მიმომხილველი)

თარიღი:

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეთ (ხანადუ) ლიმიტიდ

მომზადებულ ია: ს.ჯ.	თარიღი: 22/10/X7
განხილულია: ვ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები

მიზანი:

აუდიტის ჩატარების შედეგად წარმოქმნილი იმ ძირითადი საკითხების მოკლე შეჯამება, სადაც შესაძლებელია აუდიტის ეფექტურობის გაუმჯობესება, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ საკითხებს. *აღნიშნული ფორმის გამოყენება არ არის სავალდებულო.*

ჩანაწერები:

აღნიშნული ფორმა უნდა შეივსოს აუდიტის დროს და მოიცავდეს ძირითად საკითხებს, რომლებიც შესაფერისია მომავალი წლის დავალებისთვის.

თუ აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ფაილის რომელიმე სხვა ნაწილში (მაგალითად, შემდგომი მოვლენების მიმოხილვა ან ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმი), მისი განმეორება საჭირო არ არის. მიუთითეთ შემოთავაზებული ცვლილებების დეტალები, საჭიროების შემთხვევაში.

აუდიტის დროს წარმოქმნილი პრობლემები (აუდიტორულ ტესტებთან დაკავშირებით):
ინვენტარიზაციის ტესტირებას მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად მეტი დრო დასჭირდა. ღირს იმის ნახვა, როგორ დაიგეგმება ამ ნაწილის ტესტირება მომავალი წლისთვის.

აუდიტის დროს წარმოქმნილი პრობლემები (დამკვეთთან და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ა.შ.): პრობლემა არ არსებობდა. საზოგადოდ, დამკვეთი ხელმისაწვდომი იყო, თუმცა, რადგან ჯეიმს მენი იშვიათად იმყოფება ხანადუში, საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ ჩვენი ვიზიტის დრო დაემთხვას მისი ხანადუში ვიზიტის დროს (თუმცა ის ადვილად ხელმისაწვდომია ელ.ფოსტის/ტელეფონის მეშვეობით).

აუდიტორული ტესტები, რომელთა გაუქმება/შემცირება შესაძლებელია, აუდიტის ხარისხის გაუარესების გარეშე:
არ გამოვლენილა.

მომავალ პერიოდში შესატანი ცვლილებები, ან ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები არ გამოვლენილა.

გარემოებების განვითარება მომავალში (ბიზნესის ხასიათი, ადგილმდებარეობა, შექმნა და გასვლა):
უშუალო ცვლილებები დაგეგმილი არ არის.

აუდიტის გუნდის მომავალი სტრუქტურის უზრუნველყოფა:
SJ კვლავ უფროსი აუდიტორი იქნება. აუდიტის გუნდის დამატებითი წევრები საჭირო არ არის.

სხვა საკითხები:
არ გამოვლენილა.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემდგომი მოვლენების მიმოხილვა

მიზანი:

იმის დადგენა, საჭიროა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე სახის არსებითი შესწორების შეტანა ან ინფორმაციის გასაჯაროება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და შემდგომი მოვლენებთან დაკავშირებით ასს 560-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

შენიშვნა: მაკორექტირებელი მოვლენა ისეთი მოვლენაა, რომელიც საანგარიშგებო თარიღისათვის შესაბამისი პირობის არსებობის მტკიცებულებას უზრუნველყოფს. არამაკორექტირებელი მოვლენა ისეთი მოვლენაა, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, თუმცა საჭიროა მისი ახსნა-განმარტებებში ასახვა უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის წარსადგენად.

დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვა

	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე ან კომენტარი
<p>1. განსაზღვრეთ დამკვეთის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მომზადებული სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათი და ხარისხი, რომლებიც შესაძლებელია მიმოხილოს აუდიტორმა. ისინი შეიძლება მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. შემდგომი პერიოდის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას; ბ. მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებს; გ. ბიუჯეტებს (მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშების უჩვეულო ან მოულოდნელი მუხლების მიმოხილვის ხელშეწყობისთვის); დ. მთავარ საბუღალტრო წიგნს, მათ შორის, არსებით ჟურნალებს; ე. გაყიდვებისა და შესყიდვის ჩანაწერებს ან ანგარიშ-ფაქტურებს (საკრედიტო ავიზოების ჩათვლით); ვ. სახელფასო უწყისების ჩანაწერებს; ზ. სალაროს წიგნებს. <p><i>შენიშვნა:</i> მოსალოდნელი არ არის, რომ განხილული იქნება ყველა ზემოაღნიშნული ჩანაწერი - განხილულ უნდა იქნეს დამკვეთის გარემოებების ყველაზე შესაფერისი ჩანაწერები.</p>	<p>დამკვეთი ამზადებს კვარტალურ მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებს – მათი მიმოხილვა სექტემბრისთვის და მომდევნო პერიოდის კომპიუტერული საცდელი ბალანსის დეტალური შემოწმება.</p> <p>იხ. Aa3a/1</p>

დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვა (გაგრძელება)	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე ან კომენტარი
<p>2. მიმოხილეთ დირექტორთა/ აქციონერთა და სხვა კომიტეტების კრების ოქმები საანგარიშგებო თარიღიდან და განახორციელეთ იმ ძირითადი მუხლების დოკუმენტირება, რომლებიც შეიძლება წარმოქმნიდნენ განმარტებით შენიშვნებში ასახვის ან ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანის საჭიროებას.</p>	<p><i>ოფიციალურ ოქმებს არ აწარმოებდნენ.</i></p>
<p>3. განიხილეთ მთავარი საბუღალტრო წიგნის „მგრნობიარე“ ანგარიშებში არსებული ყველა გატარება, მათ შორის სამართლებრივ და პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და უჩვეული მუხლების ანგარიშები და მოიპოვეთ შესაბამისი ახსნა.</p>	<p><i>მიმოხილულ იქნა სამართლებრივი და პროფესიული საკითხები. ფ. ფლინტოფის სარჩელთან დაკავშირებული ანგარიშ-ფაქტურა. თუმცა, არ გამოვლენილა სხვა უჩვეულო საკითხები, რომლებიც მიუთითებენ წლის დასრულების შემდეგ დამკვეთის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებზე.</i></p>

განხილვები დამკვეთთან	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე ან კომენტარი
<p>a. დაადოკუმენტირეთ იმ პირ(ებ)ის ვინაობა, რომელთანაც განხილულ იქნა შემდგომი მოვლენები და მიუთითეთ განხილვის თარიღი.</p> <p><i>შენიშვნა: თუ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობას შორის არ ხდება ურთიერთგადაფარვა, მაშინ ჩვეულებრივ საჭიროა დისკუსიის წარმართვა ორვე ორგანოს წარმომადგენლებთან.</i></p>	<p><i>მაიქლ და ჯაიმს მენები – 20X7 წ. 22 ოქტომბერი</i></p>
<p>უზრუნველყავით, რომ დისკუსია მოიცავს შემდეგ სფეროებს (საჭიროების შემთხვევაში):</p>	
<p>b. ხელმძღვანელობის მიერ დაწესებულ პროცედურებს (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდგომი მოვლენების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რომელი საკითხების (მათი არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირება მოხდა ხელმძღვანელობის მიერ;</p>	<p><i>მიმოხილულ იქნა მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები – ჯეიმსის ან დენი ჰვიგნბოთამის მიერ გამოვლენილ და გამოკვლეულ იქნა მნიშვნელოვანი განსხვავებები და ცვლილებები.</i></p>
<p>c. როდესაც ჩატარდა ხელმძღვანელობის ან სხვა შეხვედრები, მაგრამ ოქმები ხელმისაწვდომი არ არის, ამ შეხვედრებზე განხილული</p>	<p><i>განხილულ იქნა – წლის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ ყოფილა მიღებული.</i></p>

<p>c. ნებისმიერი სახის სასამართლო სარჩელებთან (სამეურნეო სუბიექტის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ) დაკავშირებულ მოვლენებს / პერსპექტივებს);</p>	<p>როგორც N და L ნაწილებში აღინიშნა [წარმოდგენილი არ არის], კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მომხმარებელმა, ფ. ფლინტოვმა - საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.</p>
<p>d. შეტანილ იქნა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ხდება თუ არა ისეთი ცვლილებების შეთავაზება, რომლებიც განმარტებით შენიშვნებში არამაკორექტირებელი მოვლენის სახით ასახვას მოითხოვს; შენიშვნა: აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ცვლილებას საბოლოო მაკონტროლებელ მხარეში, აქტივებისა და ინვესტიციების მნიშვნელოვან გაყიდვებს ან შესყიდვებს, სტიქიურ მოვლენებს, დიდ სასამართლო პროცესებს ან აქტივების ფასების ან უცხოური ვალუტის კურსების არსებით ცვლილებებს.</p>	<p>დამოკიდებულია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარე დებატებსა და ზემოაღნიშნულ სარჩელზე, გამოვლენილი არ არის.</p>
<p>e. მოხდა თუ არა ნებისმიერი სახის მოვლენა რისკის სფეროებთან ან გაუთვალისწინებელ გარემოებებთან დაკავშირებით;</p>	<p>იხ. ზემოთ.</p>

განხილვები დამკვეთთან	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე ან კომენტარი
<p>f. აღმოჩენილ იქნა თუ არა თაღლითობის ან შეცდომის ნებისმიერი სახის მტკიცებულება;</p>	<p>არავითარი</p>
<p>გ. მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა იდენტიფიცირებაც აუდიტორთა მიერ დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვის გზით მოხდა.</p>	<p>არავითარი</p>

აუდიტის ფაილის დასრულება

აღნიშნულ ნაწილში აგრეთვე დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ნებისმიერი სახის შესრულებული სამუშაო, შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც არ არის ასახული ქვემოთ მოცემულ საკითხებში.

1. მიმოხილეთ დამკვეთთან დაგეგმვამდე გამართულ შეხვედრაზე დაფიქსირებული შენიშვნები, აუდიტის დაგეგმვის მემორანდუმი და ინსტრუქტაჟისათვის გაკეთებული შენიშვნები,

ინიციალი და თარიღი	ინიშნება სამუშაო დოკუმენტზე / კომენტარი
ს.ჯ. 22/10/X7	Ac 8 Ac

რათა დარწმუნდეთ, რომ ნებისმიერი გამოვლენილი შემდგომი მოვლენა სათანადოდ იქნა გათვალისწინებული.

- განიხილეთ, ხომ არ აჩვენა ფიზიკური დადასტურების ან რომელიმე სხვა აუდიტორულმა პროცედურამ, რომ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ განადგურდა რომელიმე ძირითადი საშუალება ან მნიშვნელოვნად შეიცვალა რომელიმე სახის საოპერაციო შესაძლებლობა.
- გადახედეთ ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც შესრულდა არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების, ძირითადი საშუალებების ან ინვესტიციების (მათ შორის, საკუთრების). განიხილეთ, ხომ არ მიიღო დამკვეთმა რაიმე სახის შეფასებები ან ანგარიშები, რომლებშიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ასახულ ღირებულებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გადახრები ფიქსირდება.
- განიხილეთ, მოხდა თუ არა მარაგების გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან, რომელსაც „ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე“ გავლენის მოხდენა შეეძლო.
- განიხილეთ, მიღებულ იქნა თუ არა ნებისმიერი სახის შემდგომი ინფორმაცია, რომელსაც გავლენა შეეძლო მოეხდინა შემოსავლის აღიარებაზე/ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შედეგად მიღებულ მოგებაზე.
- განიხილეთ შედეგები, რომლებიც წარმოიშობა მსხვილი დებიტორის გადახდისუუნარობის გამო, ან ხომ არ დაიწყო მოლაპარაკებები, რომელიც გავლენას ახდენს დავალიანების სრულად ანაზღაურებაზე, ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული, დასაფარი დებიტორული დავალიანების ნაშთი აღემატება თუ არა სამუშაო არსებითობის დონეს.

	14 Ac 18
ს.ჯ. 22/10/X7	C/E
ს.ჯ. 22/10/X7 – გამორჩეული საკითხი	B/C/D/G
ს.ჯ. 22/10/X7	E
ს.ჯ. 22/10/X7 არავი თარი	E/F/ O
ს.ჯ. 22/10/X7 არავი თარი	F

აუდიტის ფაილის დასრულება

- განიხილეთ, მიღებულ იქნა თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია შვილობილ კომპანიებთან, ერთობლივ საწარმოებთან, ერთობლივად კონტროლირებად საქმიანობასთან, ერთობლივად კონტროლირებად აქტივებთან ან მეკავშირე საწარმოებთან მიმართებაში, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია ამ ინვესტიციების აღრიცხვაზე ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ციფრებზე.
- გამოკითხეთ ან განავრცეთ სამეურნეო სუბიექტის იურიდიული მრჩეველების წინა ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვები სასამართლო პროცესთან, სარჩელებთან ან დავებთან დაკავშირებით.

ინიციალი და თარიღი	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე / კომენტარი
ს.ჯ. 22/10/X7 None	D
ს.ჯ. 22/10/X7 None	N

3. განიხილეთ ჩვენი პრაქტიკის ამსახველი მიმოწერა და საგადასახადო ფაილები/საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდის საქალაქური უჩვეულო მუხლებზე.
4. განიხილეთ, საჭიროა თუ არა ინფორმაციის გასაჯაროება საგადასახადო განაკვეთებთან ან საგადასახადო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც ძალაშია, ან გამოცხადებულია შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს მიმდინარე ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებაზე / აქტივზე.
5. განიხილეთ, საჭიროა თუ არა ჟურნალში შეტანილი საბოლოო კორექტირებების ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებით გასაჯაროება.
6. განიხილეთ ნებისმიერი სახის მომხდარი მოვლენა, ან მოვლენები, რომლებიც შესაძლოა განვითარდეს, აყენებს თუ არა კითხვის ნიშნის ქვეშ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მართებულობას, მათ შორის, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველს.
7. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ნებისმიერი სახის მაკორექტირებელი შემდგომი მოვლენები, დარწმუნდით, რომ გადაიხედა და შეიცვალა (საჭიროების შემთხვევაში) არსებითობისა და სამუშაო არსებითობის გათვლები; და შემდეგ თავიდან გადახედეთ აუდიტის დაუკორექტირებულ შეცდომებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით შეცდომებს.
8. დარწმუნდით, რომ ოფიციალურ წერილში შეტანილია შესაბამისი აზრები.

მიმოწერა ლუგია. ს.ჯ. 22/10/X7	
SJ 22/10/X7 None	
ს.ჯ. 22/10/X7 None	U3
ს.ჯ. 22/10/X7 None	Aa3b
ს.ჯ. 22/10/X7 N/A	Ac13 Aa11
ს.ჯ. 22/10/X7	Aa4

წინასწარი დასკვნა:

* წაშალეთ, საჭიროების შემთხვევაში

ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ

დადგინდა, რომ:

არ მომხდარა არავითარი მნიშვნელოვანი მოვლენები. *

ზემოაღნიშნული შემდგომი მოვლენები ადეკვატურად აისახა*/არ აისახა* ფინანსურ ანგარიშგებაში=

ინფორმაცია წინამდებარე მიმოხილვაში ხაზგასმული მნიშვნელოვანი მოვლენების, მათ შორის, დამკვეთთან არსებული ნებისმიერი სახის უთანხმოების შესახებ, მიწოდებულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის და ასახულია ბარათზე *

შემსრულებელი: სტიუარტ ჯეკსონი თარიღი: 20X7 წ. 22
ოქტომბერი

მიმომხილველი: ვარენ რობერტსი თარიღი: 20X7 წ. 12 ნოემბერი

საბოლოო დასკვნა:

შემდგომი მოვლენების წინასწარ მიმოხილვასა და აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერას შორის მნიშვნელოვანი დაყოვნების* არსებობის შემთხვევაში:

- საჭიროა შემდგომი მოვლენების დეტალურად თავიდან მიმოხილვა აღნიშნულ თარიღამდე;
- საჭიროა დაყოვნების მიზეზის განხილვა, ვინაიდან იგი შეიძლება მიუთითებდეს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებულ პოტენციურ პრობლემებზე; და
- დაყოვნების გამამართლებელი მიზეზის არარსებობის შემთხვევაში, გადახედეთ და განახლეთ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიმოხილვა.

* ის, თუ ზუსტად დროის რა პერიოდი მიიჩნევა „მნიშვნელოვან დაყოვნებად“ არ არის განსაზღვრული, მაგრამ დაყოვნება, რომელიც აღემატება სამ თვეს, სავარაუდოდ ნიშნავს, რომ შემდგომი მოვლენების მიმოხილვა თავიდან უნდა შესრულდეს.

წინასწარი მიმოხილვა შესრულდა აუდიტორის ანგარიშის შემოთავაზებულ თარიღთან საკმაოდ ახლოს და არ მოითხოვს სამუშაოს გადახედვას.*

წინასწარი მიმოხილვა განახლდა 20X8 წლის 28 იანვარს (ჩასვით თარიღი).
შესრულებული სამუშაო მითითებულია ქვემოთ:*

ჩემი კომენტარი იხილეთ Aa3a/1-ში.

ზემოაღნიშნული პროცედურების მიმოხილვის შედეგად ვაცხადებ, რომ:

კმაყოფილი ვარ, რომ არავითარი შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა წინასწარი მიმოხილვასა, რაც დოკუმენტურად დასაბუთებულია ზემოთ მოცემულ დასკვნაში და 20X8 წლის 28 იანვარს (საბოლოო მიმოხილვის თარიღი) შორის პერიოდში. *

მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც განმარტებულია ზემოთ,

განხილულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორთან და ადეკვატურად
აისახა/გასაჯაროვდა ფინანსურ ანგარიშგებაში.❖

შემსრულებელი: ვარენ რობერტსი Date: 20X8 წ. 28 იანვარი

მიმომხილველი: პეპე რიინა Date: 20X8 წ. 15
თებერვალი

შენიშვნა: თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდგომ გამოვლინდება საკითხი, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს გამოთქმული მოსაზრება, გაითვალისწინეთ შემდეგი (ასს 560.10):

- საკითხის ხელმძღვანელობასთან განხილვა;
- ფინანსური ანგარიშგების გადასინჯვა;
- შესაბამისი ზომების მიღება.

ს.ჯ. 22/10/X7
ვ.პ.რ.12/11/X7
პ.ა.რ.
3/2/X8

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
20X7 წ. 30 ივნისს დასრულებული წელი

შემდგომი მოვლენები – დამატებით გასათვალისწინებელი საკითხები

მიზანი

ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი ნებისმიერი ისეთი არებითი მოვლენის გამოვლენა, რომლის შედეგად საჭიროა ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა ან დამატებითი განმარტებითი გასაჯაროება.

მეთოდი

20X7 წლის სექტემბერში მიმომხილულ იქნა მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები და მომზადდა მიმდინარე საცდელი ბალანსი (22/10/X7).

მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებში ნაჩვენებია მცირე მოგება და კომპანიის ოვერდრაფტის შემცირება. მარაგის დონეები კვლავ მაღალი რჩება და სხვა აქტივების / ვალდებულებების ანგარიშები საზოგადოდ თანმიმდევრულია წლის ბოლოს არსებულ დონესთან. მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი მუხლები, რომელთა დამატებითი განხილვა საჭიროა.

საცდელი ბალანსიდან, მთავარ საბუღალტრო წიგნზე მინიშნებით, არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი საჟურნალო გატარებები ან საკრედიტო ავიზოები.

მარაგის ანარიცხები – „კომპანიების აქტის“ ასლებისთვის გაკეთებული ანარიცხი კვლავ ძალაშია, რადგან 20X7 წლის „კომპანიების აქტი“ (ხანადუ) მალე შევა ძალაში.

ანარიცხები ამოუღებადი დებიტორული დავალიანებისათვის – თანხების მიღება გრძელდება კომპანია „ფერნანდო ტორესისგან“ და „ვინდმილ ჰილლ აქქაუნტესისგან“, რაც ნიშნავს, რომ ამოუღებადი დებიტორული დავალიანების ანარიცხების არარსებობა შესაფერისია.

შეხვედრები – რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა ჩატარდა, რომელთა ოქმები არ შეუნახიათ. თუმცა, ჯეიმს მენმა დაადასტურა, რომ უმაღლეს ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი საკითხები არ განუხილია ამ შეხვედრებზე.

ჯეიმს მენტან განხილულ იქნა ყველა შესაფერისი საკითხი HAT-ის საკონტროლო ჩამონათვალის შესაბამისად - პასუხებისათვის იხ. Aa3a.

მენეჯერისთვის განხლებული ინფორმაციის მიწოდება – 20X8 წ. 28 იანვარი

რადგან წინასწარი მიმოხილვის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, შესაფერისად იქნა მიჩნეული ინფორმაციის სრულად განახლება. აღნიშნული მნიშვნელოვანი შეფერხება გამოწვეულ იქნა შემდეგი მიზეზებით:

- აუდიტის დასრულებისათვის ჯეიმს მენის ხანადუში ჩამოსვლის შეფერხება - ამის მიზეზი გახლდათ პოტენციური ცუდი ამინდი, რომელმაც გავლენა იქონია გეთვიკიდან ფრენებზე, ის ცდილობს არ ესტუმროს ხანადუს ზამთრის თვეებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასწრაფო შეხვედრა აუცილებელია; და
- ჩვენი სურვილი, რომ უფრო მეტი დადასტურება მოგვეპოვებინა კლიენტის წინააღმდეგ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, რაც დოკუმენტირებულია შენიშვნაში N5.

20X7 წლის დეკემბერში მიმოხილულ იქნა მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები – ისინი კვლავ ჩვენი მოლოდინის თანმიმდევრული აღმოჩნდა. თუ არსებული ტენდენცია გაგრძელდება, დამკვეთი წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ მცირე მოგებას მიიღებს და მცირე საბანკო ნაშთიც ექნება. კერძოდ, მარაგის დონეები ცოტათი შემცირდა.

მნიშვნელოვანი ჩამოწერა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აუდიტორულ ციფრებზე, არ გამოვლენილა.

როგორც N5 შენიშვნაში აღინიშნა, კლიენტის წინააღმდეგ სასამართლო დავა საბოლოოდ წარუმატებლად დასრულდა. ამიტომ, ადრე გაკეთებული დასკვნა

ისევ ძალაშია.

აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა- 15/2/18

განხილულ იქნა ჯეიმს მენტან - დასკვნა დასაბუთებული რჩება.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: ს.ჯ.	თარიღი: 22/10/X7
მიმომხილველი: ვ.ფ.რ.	თარიღი: 12/11/X7

ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვარი

მიზანი: უზრუნველყოფილ იქნეს ფუნქციონირებადი საწარმოს ძირითადი კონცეფციის სრულად გათვალისწინება და ასს 570- ის მოთხოვნების შესრულება.

მიმობილვა: ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პირობებში, სამეურნეო სუბიექტი განიხილება როგორც საწარმო, რომელსაც უახლოეს მომავალში საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა გააჩნია. ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მზადდება მანამ, სანამ მენეჯმენტი არ გადაწყვეტს საწარმოს ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას ან ამის რეალური ალტერნატივა არ გააჩნია (ასეთ პირობებში ფინანსური ანგარიშგება მზადდება სალიკვიდაციო საფუძველზე).

1-ლი ნაწილი - დისკუსია დამკვეთთან, ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ:

1. დამკვეთთან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების განხილვის თარიღ(ებ)ი;
2. დისკუსიაში მონაწილე აუდიტის ჯგუფის წევრების სახელები;
3. დისკუსიაში მონაწილე სამეურნეო სუბიექტის წარმომადგენელი პირის (პირების) სახელები;

ეს უნდა მოიცავდეს „მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა“ წარმომადგენელს (მაგ., კომპანიის დირექტორი) და ხელმძღვანელობას. მართალია, მრავალი ორგანიზაციისთვის „მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები“ იგივე ხელმძღვანელობა იქნება, თუმცა როდესაც Ac2- ით განისაზღვრება, რომ ეს ასე არ არის, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული განხილვები ორივე ჯგუფთან ჩატარდეს.

4. მოამზადა თუ არა კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტთვიან პერიოდზე ოფიციალური პროგნოზები ან მსგავსი ტიპის გათვლები?
5. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ მოუმზადებია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტთვიან პერიოდზე ოფიციალური პროგნოზები ან მსგავსი ტიპის გათვლები,

20X7 წ. 22 ოქტომბერი
სტიუარტ ჯექსონი
მაიქლ მენი ჯეიმს მენი
[დაახ / არა]
დამკვეთი თითოეული დეპარტამენტის მომდევნო

დაადოკუმენტირეთ დამკვეთის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული მსჯელობის ხასიათი და შინაარსი.

ეს შეფასება შეიძლება მოიცავდეს:

- ოფიციალურ, მცოცავ, კვარტალურ ბიუჯეტებს, რომლებიც, ძირითადად, შემდგომი პერიოდის არაფორმალურ შეფასებას ემყარება;
- არაოფიციალურ შეფასებას, განმეორებითი შესყიდვებისა და ხარჯების დონის მოლოდინს, მნიშვნელოვანი შეკვეთების შესრულების ვადებს, საბრუნავი კაპიტალის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვან სამომავლო "ერთჯერად" ხარჯებსა და სხვა.

6. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ან ხელმძღვანელობას აქვთ თუ არა რაიმე სახის შეშფოთების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან დაკავშირებით ?
7. თუ პასუხია "დიახ", დამხმარე სამუშაო ბარათზე აღწერეთ დამკვეთის პრობლემები და მათი მნიშვნელობა.

წლის ბიუჯეტს ამზადებს. მაიქლ მენმა დაადასტურა, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში საქმიანობის საერთო შედეგების შესახებ ხედვას აყალიბებს აღნიშნულისა და სამომავლო ცვლილებების ცოდნის საფუძველზე.

[დიახ / არა]

არ შეესაბამება.

ნაწილი 2 – აუდიტორის შეფასება ~ ზოგადი საკითხები:

1. თუ კომპანიამ მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, მოიპოვეთ მისი ასლი, ასევე ის მტკიცებულებები და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასეთი შეფასებებისა და პროგნოზების საფუძველი გახდა. განიხილეთ, არის თუ არა სამეურნეო სუბიექტის მოლოდინი რეალისტური და შეიძლება თუ არა დადასტურდეს ფაილში არსებული რომელიმე სხვა მტკიცებულებით. განსაკუთრებით, ნებისმიერი ბიუჯეტი და სამომავლო პროგნოზი შეადარეთ მომდევნო პერიოდის ხელმძღვანელობის ანგარიშებს, განიხილეთ გაკეთებული დაშვებების საფუძვლიანობა და ის, თუ ისტორიულად რამდენად სანდოა მმართველობითი ინფორმაცია.
2. თუ დამკვეთს არ გაუკეთებია ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, ან ეს შეფასება არ მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულიდან თორმეტვიან პერიოდს, განიხილეთ, არის თუ არა ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასება დადასტურებული ფაილში არსებული სხვა მტკიცებულებებით. დაადოკუმენტირეთ, საკმარისია თუ არა ასეთი "არაოფიციალური" შეფასება, ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკის გათვალისწინებით.
3. დაადასტურეთ, რომ სამეურნეო სუბიექტმა განიხილა (ოფიციალურად ან არაოფიციალურად) საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტვიანი პერიოდი.
 - მიმოიხილეთ აუდიტის ფაილში არსებული შესაბამისი დოკუმენტები და დარწმუნდით, რომ ისინი ამყარებენ (ან არ ეწინააღმდეგებიან) დამკვეთის მიერ გაკეთებულ დაშვებას, ფუნქციონირებად საწარმოსთან მიმართებაში:
 - დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის მომავალში განსახორციელებელი პუნქტები, დამკვეთთან წინასწარი მოლაპარაკებები; წინასწარი ანალიზური პროცედურები, გარიგების გეგმა და შენიშვნები ინსტრუქტაჟისათვის (ნაწილი Ac);
 - შემდგომი მოვლენების მიმოხილვა [Aa3a];
 - ასს-თან შესაბამისობის მიზნით მომზადებული კრიტიკული

კომენტარები/მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<i>დეტალური ბიუჯეტის მიმოხილვა – იხ. Aa3b/3 [აქ არ არის მოცემული] კერძოდ, როგორც ჩანს, ძირითადი დაშვებები მისაღებია.</i>
<i>მაიკლ მენი ითვალისწინებს „საპროგნოზო მომავალს“ - ის ახორციელებს სტანდარტებისა და ბიზნეს-პრაქტიკის ცვლილებების მონიტორინგს, რათა განსაზღვროს სავარაუდო მოთხოვნა.</i>
<i>ჩვენი აზრით, ეს არაოფიციალური შეფასება, რეზერვებსა და მნიშვნელოვანი სესხების არარსებობასთან ერთად, ნიშნავს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება სათანადოდაა განხილული.</i>
დიახ, არაოფიციალურად
<i>მიმოხილვა – არ არსებობს აღსანიშნავი საკითხები.</i>
<i>სათანადოდაა მიჩნეული</i>
Aa4

საკითხების მემორანდუმის მიმოხილვა/მნიშვნელოვანი საკითხები [Aa7];

- საბოლოო ანალიზური პროცედურები, მათ შორის, მოგებიანობის, ლიკვიდურობისა და კომპანიის ვალისა და კაპიტალის თანაფარდობის ძირითადი მაჩვენებლების [Aa10];
- საბანკო ხელშეკრულებების მიმოხილვა [I ნაწილი];
- პირობითი ვალდებულებების მიმოხილვა [L ნაწილი]; და
- დირექტორთა და აქციონერთა საბჭოს სხდომების მიმოხილვის შედეგები [M ნაწილი].

4. გაითვალისწინეთ, არის თუ არა დამკვეთის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პოტენციური პრობლემების გამოვლენის მიზნით ჩატარებული პროცედურები (განხილული პერიოდის ჩათვლით) შესაბამისი აღნიშნული სამეურნეო სუბიექტისთვის.
5. მოიპოვეთ წერილობითი დასტური დამკვეთისგან, რაც ადასტურებს, რომ საამეურნეო სუბიექტი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და (საჭიროებისამებრ) გათვალისწინებულია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე ერთწლიანი პერიოდი.

მე-2 ნაწილი - აუდიტორის შეფასება ~ ზოგადი მოსაზრებები:

1. თუ კომპანიამ მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, მოიპოვეთ მისი ასლი, ასევე ის მტკიცებულებები და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასეთი შეფასებებისა და პროგნოზების საფუძველი გახდა. განიხილეთ, არის თუ არა სამეურნეო სუბიექტის მოლოდინი რეალისტური და შეიძლება თუ არა დადასტურდეს ფაილში არსებული რომელიმე სხვა მტკიცებულებით. განსაკუთრებით, ნებისმიერი ბიუჯეტი და სამომავლო პროგნოზი შეადარეთ მომდევნო პერიოდის ხელმძღვანელობის ანგარიშებს, განიხილეთ გაკეთებული დაშვებების საფუძველიანობა და ის, თუ ისტორიულად რამდენად სანდოა მმართველობითი ინფორმაცია;

კომენტარები/მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<i>მიმოხილულია დეტალური ბიუჯეტი - Aa3b/3 [აქ მოცემული არ არის]. კერძოდ, როგორც ჩანს, ძირითადი დაშვებები მისაღებია.</i>

2. თუ დამკვეთს არ გაუკეთებია ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, ან ეს შეფასება არ მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულიდან თორმეტვიანი პერიოდს, განიხილეთ, არის თუ არა ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასება დადასტურებული ფაილში არსებული სხვა მტკიცებულებებით. დაადოკუმენტირეთ, საკმარისია თუ არა ასეთი "არაოფიციალური" შეფასება, ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკის გათვალისწინებით.

მაიქლ მენი ითვალისწინებს „საპროგნოზო მომავალს“ - ის ახორციელებს სტანდარტებისა და ბიზნეს-პრაქტიკის ცვლილებების მონიტორინგს, რათა განსაზღვროს სავარაუდო მოთხოვნა.
ჩვენი აზრით აღნიშნული არაოფიციალური შეფასება, რეზერვებსა და მნიშვნელოვანი სესხები არარსებობასთან ერთად, ნიშნავს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება სათანადოდაა გათვალისწინებული.

3. დაადასტურეთ, რომ სამეურნეო სუბიექტმა განიხილა (ოფიციალურად ან არაოფიციალურად) საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტვიანი პერიოდი;

დიახ, არაოფიციალურად.

4. მიმოიხილეთ აუდიტის ფაილში არსებული შესაბამისი დოკუმენტები და დარწმუნდით, რომ ისინი ამყარებენ (ან არ ეწინააღმდეგებიან) დამკვეთის მიერ გაკეთებულ დაშვებას, ფუნქციონირებად საწარმოსთან მიმართებაში;

- დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის მომავალში განსახორციელებელი პუნქტები, დამკვეთთან წინასწარი მოლაპარაკებები; წინასწარი ანალიზური პროცედურები, გარიგების გეგმა და შენიშვნები ინსტრუქტაჟისათვის (ნაწილი Ac);
- შემდგომი მოვლენების მიმოხილვა [Aa3a];
- ასს-თან შესაბამისობის მიზნით მომზადებული კრიტიკული საკითხების მემორანდუმის მიმოხილვა/მნიშვნელოვანი საკითხები [Aa7];
- საბოლოო ანალიზური პროცედურები, მათ შორის, მოგებიანობის, ლიკვიდურობისა და კომპანიის ვალისა და კაპიტალის თანაფარდობის ძირითადი მაჩვენებლების [Aa10];
- საბანკო ხელშეკრულებების მიმოხილვა [I განყოფილება];
- პირობითი ვალდებულებების მიმოხილვა [L განყოფილება]; და
- დირექტორთა და აქციონერთა საბჭოს სხდომების მიმოხილვის შედეგები [M განყოფილება].

მიმოხილულია – საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა.

5. გაითვალისწინეთ, არის თუ არა დამკვეთის მიერ ფუნქციონირებადი

მიჩნეულია შესაბამისად.

საწარმოს პოტენციური პრობლემების გამოვლენის მიზნით ჩატარებული პროცედურები (განხილული პერიოდის ჩათვლით) შესაბამისი აღნიშნული სამეურნეო სუბიექტისთვის;

6. მოიპოვეთ წერილობითი დასტური დამკვეთისგან, რაც ადასტურებს, რომ სამეურნეო სუბიექტი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და (საჭიროებისამებრ) გათვალისწინებულია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე ერთწლიანი პერიოდი;

Aa4

ნაწილი 3ა - აუდიტორის შეფასება ~ განსაკუთრებული მსჯელობის საკითხები::

აღნიშნული ნაწილის შევსება არასავალდებულოა მანამ, სანამ პირველ ან მეორე ნაწილში არ გამოვლინდება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული დაკავშირებული პოტენციური პრობლემები

1. თუ სამეურნეო სუბიექტმა უზრუნველყო დაკავშირებულ მხარეთა გარანტიები, შეამოწმეთ ამ სამეურნეო სუბიექტის ან პირების ფინანსური სიჯანსაღის სტატუსი, რათა დარწმუნდეთ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, შესაბამისი პასუხისმგებლობის შემთხვევა დადგეს, და იმ შემთხვევაში, თუ დადგება, აღნიშნული არ იქნება არსებითი სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსისათვის.
2. თუ სამეურნეო სუბიექტი დამოკიდებულია ძირითად დამკვეთებზე ან ძირითად მომწოდებლებზე (რომელიც არ შეიძლება ადვილად იქნეს ჩანაცვლებული), დაკავშირებულ მხარეთა ჩათვლით, არსებობს რაიმე მინიშნება იმაზე, რომ სავაჭრო ურთიერთობები საფრთხის ქვეშ იმყოფება ან ხომ არ არის საფრთხის ქვეშ შესაბამისი ბიზნესპარტნიორი მხარის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი?
3. თუ სამეურნეო სუბიექტი დამოკიდებულია ძირითად თანამშრომლებზე (რომელთა შადვილად ეცვლა შეუძლებელია), ხომ არ არსებობს მათი ორგანიზაციიდან წასვლის რაიმე ნიშნები?
4. თუ სამეურნეო სუბიექტი საიჯარო პერიოდი დასასრულს უახლოვდება, ხომ არ იკვეთება ნიშნები, რომ შესაფერისი ქონება შეიძლება ვერ მოიძებნოს, ან იჯარის ოდენობა კომპანიას არასიცოცხლისუნარიანს ხომ არ გახდის?
5. იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია დამოკიდებულია დაკავშირებული მხარისაგან მიღებულ დაფინანსებაზე, მიღებულ იქნა თუ არა ფინანსური მხარდაჭერის შესახებ წერილი და შეფასდა თუ არა შესაბამისი დაკავშირებული მხარის შესაბამისი ფინანსური რესურსები, რომლებიც მას კლიენტის უახლოეს მომავალში მხარდაჭერის საშუალებას მისცემს?
6. განიხილეთ ნებისმიერი სხვა კონკრეტული საკითხი, რომელიც გავლენას მოახდენს დამკვეთის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსზე, მაგალითად:-

კომენტარები/მითითება სამუშაო დოკუმენტზე	

- დამკვეთის წინააღმდეგ პოტენციური სადავო სამართალწარმოება ან მარეგულირებელის ქმედება;
 - სამთავრობო პოლიტიკისა (როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი) და საკანონმდებლო ცვლილებები;
 - ცვლილებები ადგილობრივი დაგეგმვის კანონმდებლობაში, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს დამკვეთზე; და
 - ტექნოლოგიური პროგრესი და შესაბამისი ცვლილებები ბაზარზე, რომლებმაც დამკვეთის პროდუქცია და მომსახურება შეიძლება არაკონკურენტული და მოძველებული გახადოს.
7. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტისთვის საბანკო დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია და საბანკო შეთანხმებები ისევე ძალაშია, დარწმუნდით ასეთი შეთანხმების პირობების - (იმ შემთხვევაში თუ ისინი უკვე არ არის შეტანილი ფაილში) დაცვა სრულყოფილად იქნა თუ არა შეფასებული, ხოლო საბანკო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შემთხვევაში, განხორციელდა თუ არა ბანკის შემდგომი განზრახვებისა და გეგმების დადასტურება.

ნაწილი 3 ბ - აუდიტორის შეფასება ~ ინფორმაციის გასაჯაროება:

1. არანაირი არსებითი განუსაზღვრელობა:

თუ გამოვლინდა ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნარში, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, მაგრამ აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტორი დაასკვნის, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს, შესაბამისი ინფორმაცია გასაჯაროვდა თუ არა აღნიშნული მოვლენების ან პირობების შესახებ?

თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება საფუძველიანია და არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს, აუდიტორს განსაკუთრებულ შემთხვევებში მოეთხოვება აუდიტორის ანგარიშში ასეთ საკითხებზე ინფორმირება.

2. არსებითი განუსაზღვრელობა:

როდესაც გამოვლინდება მოვლენები და პირობები, რომლებიც ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს, ფინანსურ ანგარიშგებებში ადეკვატური ინფორმაცია გასაჯაროვდა თუ არა?

ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:

- a) ადეკვატურად უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია იმ ძირითადი მოვლენებისა ან პირობების შესახებ, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, დაკავშირებით. ასევე უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია ხელმძღვანელობის იმ გეგმებისა და ქმედებების შესახებ, რომლებსაც მათთან დაკავშირებით გეგმავენ; და

კომენტარები/შითითება სამუშაო დოკუმენტზე

ფინანსური ანგარიშგების ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მომზადებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს, რადგან შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების აღნიშნულ საფუძველზე მომზადება. „სტანდარტული“ ტექსტი მოცემულია აუდიტორულ დასკვნაში.

არ შეესაბამება, რადგან არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა.

b) მკაფიოდ განიმარტოს, რომ სახეზეა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და შესაბამისად, მან შეიძლება ვერ შეძლოს თავისი აქტივების რეალიზება და ვალდებულებების შესრულება, მისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

თუ გაკეთდა სათანადო განმარტებითი შენიშვნები, აუდიტორის მოსაზრება უნდა იყოს არამოდიფიცირებული, თუმცა, აუდიტორის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცალკე ნაწილს ქვესათაურით „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა.“.

იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ინფორმაცია არ გასაჯაროვდება, აუდიტორმა უნდა გამოთქვას პირობითი მოსაზრება ან უარყოფითი მოსაზრება, ასს 705-ის შესაბამისად.

ნაწილი 3 ბ - აუდიტორის შეფასება ~ ინფორმაციის გასაჯაროება:

1. ანაირი არსებითი განუსაზღვრელობა:

თუ გამოვლინდა ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნარში, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, მაგრამ აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტორი დაასკვნის, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს, შესაბამისი ინფორმაცია გასაჯაროვდა თუ არა აღნიშნული მოვლენების ან პირობების შესახებ?

თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება საფუძვლიანია და არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს, აუდიტორს განსაკუთრებულ შემთხვევებში მოეთხოვება აუდიტორის ანგარიშში ასეთ საკითხებზე ინფორმირება.

2. არსებითი განუსაზღვრელობა:

როდესაც გამოვლინდება მოვლენები და პირობები, რომლებიც ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს, ფინანსურ ანგარიშგებებში ადეკვატური ინფორმაცია გასაჯაროვდა თუ არა?

ანანსურ ანგარიშგებაში უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:


- ა) ადეკვატურად უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია იმ ძირითადი მოვლენებისა ან პირობების შესახებ, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, დაკავშირებით. ასევე უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია ხელმძღვანელობის იმ გეგმებისა და ქმედებების შესახებ, რომლებსაც მათთან დაკავშირებით გეგმავენ; და
- ბ) მკაფიოდ განიმარტოს, რომ სახეზეა მოვლენებთან ან პირობებთან

კომენტარები/მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<p><i>ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს, ამიტომ შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების აღნიშნულ საფუძველზე მომზადება. აუდიტორის დასკვნაში აისახება „სტანდარტული“ ტექსტი.</i></p>
<p><i>შეუსაბამოა, არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს.</i></p>

დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და შესაბამისად, მან შეიძლება ვერ შეძლოს თავისი აქტივების რეალიზება და ვალდებულებების შესრულება, მისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

თუ გაკეთდა სათანადო განმარტებითი შენიშვნები, აუდიტორის მოსაზრება უნდა იყოს არამოდიფიცირებული, თუმცა, აუდიტორის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცალკე ნაწილს ქვესათაურით „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა.“

იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ინფორმაცია არ გასაჯაროვდება, აუდიტორმა უნდა გამოთქვას პირობითი მოსაზრება ან უარყოფითი მოსაზრება, ასს 705-ის შესაბამისად.



ნაწილი 4 – დასკვნა:

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებით პოტენციური პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში შეაჯამეთ შესაბამისი საკითხები და გადაწყვეტილებები:

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული პრობლემები	მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება/მითითება სამუშაო დოკუმენტზე

შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, რომელიც აღწერილი ზემოთ, მიმაჩნია, რომ:

~~ფინანსური ანგარიშგება სწორად არის მომზადებული სამეურნეო სუბიექტის ლიკვიდაციის საფუძველზე.*~~

- ფუნქციონირებადი საწარმოს კონცეფციის კლიენტის მიერ გამოყენება სწორია ~~*/არ არის სწორი*.~~
- არ არსებობს პრობლემები/ არსებობს პრობლემები არ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები* კლიენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ფუნქციონირებადი საწარმოს კონცეფციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის ასახვა საჭიროა*/არ საჭირო*.
- აუდიტორის დასკვნა უნდა იყოს არამოდიფიცირებული ~~*/არამოდიფიცირებული, აბზავით „არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით“*/პირობითი, საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო.*~~
- ~~(აუდიტორის ანგარიშში პირობითი მოსაზრების ან აბზავის სახელად "არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით" არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნა თუ არა მარეგულირებელი ორგანოსათვის შესაბამისი ანგარიშის გაგზავნის აუცილებლობა.~~

(* Delete as applicable)

ხელმოწერა: პეპე რიინა

[აუდიტორული გარიგების პარტნიორი] თარიღი:

20X8 წ. 3 თებერვალი

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პრობლემების ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტორის დასკვნაზე გავლენის შესახებ უფრო დეტალური მითითებები მოცემულია სახელმძღვანელოს მესამე თავის 5.4 პუნქტში, ასევე, ასს 570-ში.

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

20X7 წ. 30 ივნისს დასრულებული წელი

ფუნქციონირებადი საწარმო – დამატებით გასათვალისწინებელი საკითხები

20X7 წ. 22 ოქტომბერს ჯეიმს მენტან განხილულ იქნა საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხი

გასული წლების მსგავსად, დამკვეთმა ისევ არ მოამზადა დეტალური ბიუჯეტები. მართალია, ჯეიმს მენს აქვს გარკვეული მოლოდინი სამომავლო დანახარჯებსა და ზედნადები ხარჯების ბიუჯეტთან დაკავშირებით, მაგრამ მას არ მიაჩნია, რომ ამონაგებისა და ხარჯების დეტალური პროგნოზი შესაფერისია იმ ზომის ბიზნესისთვის, რომელსაც ის ფლობს.

თუმცა, როდესაც კითხვები დაუსვეს, მან დაადასტურა, რომ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და საბანკო ნაშთის / ოვერდრაფტის მონიორინგს, რათა დაადგინოს კომპანიის მოქნილობა „უარესი სცენარის“ პირობებში.

წლის განმავლობაში ოვერდრაფტის ზღვარი არ დარღვეულა და არ არსებობს ბანკის რომელიმე პირობის დარღვევის ნიშანი.

ის დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მომზადება შესაფერისია, რადგან:

- კომპანია ისტორიულად მოგებიანი იყო და ეს ტენდენცია გრძელდება;
- საბანკო ნაშთის შემცირება ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი რაოდენობით მარაგის შენახვით, რაც მისი აზრით აუცილებელია გრძელვადიან პერიოდში გაყიდვების გასაუმჯობესებლად;
- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ოვერდრაფტის მნიშვნელოვნად შემცირება ნაკლები მარაგის შენახვით;
- კომპანიამ ზომები მიიღო ზედნადები ხარჯების შესამცირებლად და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი დანახარჯის მიღებას ელოდება; და
- გრძელვადიან პერიოდში (ჯგუფის თვალსაზრისით, რაც გავლენას მოახდენს ხანადუში არსებულ ამ შვილობილ საწარმოზე) ბატონი მენი იმედოვნებს პენსიაზე გასვლას და ჯეიმსს სურს სამეურნეო საქმიანობის გაძლოლა, თუმცა ბატონი მენი დარწმუნებული არ არის უმჯობესი იქნება თუ არა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი დიდი კონკურენტისთვის მიყიდვა, რომელიც დააფასებდა მუურგეითის შენობების ქალაქში ადგილზე მდებარეობას. ნებისმიერ შემთხვევაში ის დარწმუნებულია, რომ სამეურნეო საქმიანობას გააჩნია საკუთარი ღირებულება.

PAR - 3/2/X8 - აღნიშნული საკითხები განვიხილეთ ბატონ მენტან აუდიტის დასრულების შეხვედრაზე - ზემოაღნიშნული ყველა საკითხი ისევ ძალაშია, ცვლილებები არ მომხდარა. მიაქციეთ ასევე ყურადღება, რომ კომპანია „თიქ ენდ ბაშმა“, ბატონ მენტან პირად საკითხებზე მუშაობისას შეიტყო, რომ მას პირადი ფონდები გააჩნია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მშობელი საწარმოს დასაფინანსებლად, რის შედეგად შესაძლებელი იქნება ამ კომპანიის ბანკის ოვერდრაფტის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩანაცვლება. ამგვარად Aa3b-ში მოცემული დასკვნა ძალაშია.

*მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა*

პეპე რიინა ენდ კო
ნაფიცი ბუდალტრები და აუდიტორი
მე-11 სართული
საერთაშორისო კომერციის ცენტრი
ქვისმეთის მოედანი
ხანადუ

20X8 წ. 15
თებერვალი

ძვირფასო ბატონებო

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე პერსონალის გამოკითხვასა და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებს, რომელიც ჩვენთვის საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვიძლია სათანადოდ წარგიდგინოთ იმ აუდიტთან დაკავშირებული თითოეული განმარტება, რომელიც მოიცავს კომპანიის 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს.

ვაცნობიერებთ ჩვენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თქვენთვის, როგორც აუდიტორებისთვის ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით და ვადასტურებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი აუდიტორული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გჭირდებოდეთ, თქვენი აუდიტორის დასკვნის მოსამზადებლად. თითოეულმა დირექტორმა განახორციელა ყველა ის ქმედება, რომელიც მას როგორც დირექტორს უნდა განეხორციელებინა, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობისათვის, ასევე იმისათვის, რომ თქვენთვის ცნობილი გამხდარიყო ყველა მსგავსი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება:

1. ვადასტურებთ, რომ, როგორც დირექტორებმა შევასრულეთ 20X4 წლის „კომპანიების აქტის“ (ხანადუ) ფარგლებში გათვალისწინებული ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა (20X4 წლის „კომპანიების აქტის“ (ხანადუ) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე ამ თარიღით დასრულებული პერიოდის საქმიანობის შედეგების შესახებ უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, რაც, თავის მხრივ, თქვენთვის ზუსტი ინფორმაციის ოფიციალურად წარდგენის საშუალებას გვაძლევს. ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავამტკიცეთ წლის 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება;
2. ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა და შეფასების მეთოდები ყველაზე მეტად შეესაბამება იმ გარემოებებს, რის მიხედვითაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას;
3. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებული შემთხვევებისა, კომპანიას არ დაუდია რაიმე სახის გარიგება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დირექტორები, სხვა ხელმძღვანელი პირები ან სხვა დაკავშირებული მხარეები, რომელიც მოითხოვს გასაჯაროებას 20X4 წლის „კომპანიების აქტის“ (ხანადუ) ან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისი ინფორმაცია გასაჯაროვდა კომპანიის კონტროლთან დაკავშირებით.
4. ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია ყველა ცნობილი ან შესაძლო/მოსალოდნელი სასამართლო პროცესის ან საჩივრის შესახებ, რომელთა შედეგები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და რომელიც გასაჯაროებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

*მენ ოფ მულერგეით (ხანადუ) ლიმიტიდ.
ხანადუში რეგისტრირებულია ნომრით 04321 შემდეგ მისამართზე: ბეიზმენტ სუიტი,
ვოთარგარდენის 10, ვოთარპორტ როუდი, ხანადუ.*

5. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის საბრუნავი კაპიტალისა და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად მინიმუმ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე ან მის შემდეგ.

6. საანგარიშო თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას საჭიროებს. თუ არსებითი მოვლენები განვითარდება, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან განმარტებითი შენიშვნებში ასახვას, დამატებით მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციას.
7. ჩვენ ვადასტურებთ, რომ განვიხილეთ დაუკორექტირებელი უზუსტობები, რომელთა შესახებაც გვაცნობთ და რომლებიც წარმოდგენილია ამ წერილის დანართში [აქ არ არის მოცემული]. მიგვაჩნია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული კორექტირებისათვის გასაწევი ხარჯები აღემატება ნებისმიერ სარგებელს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებელმა შეიძლება მათი გათვალისწინების შედეგად მიიღოს. შეუსწორებელი უზუსტობების საერთო ეფექტი არსებითი არ არის და არ მიგვაჩნია, რომ მათი ფინანსურ ანგარიშგებაში არასახვა, მის უტყუარობასა და სამართლიანობაზე გავლენას იქონიებს.
8. ვადასტურებთ, რომ დავეთანხმეთ ამ წერილზე თანდართულ კორექტირებას [აქ არ არის მოცემული], რომელიც შეტანილ იქნა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასა (ანგარიშგებებსა) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც მოგაწოდეთ აუდიტისთვის.
9. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს გეგმები და ზრახვები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნებისმიერი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე.

მოწოდებული ინფორმაცია:

10. აუდიტის მიზნებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სათანადოდაა აღრიცხული საბუღალტრო ჩანაწერებში. ჩვენ მოგაწოდეთ ყველა სხვა ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ და მოგეცით შეუზღუდავი წვდომა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ჩართულ პირებთან, რომელთანაც საჭიროდ მიიჩნიეთ გაემართათ დისკუსია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ყველა სხვა ჩანაწერი და შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, ხელმძღვანელობისა და აქციონერთა ყველა შეხვედრის ოქმები.
11. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციისა, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის არსებითი ვალდებულებების, რეზერვების, პირობითი ვალდებულებების, პირობითი აქტივების ან კაპიტალურ ვალდებულებებზე დადებული კონტრაქტის შესახებ, რომელიც ასახულ უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში.
12. კომპანიას გააჩნია დამაკმაყოფილებელი საკუთრების უფლება ყველა აქტივზე და კომპანიის აქტივებზე არ ფიქსირდება გირაო ან რაიმე სახის დატვირთვა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც უკვე ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
13. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ხანადუს ვალუტა.
14. ვადასტურებთ, რომ მიმოვიხილეთ ყველა არსებითი ძირითადი საშუალება და შევაფასეთ მათი ეფექტური სასიცოცხლო პერიოდისა და ნარჩენი ღირებულების გონივრულობა. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ ყველა არსებითი ძირითადი საშუალება (გარდა რეალური ღირებულებით ღირებულებით აღრიცხულისა) და გვჯერა, რომ არ არის საჭირო მიმოხილვის ჩატარება გაუფასურებასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები.
15. ვადასტურებთ, რომ მოგაწოდეთ ყველა დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობისა და ჩვენთვის ცნობილი, შესაბამისი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ამ დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.
16. ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უზუსტობის ან თაღლითობის თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შიდა კონტროლის შექმნასა და დანერგვაზე და გაგიმჟღავნეთ ჩვენს მიერ შესრულებული იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური

ანგარიშგება შეიძლება არსებით უზუსტობას შეიცავდეს თაღლითობის გამო. ჩვენთვის უცნობია რაიმე დარღვევების, მათ შორის თაღლითობისა და საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომლებშიც ჩართულნი არიან ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან სხვა პირები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა კონტროლში ან კომპანიის მიერ იმ პერსონალის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების შესახებ.

17. ჩვენთვის არ არის ცნობილი კანონმდებლობის, რეგულირების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან კომპანიის წესდების დარღვევების ფაქტების ან შესაძლო დარღვევების შესახებ, რაც შესაძლებელია კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმების ან სხვა ზარალის მიზეზი გახდეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების ბრალდების შესახებ.
18. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების თანახმად, არ არსებობს ისეთი საკითხები, რის შესახებაც გსურთ ჩვენთან გამართოთ დისკუსია, თქვენი პროფესიის ეთიკური პრინციპების შესაბამისობის კუთხით, გარდა თქვენს 20X7 წლის 25 სექტემბრის დაგეგმვის წერილში მითითებულისა.
19. ვადასტურებთ თქვენი 20X7 წლის 25 სექტემბრის დაგეგმვის წერილის მიღებას და ასევე ვადასტურებთ თქვენი 20X8 წლის 15 თებერვალს ხელმძღვანელობის წერილის მიღებას.

პატივისცემით

მ. მენი

მაიკლ მენი – დირექტორი
დირექტორთა საბჭოს სახელით

პეპე რიინა ენდ კო

ნაფიცი ბულალტრები და აუდიტორი
მე-11 სართული
საერთაშორისო კომერციის ცენტრი
ქეისმეითის მოედანი
ხანადუ

პირადად და კონფიდენციალური

დირექტორები
მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
ბეისმენტ სიუთ
ვოთარგარდენს 10
ვოთარპორტ როულ
ხანადუ

20X8 წლის 15 თებერვალი

ძვირფასო ბატონებო

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

შესავალი

ჩვენ მიერ ახლახან ჩატარებული მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდის 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული აუდიტის შემდეგ, გწერთ, რათა თქვენი ყურადღება იმ საკითხებს მივაპყროთ, რომლებიც ჩვენი მუშაობის მსვლელობისას გამოვლინდა, კომპანიის მიერ გამოყენებული კონტროლისა და პროცედურების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციებთან ერთად. ვიმედოვნებთ რომ ჩვენი შენიშვნები თქვენთვის სასარგებლო და კონსტრუქციული აღმოჩნდება.

აუდიტის დროს ჩვენი სამუშაო მოიცავდა კომპანიის გარკვეული ოპერაციებისა და პროცედურების შემოწმებას, მოცემული წლის ფინანსური ანგარიშგების თაობაზე მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ეს სამუშაო არ იყო მიმართული უპირატესად თქვენს შიდა კონტროლის მექანიზმში სისუსტეების, მათი საოპერაციო ეფექტურობის გამოვლენისაკენ ან თაღლითობის აღმოჩენისკენ. ეს წერილი მოიცავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენი ჩვეული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა და შესაბამისად, ჩვენი შენიშვნები მიჩნეული არ უნდა იყოს, როგორც თქვენი შიდა კონტროლის მექანიზმის, ასევე თქვენი შიდა კონტროლის საოპერაციო ეფექტურობის ყველა ხარვეზის ამომწურავი ჩამონათვალი, და არც ყველა იმ შესაძლო გაუმჯობესებისა და თქვენი შიდა კონტროლის საოპერაციო ეფექტურობისა, რომელიც შეიძლება იქნეს

მიღწეული.

ვაცნობიერებთ, რომ თქვენი პერსონალის რაოდენობის გამო შიდა კონტროლის სრული სისტემა არაპრაქტიკულია და დირექტორები ახორციელებენ უშუალო ზედამხედველობას, რაც, ჩვენი აზრით, აღნიშნულ გარემოებებში გონივრული გადაწყვეტილებაა. ჩვენ ზემოაღნიშნული გავითვალისწინეთ აუდიტის ჩატარებისა და ამ წერილის შედგენის პროცესში.

ჩვენი სამუშაო ასევე მოიცავდა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობის შემოწმებასა და კომპანიის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის დადგენას. აღნიშნული შემოწმების საფუძველზე, არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც, ჩვენი აზრით, საჭირო იქნებოდა თქვენი ყურადღების მიპყრობა.

რეზიუმე

ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ:

1. 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს კომპანიამ მარაგის ბითუმად ყიდვის პრაქტიკა შემოიღო, ძირითადი მომწოდებლებისგან უფრო მეტი ფასდაკლების მისაღებად. აღნიშნულმა გამოიწვია 20X7 წლის 30 ივნისს მარაგის მნიშვნელოვნად გაზრდილი დონე გასულ პერიოდებთან შედარებით და ხელი შეუწყო აღნიშნული თარიღით ბანკის მნიშვნელოვანი ოვერდრაფტის წარმოქმნას. ვაცნობიერებთ, რომ თქვენ იკვლევთ მარაგის გაკონტროლების გზებს და ჩვენი რეკომენდაციაა ისეთი სისტემები დანერგოთ, რომელიც პოტენციურად მოძველებული მარაგის დროულად გამოვლენის საშუალებას მოგცემთ.
2. გაყიდვებზე მუშაობისას გამოვავლინეთ შემთხვევები, როდესაც ორი თანამშრომელი არ ესწრებოდა ნაღდი ფულის მიღბას, დათვლასა და შეჯერებას. გვჯერა, რომ ეს ძირითადი კონტროლის მექანიზმია ნაღდი ფულის პოტენციურად ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ და ჩვენი რეკომენდაციაა, რომ აუცილებელია ორი თანამშრომლის დასწრება და ორივე მათგანის მიერ დღის განმავლობაში მიღებული თანხის აღრიცხვის ფურცელზე ხელის მოწერა აღნიშნულის დასადასტურებლად.

დასკვნა

თუ დამატებითი ინფორმაცია ან დახმარება დაგჭირდებათ, სიამოვნებით დაგეხმარებით.

მოხარული ვიქნებით, თუ დაგვიდასტურებთ ამ წერილის მიღებას და ველით თქვენს კომენტარებს მას შემდეგ, როდესაც შეძლებთ ჩვენს მიერ დასმული საკითხების განხილვას.

აღნიშნული წერილი განკუთვნილია მხოლოდ თქვენი პირადი ^{გ.კ.რ.} სარგებლობისთვის. იგი შედგენილ იქნა იმ პირობით, რომ არ მოხდება მისი ნებისმიერი მესამე მხარისთვის გასაჯაროება, მასში მოყვანილი საკითხების ციტირება ან მოხსენიება, ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე; და ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მხარესთან.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენს პერსონალს, ჩვენი მუშაობის დროს გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით

პეპე რიინა ენდ კო

Appendix 3.6.2
Aa5b

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეთ (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებე ლი: ს.ჯ.	თარიღი: 22/10/X7
მიმომხილვე ლი: ვ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7

ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ფურცელი [შუალედური/საბოლოო აუდიტი]

ბარათის მითითება	იდენტიფიცირებული საკითხები ¹	დამკვეთის შენიშვნები	რეკომენდაციები	ჩართული უნდა იყოს ხელმძღვანელობის წერილში ² დიახ/არა	მომდევნო აუდიტის ვიზიტისას, წინა აუდიტის დროს მონიშნული საკითხების შემოწმების შედეგები
E	პერიოდის დასასრულს მარაგის მაღალი დონე მარაგის მოძველებისა და საბრუნავი კაპიტალის შესაძლო პრობლემებს წარმოქმნის, არსებული მდგომარეობის გაგრძელების შემთხვევაში.	მარაგის დონეები მაღალია „ბითუმად“ ყიდვის ფასდაკლების მისაღებად, პრობლემას წარმოადგენდა პერიოდის დასასრულს არსებული ბანკის ოვერდრაფტი.	დამკვეთმა უნდა გაითვალისწინოს მარაგის სისტემის გაუმჯობესება (უკვე დაწყებულია), რათა შესაძლებელი გახდეს მარაგის დონეების გარკვევით მონიტორინგი. საჭიროა მარაგის შემცირება, თუ ეს შესაძლებელია.	დიახ	

T	<p>ნაღდ ფულზე გაყიდვების ოპერაციების ტესტირებამ გვიჩვენა, რომ თანხის ყოველდღიური შემოსვლის შეჯამებას ყოველთვის არ აწერს ხელს ორი პირი, როგორც ეს დამკვეთის პროცედურებით მოითხოვება.</p>	<p>დამკვეთმა განაცხადა, რომ დასვენების / ავადმყოფობის პერიოდში ყოველთვის პრაქტიკული არ არის თანხის მოძრაობაზე ორი თანამშრომლის დასწრება და პერსონალი სანდოა.</p>	<p>ეს არის სისტემის ძირითადი სუსტი მხარე (თუმცა მოპარვის მტკიცებულება არ არსებობს) და ორი თანამშრომელი ყოველთვის უნდა ესწრებოდეს.</p>	დიახ	
---	---	--	---	------	--

- ① აღნიშნული უნდა ფარავდეს სააღრიცხვო სისტემასა და კონტროლის გარემოში არსებულ სისუსტეებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ ასპექტებს და დამკვეთის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა თუ შეფასების მეთოდების სათანადოობას.
- ② ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა აისახოს წერილში ხელმძღვანელობის მიმართ. სხვა საკითხებთან მიმართებაში, საკმარისი იქნება ვერბალური კომუნიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი საკითხები არ არსებობს, ეს შეიძლება დადასტურებული იყოს ხელმძღვანელობის "ნებაყოფლობითი" წერილით ან ალტერნატივის სახით, ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ ოფიციალურ ინფორმაციაში შესაძლებელია მიეთითოს, რომ არ არსებობს ხელმძღვანელობის წერილის მომზადებისა და მოწოდების აუცილებლობა ~ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათობაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენებისას.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებე ლი: ს.ჯ.	თარიღი: 20/1/X8
მიმომხილვე ლი: ვ.პ.რ.	თარიღი: 22/1/X8

ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმი

მიზანი:

ასს-თან შესაბამისობის უზრუნველყოფა აუდიტის კრიტიკული საკითხების შეჯამებით და მათი გადაჭრის გზების დოკუმენტირებით. საბოლოო ანალიზურ პროცედურებთან ერთად წაკითხვისას, წინამდებარე მემორანდუმის შევსებამ აუდიტორული გარიგების პარტნიორი უნდა უზრუნველყოს, შესაბამისი აუდიტის დავალების შესრულებისას წამოჭრილი ყველა ძირითადი საკითხის შემაჯამებელი ჩამონათვალით.

ჩანაწერის გაკეთება:

ეს ფორმა უნდა შეივსოს და შეიცავდეს თავდაპირველი დაგეგმვის დოკუმენტაციაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას, შესაბამისი მნიშვნელოვანი რისკების საპასუხო ქმედებებს აუდიტის მსვლელობისას და ასს-ების მიერ მოთხოვნილ სხვა კონკრეტულ საკითხებს. აღნიშნული ფორმის პირველი 3 გვერდის გამოყენება სავალდებულოა.

თუ აუდიტორული გარიგების პარტნიორს სურს, რომ აღნიშნული ფორმა სრულად შეივსოს, რითიც ყოვლისმომცველი, ამომწურავად შეჯამებული ინფორმაციის არსებობას უზრუნველყოფს, რომელშიც (საბოლოო ანალიზურ პროცედურებთან ერთად წაკითხვისას) მოცემულია ფინანსური და არაფინანსური საკითხების კრიტიკული მიმოხილვა, აღნიშნულია სამუშაოს განსაკუთრებული ნაწილი; ძირითადი საკითხები, რომლებიც აუდიტორული გარიგების პარტნიორის მონაწილეობას მოითხოვს და ასევე ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დამკვეთის შემდგომ ჩართულობას მოითხოვს.

აღნიშნული ფორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ რუტინული მიმოხილვის საკითხების ან ადმინისტრაციული საკითხების აღსარიცხად, რომლებიც აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღებას მოითხოვს, ასევე არც დავალების შუალედურ ეტაპებზე შესრულებული განსაკუთრებული სამუშაოს აღწერისათვის.

იმ ცვლილებების და მათი გავლენის მოკლე მიმოხილვა, რომლებიც აუდიტის გეგმაში აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მათი დამტკიცების თარიღის შემდეგ იქნა შეტანილი:

არავითარი ცვლილებები - რისკი ხელახლა იქნა განხილული, მაგრამ ისევ შესაფერისად იქნა მიჩნეული. დამკვეთის წინასწარი ციფრები არ შეცვლილა, გარდა საგადასახადო ხარჯისა - მამასადამე, არ შეცვლილა არსებითობა.

ვამტკიცებ დაგეგმვაში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს და მიმაჩნია, რომ ისინი სათანადოდ იქნა ინტეგრირებული აუდიტორულ მიდგომაში.

ცვლილებები დამტკიცებულია: პეპე რიინა (გარიგების პარტნიორი) 20X8წ. 3
თებერვალს.

განვიხილეთ ასს 315-ის მოთხოვნები, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი რისკის განმარტება, „გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც, აუდიტორის შეფასებით, სპეციალურ აუდიტორულ განხილვას საჭიროებს“.

გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკების შეჯამება, ამ რისკებზე შესრულებული აუდიტორული ტესტების შედეგი და გამოტანილი დასკვნები (სავალდებულო განყოფილება):

(საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სტრიქონები)

სფერო/მტკიცება	გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკი	მინიმუმება აუდიტორულ	აუდიტორული ტესტების შედეგები	გამოტანილი დასკვნები
თაღლითობა	ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების უგულვებელყოფა	Ac10	როგორც დაგეგმვის ეტაპზე აღინიშნა, სრულად იქნა გამოყენებული ძირითადი პროცედურების მიდგომა, ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის უგულვებელყოფის შესაძლებლობის გამო.	თაღლითობის რისკი არ გამოვლენილა ამ სამუშაოს შესრულებისას.
თაღლითობა	თაღლითობის რისკი ამონაგების აღიარებისას	O ნაწილი	ამონაგები ემყარებოდა მხოლოდ პერიოდის განმავლობაში გაგზავნილ საქონელს. ამონაგების ტესტირებისას არ გამოვლენილა შეუსაბამო ოპერაციები.	თაღლითობის რისკი არ გამოვლენილა ამ სამუშაოს შესრულებისას.
	<i>სხვა მნიშვნელოვანი რისკი არ გამოვლენილა.</i>			

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი რისკები იდენტიფიცირებულია, გარიგების შესრულებისას განხორციელდა სათანადო საპასუხო ქმედებები და სათანადოდ მოხდა მათ შესახებ დამკვეთის ინფორმირება დაგეგმვის წერილის მეშვეობით (ან, დავალების შემდგომ/უფრო გვიან ეტაპზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკების შემთხვევაში, ალტერნატიული, შესაბამისი დოკუმენტაციის საშუალებით).

ხელმოწერა: პეპე რიინა (გარიგების პარტნიორი) 20X8 წ. 3 თებერვალი

საკითხ(ებ)ი:	აუდიტის გუნდის კომენტარები და დასკვნები:	(შესაბამის შემთხვევაში) დამკვეთისგან მოთხოვნილ დამატებითი ინფორმაცია და შემდგომში მიღებული ინფორმაციის შეჯამება:	(შესაბამის შემთხვევაში) აუდიტორული გარიგების პარტნიორის ჩართულობის აუცილებლობა:	აუდიტორული გარიგების პარტნიორის დასკვნა/დასკვნები:
სფეროები, რომლებთან მიმართებაში კონსულტაცია იქნა მიღებული (სავალდებულო სექცია):				
18/10/X7-ში ხანადუს „ტექნიკურ საბუღალტრო დახმარებასთან“ განხილულ იქნა აუდიტორული მიდგომა მარაგთან / დებიტორული დავალიანების – ფაილი არ არის მიბმული [აქ არ არის მოცემული].	მიღებულ იქნა რჩევა და ზომები.	არ შეესაბამება	არ შეესაბამება	დავეთანხმე მეთოდსა და შედეგებს.
დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და აუდიტის გუნდის მიერ გამოვლენილ ფაქტებს შორის დაფიქსირებული შეუსაბამობები (სავალდებულო სექცია):				
არავითარი				
სფეროები, რომლებშიც ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის გუნდისათვის დასტურის წერილების გაგზავნაზე უარის თქმამ ალტერნატიული პროცედურების შესრულება გამოიწვია (სავალდებულო სექცია):				
არავითარი				
ასს-ის მოთხოვნებიდან გადახვევა, გადახვევის მიზეზი და შესრულებული ალტერნატიული აუდიტორული პროცედურები (სავალდებულო სექცია):				

არავითარი				
-----------	--	--	--	--

სხვა საკითხები (მათ შორის, ნებისმიერი სახის გადაუჭრელი აუდიტორული საკითხები):

საკითხ(ებ):	აუდიტის გუნდის კომენტარები და დასკვნები:	(შესაბამის შემთხვევაში) დამკვეთისგან მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია და შემდგომში მიღებული ინფორმაციის შეჯამება:	(შესაბამის შემთხვევაში) აუდიტორული გარიგების პარტნიორის ჩართულობის აუცილებლობა:	აუდიტორული გარიგების პარტნიორის დასკვნა/დასკვნები:

ცვლილებები, ან ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

საკითხები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:

~~საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენები:~~

საკითხები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:
	

~~სამომავლო მოვლენები:~~

საკითხები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:
	

~~ხარჯები დღემდე, მათ შორის, ბიუჯეტიდან, ასევე შესრულების განრიგიდან გადახრის განმარტება:~~

საკითხები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:
	

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: ლი: ს.ჯ.	თარიღი: 22/10/X7
მიმომხილველი: ლი: ვ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7

საბოლოო ანალიზური პროცედურები

მიზანი:

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ისე, რომ მოპოვებული შედეგები, სხვა აუდიტორული ტესტებიდან გამოტანილ დასკვნებთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლეოდეს.

ჩაწერა:

განიხილეთ სამეურნეო სუბიექტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი კოეფიციენტები. საჭიროა ამ კოეფიციენტების ნებისმიერი სახის დიდი ან მოულოდნელი ცვლილებების ახსნა. აღნიშნული სექცია აგრეთვე უნდა მოიცავდეს, ინფორმაციას ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგების ძირითადი მუხლების მნიშვნელოვანი ან მოულოდნელი ცვლილებების შესახებ.

უნდა ჩატარდეს მიმდინარე პერიოდის მონაცემების შედარება წინა პერიოდის და/ან საბიუჯეტო მონაცემებთან. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ბიზნესის ძირითადი კოეფიციენტებისა და ელემენტების მნიშვნელოვანი ან მოულოდნელი ცვლილებების შესახებ მოპოვებული ახსნა-განმარტებები სხვა მტკიცებულებებითაც უნდა დადასტურდეს. შედეგად გამოტანილი უნდა იყოს დასკვნა.

ანალიზური პროცედურების ჩატარება აუდიტის დასრულების ეტაპზე სავალდებულოა. თუმცა, წინამდებარე ფორმის გამოყენება სავალდებულო არ არის.

იმ ძირითადი მაჩვენებლების რეზიუმე, რომელიც შეიძლება იქნეს გამოთვლილი ან შესაფერისი პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტიდან დაიბეჭდოს (დაუმატეთ სხვები, რომლებიც კონკრეტულად ამ სამეურნეო სუბიექტის შესაფერისია):

- (საერთო მოგება/ამონაგები) x 100
- (მოგება დაბეგვრამდე / ამონაგები) x 100
- (პირდაპირი ხარჯები/მარაგები)
- (სავაჭრო დებიტორული დავალიანება/საკრედიტო გაყიდვები) ① x 365
- (სავაჭრო კრედიტორული დავალიანება/საკრედიტო შესყიდვები) ② x 365
- მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები
- (მიმდინარე აქტივები – მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები
- მთლიანი ვალდებულებები/კაპიტალი

① ზუსტი მაჩვენებლის მისაღებად, საჭიროა, ბრუნვაზე გადასახადის გათვალისწინებით (დღგ) კორექტირებების შეტანა.

ძირითადი მონაცემების შედარება (ან შეჯამეთ იქ, სადაც აღნიშნული სამუშაო იქნება წარდგენილი)

მაგალითად:

მიმდინარე წლის მონაცემები, ხელმძღვანელობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერვალების გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ შეადარეთ შემდეგი მონაცემების შერჩევით ერთობლიობას:

- წინა წლის მონაცემები;
- საბიუჯეტო მონაცემები;
- დარგის და სხვა გარე სტატისტიკა;
- არაფინანსური ინფორმაცია (მიუთითეთ ინფორმაცია); ან
- ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

დარწმუნდით, რომ შეჯამება მომზადებულია ყველა გადახრისათვის (როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული), ჩატარებული ანალიზის დასასაბუთების მიზნით.

საბოლოო ანალიზური პროცედურების შედეგები შეადარეთ წინასწარი ანალიზური პროცედურების შედეგებს.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება:

კომპანიისთვის, რომელიც მიჩვეული იყო მნიშვნელოვანი მოგების მიღებას, ეს წელი რთული წელი იყო. მართალია, კომპანიამ მაინც მიიღო მოგება, მაგრამ პერიოდის განმავლობაში საბანკო ნაშთი ოვერდრაფტში გადავიდა გაზრდილი მარაგის ოდენობის გამო, ხოლო მოგება შემცირდა შემცირებადი მარჟებისა და ელექტრონული ალტერნატივების მზარდი გამოყენების გამო.

ამონაგები 13%-ით შემცირდა, გასული წლის გაყიდვების საპირისპიროდ და ახლო მომავალში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელს შესყიდვების განხორციელების სურვილი ნაკლებად აქვს. ამონაგების შემცირება როგორც ჩანს, განაპირობა გასაყიდი ფასებისა და შესაბამისად მარჟების (4 პროცენტული პუნქტით შემცირდა) და აქტივობის შემცირების ერთობლიობამ.

აქტივობის შემცირებამ გამოიწვია დირექტორის მიერ ზედნადები ხარჯების გულდასმით გამოკვლევა, რამაც გამოავლინა ზედმეტი ხარჯები და შემცირდა არა-აუცილებელი დანახარჯი. აღნიშნულის შედეგად კომპანიამ £80 ათასი დანახოგი მიიღო.

გადასახადი შემცირდა მოგების შემცირების გამო - დეტალური ინფორმაციისთვის იხ. J ნაწილი [აქ არ არის მოცემული].

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას - ძირითადი საშუალებები გაიზარდა ახალი ავტომობილის შეძენით, რაც აჭარბებს პერიოდის ცვეთის ხარჯს.

მიმდინარე წელს მარაგის დონე მაღალია, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები იქნა მოპოვებული E ნაწილის ყველა მტკიცებაზე [აქ არ არის მოცემული].

დებიტორული დავალიანებებისა და კრედიტორული დავალიანებების შემცირება გამოწვეულია ამონაგების ვარდნით და შემცირებული საგადასახადო ვალდებულებით, შესაბამისად.

უჩვეულო გადახრების განმარტებები (ან შეაჯამეთ იქ, სადაც აღნიშნული სამუშაო იქნა წარმოდგენილი)

მაგალითად:

გამოიკვლიეთ ნორმალური და ანომალური გადახრები და დაადოკუმენტირეთ შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

ჩაიწერეთ მოპოვებული მტკიცებულების დეტალები, მიღებული განმარტებების

დასაბუთებისა და დადასტურებისათვის.

განიხილეთ, საჭიროა თუ არა წამოჭრილი საკითხებიდან რომელიმეს შეტანა ქვემოთ მოცემულ დოკუმენტებიდან ერთ-ერთში:

- წერილი ხელმძღვანელობას, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში აღმოჩენილი სისუსტეების არსებობის შედეგად; ან
- ოფიციალური წერილი, ისეთი საკითხების განმარტებების გამო, რომლისთვისაც მხოლოდ ზეპირი მტკიცებულებებია ხელმისაწვდომი.

განიხილეთ, ხომ არ მიუთითებს რომელიმე გამოვლენილი უჩვეულო გადახრა, თაღლითობით განპირობებულ არსებითი უზუსტობის ისეთ რისკზე, რომელიც მანამდე ვერ იქნა იდენტიფიცირებული.

ეს ინფორმაცია ზემოთ არის ასახული.

დასკვნა:

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩავატარე როგორც საერთო, ისე დეტალური ანალიზური პროცედურები და კმაყოფილი ვარ იმით, რომ:

- მონაცემებში არ არის დიდი ან უჩვეულო გადახრები, რომელთა ადეკვატური ახსნაც არ არის შესაძლებელი;
- არ გამოვლენილა თაღლითობის ნიშნები; და
- არ გამოვლინდა ახალი ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტების წარდგენაზე ან მასში გასაჯაროებულ ინფორმაციაზე.

ხელმოწერა: სტიუარტ ჯეკსონი.....თარიღი: 22/10/17

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეთ (ხანადუ) ლომითიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: ს.გ.	თარიღი: 22/10/X7
მიმომხილველი: გ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7

შეუსწორებელი შეცდომების რეზიუმე

თუ აუდიტის მსვლელობისას მთლიანი აგრეგირებული უზუსტობების ოდენობა სამუშაო არსებითობას მიაღწევს ან გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი მიანიშნებს, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა უზუსტობები, რის შედეგად დაგროვილი უზუსტობების ოდენობა სამუშაო არსებითობას გადააჭარბებს, უნდა განისაზღვროს საჭირო იქნება თუ არა აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის გადასინჯვა.

მიზანი:

შეცდომების წინამდებარე რეზიუმეს მიზანია იმის განსაზღვრა რაიმე შეცდომა, მათ შორის გასაჯაროებასთან დაკავშირებული შეცდომები, რომელიც ჯერ შესწორებული არ არის (მათ შორის გასულ პერიოდებთან დაკავშირებული შეუსწორებელი უზუსტობები), ინდივიდუალურად ან მთლიანობაში საკმარისად არსებითია თუ არა იმისათვის, რომ განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილების შეტანა და იმის უზრუნველყოფა, რომ მათ შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს დამკვეთს, როდესაც შესაფერისია. საჭიროა ასევე დაბეგვრის გავლენის დოკუმენტირება, როდესაც შესაფერისია.

მასშტაბი:

ამ ფორმაში უნდა აისახოს ყველა შეცდომა ან შეცდომები, რომლებიც მინიმალურ დონეს აღემატება, რომელიც აუდიტორული გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს (როგორც წესი, ეს დონე არსებითად უმნიშვნელო ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია).

არსებითად უმნიშვნელო Ac13-ის მიხედვით	CU	170
საბოლოო სამუშაო არსებითობა Ac13-ის მიხედვით	CU	12,750
საბოლოო არსებითობა Ac13-ის მიხედვით	CU	17 000

მინიშნება სამუშაო დოკუმენტ ი	ანგარიში და შეცდომის აღწერა	პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე				შესწორება? დიახ/არა
		საქმ. შედეგების ანგ.		ფინ. მდგომ. ანგ.		
		Dr	Cr	Dr	Cr	
ფაქტობრივი შეცდომები - ფაქტობრივი						
I12 E5	შეცდომა დარიცხვის გამოთვლაში შეცდომა მარაგის შეფასებაში	1,897.00 789.00			1,897.00 789.00	არა არა
ფაქტობრივი შეცდომები - განსჯითი						შესწორება?

შეცდომების ექსტრაპოლაცია						შესწორება?
E5	შეცდომა მარაგის შეფასებაში	4,500.00			4,500.00	არა
შეცდომა გასაჯაროებაში						შესწორება
შეუსწორებელი შეცდომების საერთო გავლენა		7,186.00			7,186.00	

დასკვნა (მოიცავს მხოლოდ იმ შეცდომებს, რომლებიც კვლავ შეუსწორებელია):

მინიშნება სამუშაო დოკუმენტუ ე	დეტალები	პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე			
		საქმ. შედეგების ანგ.		ფინ. მდგომ. ანგ.	
		Dr	Cr	Dr	Cr
B DIV	არამატერიალური აქტივები და გუდვილი				
C DIV	ძირითადი საშუალებები				
D/G DIV	ინვესტიციები				
E DIV	მარაგი				5,289.00
F DIV	დებიტორული დავალიანება				
H DIV	ფულადი სახსრები ბანკში და სალაროში				1,897.00
I DIV	კრედიტორული დავალიანება				
J DIV	გადასახადი				
L DIV	ანარიცხები				
M DIV	კაპიტალი				
O DIV	ამონაგები				
P DIV	პირდაპირი დანახარჯები	5,289.00			
Q DIV	სხვა შემოსავალი და შემოსულობები	1,897.00			
R DIV	სხვა დანახარჯი და ზარალი				
შეუსწორებელი შეცდომების საერთო გავლენა		7,186.00			7,186.00

მთლიანობაში შეცდომები უმნიშვნელოა (როგორც განისაზღვრა დაგეგმვის წერილით) და ინფორმაცია არ მიუწოდებიათ დირექტორებისათვის.*

მთლიანობაში შეცდომები უმნიშვნელო არ არის და დირექტორებმა სიტყვიერად დაადასტურეს, რომ მათ არ სურთ ამ შეცდომების შესწორება, რასაც ოფიციალურად წარდგენილი ინფორმაციით დაადასტურებენ.*

კმაყოფილი ვარ, რომ ზემოაღნიშნული შეცდომების გაერთიანებული გავლენა სამუშაო არსებითობაზე ნაკლებია მთლიანად ფინანსური ანგარიშგებისთვის **, მაშასადამე, შესწორება საჭირო არ არის.*

მთლიანობაში შეცდომები აღემატება სამუშაო არსებითობას მთლიანად ფინანსური ანგარიშგებისათვის **, ამიტომ, გამოუვლენელი მუხლების რისკის გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად არასწორია და აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული იქნება (Aa1, მე-7 გვერდი)

ხელმოწერა: პეპე რიინა (გარიგების პარტნიორი) თარიღი: 20X8 წ. 3 თებერვალი

* წამალეთ თუ საჭიროა

** მოგება ზარალად არ გადაიქცევა (ან პირიქით) ან წმინდა აქტივების პოზიცია წმინდა ვალდებულებების პოზიციად (ან პირიქით), ინდივიდუალურ სფეროში შესწორებები, უზუსტობები აღემატება სამუშაო არსებითობის დონეს ან მეტია, ვიდრე ვიდრე სამუშაო არსებითობის ნებისმიერი კონკრეტული მაჩვენებელი, რომელიც მოცემულია Ac13-ში (მაგალითად, ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, დირექტორთა ანაზღაურება და სხვა). ამასთან, როდესაც დამაკვეთი ხელოვნურად, სუბიექტურად არჩევს პოტენციურ შესწორებებს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების ან ფულადი ნაკადების გარკვეული სახით წარსადგენად (მაგ. შესწორებულია ყველა მუხლი, რომელიც მოგებას ამცირებს, მაგრამ არ გაკეთებულა შესწორებები, რომლებიც მოგებას ზრდის), მაშინ ესეც განიხილება, როგორც არსებითი შეცდომა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნები:

„არსებითად უმნიშვნელო“ შეცდომების დაგროვება საჭირო არ არის. ეს მუხლები არსებითად უმნიშვნელოა ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, მიუხედავად იმისა, ისინი განხილულ იქნება სიდიდის, ხასიათისა თუ გარემოებების თვალსაზრისით. შემოთავაზებულია, რომ აუდიტორული არსებითობის 1% იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ მუხლი მიჩნეულ იქნეს არსებითად უმნიშვნელოდ, თუმცა შესაძლებელია განსხვავებული პროცენტის გამოყენება, თუ მიიჩნევა, რომ ეს უფრო შესაფერისია და სათანადოდ დასაბუთდება.

თუმცა, თანხებთან დაკავშირებული უზუსტობები შეიძლება არსებითად უმნიშვნელოდ არ იქნეს მიჩნეული ხასიათის ან გარემოებების კრიტერიუმების მეშვეობით განსჯისას. თუ ეს ასეა, საჭიროა უზუსტობების, როგორც შეუსწორებელი შეცდომების დაგროვება.

შეიძლება გასაჯაროების უზუსტობებიც იყოს არსებითად უმნიშვნელო ინდივიდუალურად ან ერთობლივად მიუხედავად იმისა, ისინი განხილულ იქნება სიდიდის, ხასიათისა თუ გარემოებების თვალსაზრისით. გასაჯაროების უზუსტობები, რომლებიც არსებითად უმნიშვნელო არ არის, ასევე აკუმულირდება, რათა აუდიტორს დაეხმაროს მსგავსი უზუსტობების შესაბამის გასაჯაროებასა და მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის შეფასებაში. ასს 450-ის პუნქტში გ13ა მოცემულია გასაჯაროებასთან დაკავშირებული იმ ხარისხობრივი უზუსტობების მაგალითები, რომლებიც შეიძლება არსებითი იყოს.

წლიური ფაილის ინდექსი

Ab

მინიშნება: საკონტროლო ჩამონათვალები

ინიციალები

1	ფინანსური ანგარიშგების კრიტიკული მიმოხილვა	ს.ჯ.
2	გასაჯაროებისგან გათავისუფლების უფლება	
3	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები და შესაბამისობის წლიური საკონტროლო ჩამონათვალი	
4	კორპორაციული გასაჯაროების საკონტროლო ჩამონათვალი	ვ.ბ.რ.
5		
6		
7		
8		
9		
10		

შენიშვნები:

შემსრულებელი:	<i>სტიუარტ ჯეკსონი</i>	თარიღი:	<i>20X7 წ. 22 ოქტომბერი</i>
მიმოხილველი:	<i>ვორენ რობერტსი</i>	თარიღი:	<i>20X7 წ. 12 ნოემბერი</i>
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა:	<i>პეპე რიინა</i>	თარიღი:	<i>20X8 წ. 3 თებერვალი</i>

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

ფინანსური ანგარიშგების კრიტიკული მიმოხილვა

- 1 გამონაკლისით სარგებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია თუ არა, რომ კომპანიას კვლავ ექნება აღნიშნული გამონაკლისით სარგებლობის უფლება (დანართი 1.4, Ab2)?
- 2 მიმოხილულ იქნა თუ არა სხვა ინფორმაცია, რომელიც აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებას ახლავს, დირექტორების ანგარიშების ჩათვლით (თუ შესაფერისია), იმაში დასარწმუნებლად, რომ იგი თავსებადია, შესაბამისი იურისდიქციის საფუძველზე მომზადებულ, აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და ის, რამდენადაც აუდიტორისათვის არის ცნობილი, არ შეიცავს შეცდომებს (ასს 720.14)?
- 3 სწორია თუ არა მინიშნება საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობაზე (მაგ., წელი ან შესაბამისი პერიოდი, რომელიც სრულდება)?
- 4 სწორად წერია თუ არა კომპანიისა და ხელმძღვანელ(ებ)ის სახელები ყოველწლიურ ანგარიშში და შეესაბამება თუ არა კომპანიის სახელწოდება **ზუსტად** იმ სახელწოდებას, რაც რეგისტრირებულია ჩვენს „კომპანიების რეესტრში“?
- 5 შედეგენილი იქნა თუ არა ფინანსური ანგარიშგება?
- 6 ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ ჩანაწერი შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელების რაოდენობას?
- 7 არის თუ არა გვერდები დანომრილი და შესაბამისობაშია თუ არა ეს შინაარსის ამსახველ გვერდსა და აუდიტორის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასთან?
- 8 შემოწმდა თუ არა შესაბამისი თანხები?
- 9 თუ შესაბამისი თანხები არ არის აუდიტირებული, ანოტირებულია თუ არა ისინი შესაბამისად და "სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი" შეტანილია თუ არა აუდიტორის ანგარიშში (ასს 710.14 / ასს 706.10 და 11)?

დიახ/არა/არ გამოიყენება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე /კომენტარი
არ გამოიყენება	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
არ გამოიყენება	
დიახ	
დიახ	
დიახ	

- 10 გამოყენებულია თუ არა ფრჩხილები სწორად და თანმიმდევრულად ძირითად ანგარიშგებებსა და შენიშვნებში?
- 11 არის თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიში დაბალანსებული?
- 12 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშგების კუნქტები ჯვარედინად შედარდა თუ არა მთავარ ცხრილებთან?

- 13 შეესაბამება თუ არა დამატებითი „ხელმძღვანელების ინფორმაცია“ ისეთი, როგორიცაა მოგების ან ზარალის დეტალური ანალიზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო განყოფილებაში ასახულ შესაბამის ინფორმაციას და მოხდა თუ არა მისი შესაბამისი ანოტაციით მონიშვნა, რომ „ეს გვერდები არ არის აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი“?
- 14 განმარტებითი შენიშვნების ნუმერაცია ედრება თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისა და საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას/ანგარიშგებებს (შესაბამის შემთხვევაში) და თანმიმდევრულია თუ არა?
- 15 *(საჭიროების შემთხვევაში)* გაკეთდა თუ არა ფულადი ნაკადების ანგარიშგების (განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით) *ჯვარედინი მონიშვნა*, ფაილის S განყოფილებასთან?
- 16 სადაც განმარტებითი შენიშვნები შეიცავს მინიშნებებს *გვერდების ნუმერაციაზე ან სხვა განმარტებით შენიშვნებზე, სწორია თუ არა ისინი?*
- 17 *განმარტებით შენიშვნებში* ასახული დეტალები შეესაბამება თუ არა ძირითად ანგარიშგებებს?
- 18 *(შესაბამის შემთხვევაში)* აუდიტორის ანგარიშში მითითებული გვერდები მოიცავს თუ არა დირექტორთა ანგარიშებსა და რაიმე სახის „მმართველობით ინფორმაციას“?
- 19 აუდიტორის დასკვნაში სწორად არის მითითებული თუ არა "ზარალი" ან „მოგება“ ან „შედეგები“, გარემოებებისდა მიხედვით?
- 20 არის თუ არა აუდიტორის დასკვნაში დასმული ხელმოწერა და შეიცავს თუ არა იგი "სავალდებულო აუდიტის შემსრულებლის" სახელს?
- 21 აუდიტორის დასკვნით მოცული და (შესაბამის შემთხვევაში) დირექტორთა ანგარიშით მოცული პერიოდები შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგების გარეკანზე ასახულ ინფორმაციას?
- 22 *(შესაბამის შემთხვევაში)* შეიცავს თუ არა დირექტორთა ანგარიში მოგების ან ზარალის სწორ ციფრებს?

დიახ/არა/არ გამოიყენება	მინიშვნა სამუშაო დოკუმენტზე /კომენტარი
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	
დიახ	

ზემოაღნიშნული ტესტები შესრულდა დამკვეთისთვის გაგზავნილ ფინანსური ანგარიშგების პროექტზე.

ხელმოწერა: სტიუარტ ჯეკსონი.....თარიღი: 22/10/17.....

ზემოაღნიშნული ტესტები შესრულდა დამკვეთისთვის გაგზავნილ საბოლოო ფინანსური ანგარიშგებაზე. ფინანსური ანგარიშგება სწორად არის მომზადებული და წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულია.

ხელმოწერა ვორენ რობერტსი (მენეჯერი) თარიღი: 14/2/18.....

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: ს.ჯ.	თარიღი: 22/10/X7
მიმომხილველი: ვ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7

კორპორატიული ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო ჩამონათვალი (ფასს)

გამოყენების სფერო

აღნიშნული საკონტროლო კითხვარი უნდა შეივსოს ყველა კორპორატიული სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, სადაც იცავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს) და არ არის მიზანშეწონილი დანართ 3.14-ის შევსება – ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისა და შესაბამისობის ყოველწლიური განხილვის საკონტროლო ჩამონათვალი.

აღნიშნული საკონტროლო ჩამონათვალი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, რომელიც იყენებს ფასს-ს და შეიცავს მთელ რიგ „საუკეთესო პრაქტიკის“ გასაჯაროებულ ინფორმაციას, რომელიც, ჩვეულებრივ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების შედეგად. თუ ამგვარი საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებული ინფორმაცია არ არის მოთხოვნილი, ან აკრძალულია კანონმდებლობით, აუცილებელი იქნება მისი უგულებელყოფა და, სადაც საჭიროა, ამ გასაჯაროებული ინფორმაციის ჩანაცვლება შესაბამისი კანონმდებლობით მოთხოვნილი გასაჯაროებული ინფორმაციით.

ფასს-ის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ არსებით მუხლებზე. არარსებითი ნაშთები შეიძლება გაერთიანდეს სხვა ანგარიშების სათაურებში და საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლებელია და აუცილებელიც არის, არარსებითი შენიშვნებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ამოღება [ბასს 1 პუნქტები 29-31].

არსებობს სამი ძირითადი სტანდარტი, რომელთა ძალაში შესვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი ან 2019 წლის 1 იანვარი: ფასს 9, 15 და 16. ისინი არ შედის აღნიშნული საკონტროლო ჩამონათვალის მოქმედების სფეროში. უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უშუალოდ ფასს-დან.

შენიშვნა: საკონტროლო ჩამონათვალის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, უფრო სპეციალიზირებული სფეროები განხილულ იქნა დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარების მეშვეობით. მათი შევსება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სფეროები არსებობს.

შენიშვნა: აღნიშნული საკონტროლო ჩამონათვალი არ მოიცავს ისეთი კომპანიებისათვის მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციის გასაჯაროებას, რომლებიც დებენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, იქ სადაც აღნიშნული შესაბამისია, უნდა შესრულდეს ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნები ფასს 4-ის შესაბამისად. ის აგრეთვე არ მოიცავს ბასს 26-ის მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ იმ დამკვეთებზე, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ საპენსიო სქემებს და არც ფასიკ 2-ს, რომელიც კოოპერატიულ სამეურნეო სუბიექტებს შეეხება. საკონტროლო ჩამონათვალი აგრეთვე არ მოიცავს იმ კომპანიების გასაჯაროების მოთხოვნებს, რომელთაც გააჩნიათ კოტირებული კაპიტალი ან ვალდებულება.

სპეციალური სფერო ~ დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება რომელიც შეეხება:-	მინიშნება დანართზე ამ სახელმძღვანელოზე	არის თუ არა აღნიშნული სფერო შესაფერისი? (დიახ/არა)	შევსებულია თუ არა დამატებითი საკონტროლო ჩამონათვალი? (დიახ/არა/არ ივსება)
წერალური რესურსების კვლევა და შეფასება	დან. 3.15.1	არა	არ ივსება
ადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა	დან. 3.15.2	არა	არ ივსება
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	დან. 3.15.3	არა	არ ივსება
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	დან. 3.15.4	არა	არ ივსება
ფასს-ის პირველად გამოყენება	დან. 3.15.5	არა	არ ივსება
მშობელი კომპანია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური	დან. 3.15.6	არა	არ ივსება

შესაფერისი სფეროებისთვის, გრაფაში „დამატებითი საკონტროლო ჩამონათვალი შევსებულია“ - საჭიროებისამებრ უნდა მოინიშნოს: „დიახ“, „არა“ ან „არ ივსება“. პასუხის, „არა“, შემთხვევაში საჭიროა სათანადო ახსნა.

შინაარსი

- 1-ლი ნაწილი წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია
- მე-2 ნაწილი დირექტორთა ანგარიში (ბიზნესის მიმოხილვა) ~ ინფორმაციის გასაჯაროების საუკეთესო პრაქტიკა
- მე-3 ნაწილი დირექტორთა ანგარიში ~ ინფორმაციის გასაჯაროების საუკეთესო პრაქტიკა
- მე-4 ნაწილი სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები
- მე-5 ნაწილი საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
- მე-6 ნაწილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები
- მე-7 ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- მე-8 ნაწილი სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები
- მე-9 ნაწილი განმარტებითი შენიშვნები და სხვა ინფორმაციის გასაჯაროება

ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია				
მინიშნება			დიახ/არა/ არ ივსება	კომენტარები
	1	მოიცავს თუ არა წლიური ანგარიში შემდეგ დოკუმენტებს:		
	1.1	➤ თავფურცელი;	დიახ	
	1.2	➤ სარჩევი;	დიახ	
საუკეთესო პრაქტიკა	1.3	➤ დირექტორთა ანგარიში;	დიახ	
ბასს 1.9ა	1.4	➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;	დიახ	
IAS 1.9(b) ბასს 19(ბ) ბასს 1.10 ა ბასს 1.80 A	1.5	➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI); აღნიშნული წარმოდგენილ უნდა იქნას ერთი ანგარიშგების სახით, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, ზედა ნაწილში მითითებული იქნება მოგებისა და ზარალის შეჯამებული ელემენტები, ხოლო ქვედა ნაწილში სხვა სრული შემოსავალი (OCI). ალტერნატივის სახით, მისაღებია ორი ანგარიშგების არსებობა: მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და სრული შემოსავლის ანგარიშგება (აღნიშნული დაიწყება პერიოდის მოგებით ან ზარალით).	დიახ	
ბასს 1.9 (გ)	1.6	➤ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	დიახ	
ბასს 1.9 (დ) ბასს 7	1.7	➤ ფულადი ნაკადების ანგარიშგება	დიახ	
ბასს 1.9(ე) ბასს 1.112 ბასს 1.113 ბასს 1.114	2	წარმოდგენილ იქნა თუ არა შენიშვნები სისტემატიური სახით? ბასს 1-ით რეკომენდებულია შემდეგი თანმიმდევრობა :- ➤ განცხადება ფასს-თან შესაბამისობის შესახებ; ➤ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება; ➤ დამხმარე ინფორმაცია პირველად ანგარიშგებაში წარმოდგენილი ელემენტებისთვის; ➤ სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია, მათ შორის:- ○ პირობითი ვალდებულებები და აუდიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებები; და ○ არაფინანსური გასაჯაროებული ინფორმაცია, მაგალითად, სამეურნეო	დიახ	

		სუბიექტის ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა.		
ბასს 1.49	3	წლიურ ანგარიშში ფინანსური ანგარიშგება ნათლად არის თუ არა გამოყოფილი სხვა ინფორმაციისგან?	დიახ	
ბასს 1.11	4	ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილ ყველა პირველადი ანგარიშგება თანაბარი მნიშვნელობით არის წარდგენილი თუ არა?	დიახ	
ბასს 1.113	5	მოხდა თუ არა პირველადი ანგარიშგებებისა და დამხმარე შენიშვნების სათანადო ჯვარედინი მონიშვნა?	დიახ	

Ac

წლიური ფაილის ინდექსი

მინიშნება:	დაგეგმვა	ინიციალები
1	აუდიტის ფაილის შექმნის საკონტროლო სია	ს.გ.
2	აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირება	პ.პ.რ.
3	არააუდიტორული მომსახურების გაწევა	პ.პ.რ.
4	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები-ზოგადი	აქ არ არის მოცემული ვ.პ.რ.
5	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები-ფინანსური ანგარიშგება	აქ არ არის მოცემული ვ.პ.რ.
6	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები - ხელმძღვანელობის წერილი	აქ არ არის მოცემული ვ.პ.რ.
7	მუდმივი ფაილის საკონტროლო ჩამონათვალი	ვ.პ.რ.
8	წინასწარი დაგეგმვის პროცედურები - დამკვეთის ჩართულობა	ვ.პ.რ.
9	წინასწარი ანალიზური პროცედურები	ვ.პ.რ.
10	თანდაყოლილი რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასება	ვ.პ.რ.
11	ინდივიდუალური სფეროს რისკის შეფასება - თანდაყოლილი	ვ.პ.რ.
12	ინდივიდუალური სფეროს რისკის შეფასება - კონტროლი	N/A
13	არსებითობის გამოთვლა	ვ.პ.რ.
14	დავალეზების გეგმა	ვ.პ.რ.
15	შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა / აუდიტორული მიდგომა	ვ.პ.რ.
16	შემთხვევითი რიცხვების ცხრილი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული	აქ არ არის მოცემული ვ.პ.რ.
17	დროის დეტალური ბიუჯეტები	
18	ბრიფინგი თანამშრომლებთან (მათ შორის ჯგუფური განხილვა)	ვ.პ.რ.
19	დაგეგმვის წერილი	ვ.პ.რ.
20		

შენიშვნები:

შემსრულებელი:	<i>ვორენ რობერტსი</i>	თარიღი:	20X7 წ. 18 სექტემბერი
მიმომხილველი:		თარიღი:	
მიმოხილვა აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ:	<i>პეპე რინა</i>	თარიღი:	20X7 წ. 21 სექტემბერი

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

აუდიტის ფაილის შექმნის საკონტროლო დოკუმენტი

ამ ფორმის შევსება სავალდებულო არ არის. მისი მიზანია დაგეგმის ეტაპზე აუდიტის ფაილის სწორად შექმნის უზრუნველყოფაში აუდიტორისთვის დახმარების გაწევა.

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ ივსება
Aa1	აუდიტის საკონტროლო ჩანაწერი.	დან. 3.1	დიახ
Aa2	სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები.	დან. 3.2	დიახ
Aa3a	შემდგომი მოვლენების მიმოხილვის საკონტროლო სია.	დან. 3.3	დიახ
Aa3b	ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო სია.	დან. 3.4	დიახ
Aa5b	ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ცხრილი.	დან. 3.6.2	დიახ
Aa7	ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმი.	დან. 3.7	დიახ
Aa10	ზოგადი ანალიზური მიმოხილვა.	დან. 3.8	დიახ
Aa11	დაუკორექტირებელი შეცდომებისა და დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი ცვლილებების რეზიუმე.	დან. 3.10	დიახ
Ab1	ფინანსური ანგარიშგებების კრიტიკული მიმოხილვა.	დან. 3.13	დიახ
Ab2	გათავისუფლების უფლება.	დან. 1.4	არ ივსება
Ab3	ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროებული ინფორმაცია და შესაბამისობის ყოველწლიური საკონტროლო კითხვარი.	დან. 3.14	N/A
Ab4	კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო სია.	დან. 3.15 დან. 3.15.1 / 3.15.2 / 3.15.3 / 3.15.4 / 3.15.5 / 3.15.6 (დამატებითი)	დიახ (მხოლოდ დან. 3.15)
Ac2	აუდიტორის რეგულაციების საკონტროლო სია.	დან. 1.3	დიახ
Ac3	არააუდიტორული მომსახურების გაწევა.	დან. 1.5	დიახ
Ac4	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები - ზოგადი.	წინა პერიოდის აუდიტორული ფაილი (Aa2)	დიახ

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმ- ძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ ივსება
Ac5	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები - ფინანსური ანგარიშგება.	წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერილი ასლი	დიახ
Ac6	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები - ხელმძღვანელობის წერილი.	(Aa5) წინა პერიოდის აუდიტორული ფაილი	დიახ
Ac7	მუდმივი ფაილის საკონტროლო კითხვარი.	დან. 1.6	დიახ
Ac8/1	წინასწარი დაგეგმვის პროცედურები - დამკვეთის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.	დან. 1.9	დიახ
Ac8/2	ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებები.	დან. 1.7	დიახ
Ac9	წინასწარი ანალიზური პროცედურები.	დან. 1.10	დიახ
Ac10	რისკის შეჯამება და თანდაყოლილი ბიზნეს რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასება.	დან. 1.11.1 ან დან. 1.11.2 (თუკი საჭიროა აღწერილობითი მიდგომის გამოყენება)	დიახ – დან. 1.11.1
Ac11	თანდაყოლილი რისკის შეფასება – კონკრეტული სფეროები.	დან. 1.12	დიახ
Ac12	კონტროლის რისკის შეფასება – კონკრეტული სფეროები.	დან. 1.13	არ ივსება
Ac13	არსებითობის შეფასება.	დან. 1.15	დიახ
Ac14	დავალეების გეგმა.	დან. 1.16	დიახ
Ac15	შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა / აუდიტორული მიდგომა.	დან. 1.17	დიახ
Ac16	შემთხვევითი რიცხვების ცხრილი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული	დან. 1.18	დიახ – [აქ არ არის მოცემული]
Ac18	თანამშრომელთა ბრიფინგები (ინსტრუქტაჟი).	დან. 1.19	დიახ
B2	არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები და გუდვილი - ძირითადი ტესტები.	დან. 2.1	არ ივსება
C2	ძირითადი საშუალებები - ძირითადი ტესტები.	დან. 2.2	დიახ
D/G2	ინვესტიციები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.3	არ ივსება
E2	მარაგები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.4.1 / 2 / 3 / 4	დიახ
F2	დებიტორული დავალიანება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.5	დიახ
F9	დებიტორული დავალიანების დადასტურება – შედეგების შეჯამება.	პროფორმა დან. 5	არ ივსება
H2	ფულადი სახსრები ბანკში და სალაროში – ძი-	დან. 2.6	დიახ

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმ- ძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ ივსება
	ძირითადი ტესტები.		
I2	კრედიტორული დავალიანება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.7	დიახ
J2	დაბეგვრა – ძირითადი ტესტები.	დან. 2.8	დიახ
K2	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან – ძირითადი ტესტები.	დან. 2.9	დიახ
L2	ანარიცხები და გაუთვალისწინებელი ხარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.10	დიახ
M2	სააქციო კაპიტალი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.11	დიახ
N2	კაპიტალის ვალდებულებები, კანონი და რეგულირება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.12	დიახ
O2	ამონაგები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.13	დიახ
P2	პირდაპირი ხარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.14	დიახ
Q2	სხვა შემოსავალი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.15	არ ივსება
R2	დანახარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.16 და 2.17	დიახ
S2	ინფორმაციის სავალდებულო გასაჯაროება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.18.1 / 2 / 3 / 4	დიახ
U2	ნომინალური წიგნი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.19.1 / 2 / 3	დიახ

ძირითადი ავტორი

განვიხილე მოცემული ფორმები და დავხვეწე ისინი, სამეურნეო სუბიექტის გარემოებებზე მოსარგებად.

ხელმოწერა: *სტიუარტ ჯეკსონი* თარიღი: *20X7 წ. 18 სექტემბერი*

მენეჯერის მიმოხილვა

განვიხილე მოცემული და დავხვეწე ფორმები და მიმაჩნია, ისინი სათანადოდაა მორგებული სამეურნეო სუბიექტის გარემოებებზე.

ხელმოწერა: *ვორენ რობერტსი* თარიღი: *20X7 18 სექტემბერი*

დამკვეთი: მენ ოფ მურგეთ (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირება

წინამდებარე ფორმა უნდა შეივსოს აუდიტორული გარიგების პარტნიორის (A.E.P.) მიერ აუდიტორულ ფაილზე ნებისმიერი სახის საქმიანობის წამოწყებამდე.

ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, აუდიტორული ან ნებისმიერი ქსელური ფირმის შემთხვევაში, საჭიროა შემდეგი საკითხების სრულყოფილად განხილვა: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, სხვა დამკვეთებთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, ეკონომიკური დამოკიდებულება, ტრასტები, მარეგულირებელ ორგანოებთან დაკავშირებული საკითხები, დამკვეთისთვის მომსახურების გაწევის უნარი, დამკვეთისთვის სხვა მომსახურებების გაწევა და სტუმართმოყვარეობა. დამატებითი მითითებები მოცემულია კანონმდებლობასა და ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ეთიკის კოდექსში.

ყველა დადებითი პასუხი სრულად უნდა აიხსნას იმ დამცავ ზომებთან ერთად, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დავეთანხმოთ გარიგებაზე/გავაგრძელოთ გარიგება.

ეთიკის პარტნიორთან საჭიროა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და ამ განხილვის დეტალების აუდიტორულ ფაილში დოკუმენტირება.

ტერმინების განმარტებები მოცემულია დოკუმენტის ბოლოს.

	დიახ/არა	კომენტარი
<p>1 გარიგების პირობები ჯერ კიდევ არ არის შეთანხმებული?</p> <p><i>თუ შემდეგი ფაქტორებიდან რომელიმე აღნიშნული აუდიტორული დავალების შესაფერისია, მაშინ საჭიროა ახალი გარიგების წერილის შედგენა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ზემდგომი ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი ცვლილებები; ➢ საკუთრების მნიშვნელოვანი ცვლილებები; ➢ ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებში ცვლილებების შეტანა, რომელთა მიღება მოხდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში; ან ➢ სხვა საანგარიშგებო მოთხოვნების ცვლილებები. 	<p>არა</p>	<p>ახალი წერილი წელს გაიგზავნა</p>
<p>2 კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ფირმის დაჩქარებული როტაციის კრიტერიუმებს - იმუშავა თუ არა აუდიტორული გარიგების პარტნიორმა ან სხვა მთავარმა აუდიტორებმა ზედიზედ [რიცხვი], ან უფრო მეტი წლის განმავლობაში?[]</p>	<p>არ არის შესაფერისი</p>	<p>პ.ა.რ. 20X1 წლიდან მუშაობს (დაფუძნებიდან)</p>
	<p>არა</p>	

ყველა სხვა დამკვეთი - იმუშავა თუ არა აუდიტორული გარიგების პარტნიორმა ან სხვა მთავარმა აუდიტორებმა ზედიზედ 10 წლის განმავლობაში?

- 3 *შეუერთდა თუ არა პარტნიორი (მათ შორის, გარიგების პარტნიორი და გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი) დამკვეთს ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე და გავიდა თუ არა ორ წელზე ნაკლები ბოლო აუდიტის ჩატარების მომენტიდან, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ?*

საჭიროა ყურადღებით იქნეს განხილული არის თუ არა ეს ყველაზე შესაფერისია მოქმედების კურსი და იმ შემთხვევაში, თუ ფირმა დააპირებს გარიგების გაგრძელებას, საჭიროა აღნიშნულის ნათლად დასაბუთება.

4 გადააჭარბებს თუ არა დამკვეთიდან ან ჯგუფიდან (თუ ის ჯგუფის ნაწილია), მიღებული პერიოდული საზღაური პრაქტიკის მთლიანი შემოსავლების 10%?

შენიშვნა: აღნიშნული ლიმიტი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ეთიკის კოდექსით არ არის დადგენილი, თუმცა რეკომენდებულია სხვადასხვა აუდიტის მარეგულირებლების მიერ მსოფლიო მასშტაბით. დაწესებული ზღვრის გადამეტების შემთხვევაში, საჭიროა, მკაფიოდ დოკუმენტირება, თუ რატომ არის კვლავ მართებული ფირმის აუდიტორის სახით მოქმედება.

5 არსებობს თუ არა გადაუხდელი საზღაური, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით დადგენილს?

შენიშვნა: თუ გადაუხდელი საზღაური აღემატება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით დადგენილს, დაასაბუთეთ ვადაგადაცილების აღნიშნული პერიოდი.

საჭიროა, აგრეთვე ყურადღება მიექცეს დაუმთავრებელ წარმოებას, როდესაც თანხის მოთხოვნის ვადა გადავადებულია - განახორციელეთ აღნიშნული თანხისა და პერიოდის დოკუმენტირება.

6 ხომ არ არის წინა აუდიტის ანაზღაურების თანხა და ასევე გადახდის პირობები ჯერ კიდევ შეუთანხმებელი?

7 მოხდა თუ არა რაიმე სახის პირობით საზღაურზე შეთანხმება რომელიმე მომსახურებასთან დაკავშირებით?

შენიშვნა: დაუშვებელია აუდიტორული სამუშაოს და არააუდიტორული მომსახურების შესრულება პირობითი საზღაურის საფუძველზე, თუკი პირობითი საზღაურის ოდენობა არსებითია ფირმისათვის, ან არააუდიტორული მომსახურების შედეგები დამოკიდებულია სამომავლო აუდიტორულ განსჯაზე. საგადასახადო მომსახურებების გაწევა შეუძლებელია პირობითი საზღაურის საფუძველზე, სადაც საზღაური ემყარება საგადასახადო კანონმდებლობის შემოთავაზებულ გამოყენებას, რომელიც

დიახ/არა	კომენტარი
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	

გაურკვეველია, ან არ არის დადგენილი.

- 8 მოქმედებს თუ არა აუდიტური ან ნებისმიერი ქსელური ფირმა კომპანიის მდივნის ან დირექტორის სახით აუდიტის დამკვეთისთვის ან მეკავშირე საწარმოსთვის?

შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეუძლებელია რაიმე სახის დამცავი ზომის გატარება, რაც შესაძლებელს გახდის აუდიტის ჩატარებას.

- 9 მოქმედებს თუ არა აუდიტორული ან ქსელური ფირმის რომელიმე პარტნიორი, კომპანიასთან ან მეკავშირე საწარმოსთან მიმართებაში, როგორც კომპანიის მდივანი ან დირექტორი, ოფიციალურ ან არა-ოფიციალურ დონეზე?

შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეუძლებელია რაიმე სახის დამცავი ზომის გატარება, რაც შესაძლებელს გახდის აუდიტის ჩატარებას.

- 10 აქვს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირს (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) დამკვეთის აქციები ან სხვა წილი დამკვეთის კომპანიაში?

- 11 არის თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირი (ან მისი ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი) იმ ტრასტის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც აქციებს ფლობს დამკვეთის კომპანიაში?
- 12 არსებობს თუ არა რაიმე სახის სესხი ან ფინანსური შეთანხმება აუდიტზე გავლენის მქონე პირსა (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) და დამკვეთს შორის?
- 13 ყიდულობს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირი (ან მისი ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი) საქონელსა და მომსახურებას დამკვეთისგან ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას, როცა შესყიდვის ღირებულება არსებითია ორივე მხარისათვის?
- 14 აქვს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირს (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) ახლო ოჯახური ან პირადი ურთიერთობები დამკვეთთან?
- 15 ვფლობთ თუ არა ინფორმაციას, ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ?
- 16 გვაქვს ან გვემუქრება თუ არა რაიმე სახის სასამართლო პროცესი დამკვეთთან?
- შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში აუდიტურ ფირმას არ შეუძლია გარიგებაში მონაწილეობა.*
- 17 მივიღეთ თუ არა ჩვენ, ან აუდიტზე გავლენის მქონე სხვა პირმა, საჩუქრები ან მასპინძლობა დამკვეთისგან, ფირმის დასაშვები კრიტერიუმების გადამეტებით?
- 18 ვმოქმედებთ თუ არა მხოლოდ ჯგუფის მშობელი საწარმოსთვის, რომლისთვისაც ვამზადებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ვმუშაობთ ჯგუფის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილისთვის?
- შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში აუდიტურმა ფირმამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს გარიგებაში.*
- 19 არის თუ არა რაიმე სახის ნიშანი, რომ

დიახ/არა	კომენტარი
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	
არა	

დირექტორებმა შეიძლება დააწესონ მოქმედების სფეროს შეზღუდვა, რაც გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგებების შესახებ გამოცემულ აუდიტორულ მოსაზრებაზე უარის თქმას (ასს 705.13(b)(i))?

შენიშვნა: თუ ეს ასეა, მაშინ აუდიტურ ფირმას არ შეუძლია გარიგებაში მონაწილეობა.

შენიშვნა 2: თუ წინა პერიოდების განმავლობაში მოსაზრებაზე უარი ეთქვა მოქმედების სფეროზე დაწესებული შეზღუდვების გამო (მიუხედავად იმისა, მოქმედებდა თუ არა ფირმა აუდიტორის სახით აღნიშნულ პერიოდში), აუცილებელია, დირექტორთა ოფიციალური წერილობითი განცხადების მიღება იმის თაობაზე, რომ ამგვარი სიტუაცია წელს აღარ განმეორდება. გარდა ამისა, ეს საკითხი სრულად უნდა იქნეს განიხილული ეთიკის პარტნიორთან.

		დიახ/არა	კომენტარი
20	განვიცდით თუ არა სათანადო ტექნიკური ცოდნის/კომპეტენციისა და მხარდაჭერის, ან სხვა რესურსების ნაკლებობას აღნიშნული გარიგების შესასრულებლად?	არა	
21	გამოიწვია თუ არა მფლობელების, დირექტორებისა და ხელმძღვანელობის პაციონების შეფასებამ რაიმე სახის შემფოთება?	არა	
22	აქვს თუ არა ფირმას გაწეული დამკვეთისათვის ნებისმიერი სახის შეფასებითი მომსახურება (მათ შორის, სამართალწარმოების მხარდაჭერა და აქტუარული მომსახურებება), რომელიც კრძალავს აუდიტის ჩატარებას? <i>შენიშვნა: შეფასებითი მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის არაარსებითია, ან არასაგნობრივია ფინანსური ანგარიშგებების მიმართ.</i>	არა	
23	გაუწია თუ არა ფირმამ რაიმე სახის აკრძალული მომსახურება სამეურნეო სუბიექტს, რომელიც შეძენილ იქნა აუდიტის დამკვეთის მიერ ახლო წარსულში? <i>შენიშვნა: ფირმას აქვს არა უმეტეს სამი თვისა შეძენის მომენტიდან, რათა აღმოფხვრას ის საფრთხეები, რომლებსაც შეუძლია დამოუკიდებლობის დონის შემცირება.</i>	არა	
24	შეავსეთ ფორმა Ac3 (დან. 1.5) – არააუდიტორული მომსახურების გაწევა აუდიტის დამკვეთის ან მისი მეკავშირე საწარმოსთვის ყველა იმ არააუდიტორული მომსახურებისთვის, რომელიც უნდა უზრუნველყოს ფირმამ, ან ნებისმიერმა ქსელურმა ფირმამ. ახდენს თუ არა აღნიშნული მომსახურებებიდან რომელიმე ზემოქმედებას ჩვენს, როგორც დამკვეთის აუდიტორების, მომსახურებაზე?	არა	
25	ცნობილია თუ არა ჩვენთვის სხვა ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს დამოუკიდებლობაზე ან სხვაგვარად მიუთითონ იმაზე, რომ არ უნდა		

დავთანხმდეთ გარიგებაზე?

მაგალითად, ეს შეიძლება შეიცავდეს სიტუაციას, როცა ბოლო ორი წლის განმავლობაში დამკვეთთან მომუშავე პირმა მუშაობა დაიწყო აუდიტურ ფირმაში.

- 26 ინდივიდუალურ და კუმულაციურ საფუძველზე საფრთხეების საერთო შეფასებაზე დაყრდნობით დააყენებს თუ არა ობიექტური, გონივრული და ინფორმირებული მესამე მხარე ფირმის პაციოსნებას, ობიექტურობას ან დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ? თუ დიახ, მაშინ ფირმა არ უნდა ასრულებდეს აუდიტორის სამუშაოს.

აუდიტორული გარიგების პარტნიორის სახელი, რომელსაც კავშირი არა აქვს მოცემულ დავალებასთან და რომელსაც თანამშრომლებს შეუძლიათ მიმართონ აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის უკმაყოფილების გამოსათქმელად:
ჰოსე ანტონიო რიისი

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და ხელმძღვანელობა:

ასს 260/265 მოითხოვს სხვადასხვა საკითხის თაობაზე მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელობის ცალ-ცალკე ინფორმირებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და ხელმძღვანელობა ერთი და იგივე ადამიანები არიან (მაგალითად, ყველა საკითხის მოგვარება ხდება მხოლოდ კომპანიის დირექტორების მიერ), საჭირო არ არის ამ საკითხების შესახებ ორჯერ ინფორმირება.

[ან]

დირექტორები აქტიურად არიან ჩართულნი სამეურნეო სუბიექტის ყოველდღიურ ოპერაციებში და ამიტომაც განიხილებიან, როგორც ხელმძღვანელობა, ისე მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები.

ინფორმირებული ხელმძღვანელის სახელი ... ჯეიმს მენი

დასაბუთება, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი ინფორმირებულ ხელმძღვანელებად:

ჯეიმსი ინტენსიურად არის ჩართული კომპანიის მართვაში ხშირად გვისვამს კითხვებს იმ სფეროებზე, რომელიც მას არ ესმის

ინფორმირებული ხელმძღვანელობა არის „სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წევრი (ან უფროსი თანამშრომელი), რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე გარიგებასთან და აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა დამოუკიდებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად არააუდიტორულ/დამატებით მომსახურებებთან დაკავშირებით, ფირმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე“.

ამ აუდიტისთვის ჩვენი პირველადი დონის საკონტაქტო პირი იქნება (იმ შემთხვევაში, თუ ინფორმირებული ხელმძღვანელობა განსხვავებულია):

...N/A.....

[ან]

~~დირექტორები არ არიან აქტიურად ჩართულნი სამეურნეო სუბიექტის ყოველდღიურ ოპერაციებში და ამ მიზეზით განიხილებიან, როგორც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები:~~

~~სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლება გადაეცა=~~

~~=====~~

~~მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებიდან ჩვენი ძირითადი საკონტაქტო პირია:=====~~

~~ხელმძღვანელი გუნდიდან ფარგლებში ჩვენი ძირითადი საკონტაქტო პირია:.....~~

~~ინფორმირებული ხელმძღვანელის სახელი:.....~~

~~დასაბუთება, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი ინფორმირებულ ხელმძღვანელებად:~~

~~გარკვეული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან და ხელმძღვანელობასთან. ამ ორმაგ კომუნიკაციას დადასტურებს შემდეგი დოკუმენტები:~~

- ~~➢ გარიგების წერილი;~~
- ~~➢ გარიგების წერილი;~~
- ~~➢ დაგეგმვის წინასწარი პროცედურები;~~
- ~~➢ დაგეგმვის წერილი;~~
- ~~➢ ოფიციალური წერილი;~~
- ხელმძღვანელობის წერილი.

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა:

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა საჭიროა ყველა აუდიტის შემთხვევაში, როდესაც:

- დაკმაყოფილებულია ფირმის მიმოხილვის კრიტერიუმები (იხ. მე-8 გვერდი);
- აუდიტორული გარიგების პარტნიორს მიაჩნია, რომ მიმოხილვის ჩატარება აუცილებელია; ან
- ის მოითხოვება, როგორც ფირმის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის გამოვლენილი საფრთხეებისგან დამცავი ზომა. მისი გათვალისწინება საჭიროა ყველა სახის დავალების შემთხვევაში, როდესაც ხდება არააუდიტორული მომსახურებების გაწევა.

საყურადღებოა, რომ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველი უნდა დაინიშნოს ფირმის ეთიკის პარტნიორის და არა აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ. აუდიტორული გარიგების პარტნიორი დავალების შესრულებისას უნდა ერიდებოდეს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველთან ზედმეტ კონსულტაციებს, ვინაიდან ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს მიმოხილველის მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასების ჩატარებაში. გადამეტებული კონსულტაციების შემთხვევაში საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველის შეცვლა.

** გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარება საჭირო არ არის.*

*** გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარება საჭიროა და მას შეასრულებს*

‡ იმ შემთხვევაში, თუ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვას ასრულებს გარე მიმოხილველი, მიუთითეთ ორგანიზაცია, სადაც იგი მუშაობს

** - საჭიროების შემთხვევაში, წაშაღეთ.*

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მიზეზი (თუ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა შესრულდა წინა პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მიმდინარე პერიოდში ეს არ მომხდარა, აუცილებელია, ამ გადაწყვეტილების დასაბუთება.)

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მოქმედების სფერო (ასს 220.20):

- აუდიტორული გარიგების პარტნიორთან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა;
- ფინანსური ანგარიშგებებისა და შემოთავაზებული აუდიტორის დასკვნის მიმოხილვა;
- შერჩეული აუდიტორული დოკუმენტაციის მიმოხილვა, რომელიც ეხება გარიგების გუნდის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და გამოტანილ დასკვნებს; და
- აუდიტორული ანგარიშის ფორმულირებისას გამოტანილი დასკვნების შეფასება და შემოთავაზებული აუდიტორული დასკვნის შესაფერისობის განსაზღვრა.

გარიგებაზე დათანხმების უფლებამოსილება:

დავასრულე წინამდებარე საკონტროლო კითხვარის შევსება, და ~~მიმაჩნია~~/~~არ მიმაჩნია~~, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, პატიოსნება და ობიექტურობა არის საფრთხის ქვეშ, და მიმაჩნია, რომ ~~*შეგვიძლია დავთანხმდეთ/ *შეგვიძლია დავთანხმდეთ აღნიშნულ დამცავი ზომების გატარებით / *არ შეგვიძლია დავთანხმდეთ გარიგებაზე.~~

საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდა შესაბამისი კონსულტაციები ეთიკის პარტნიორთან, რაც დოკუმენტირებულია _____.

ხელმოწერა: *კეკე რიინა* (გარიგების პარტნიორი) თარიღი: 20X7 წ. 25 ივნისი

საჭიროების შემთხვევაში:

ხელმოწერა: _____ (გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი) ②

თარიღი: _____

①– დადებითი პასუხის შემთხვევაში, საჭიროა, ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელება:

1. ხდება აუდიტორული გარიგების პარტნიორის როტაცია და მის მაგივრად ინიშნება აუდიტორული გარიგების სხვა პარტნიორი, რომელსაც ბოლო დროის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია კონკრეტული დამკვეთის აუდიტში;
2. აუდიტორული გარიგების დამატებითი პარტნიორი, რომელიც ბოლო ხნის განმავლობაში არ იყო გარიგების გუნდის წევრი, აწარმოებს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვას;
3. აუდიტის ფაილი ექვემდებარება გარიგების ხარისხის კონტროლის გარე მიმომხილვას; ან
4. დაგეგმვის წერილში დამკვეთის ინფორმირება, ხანგრძლივი ასოცირების წესის დარღვევისა და სტანდარტით დადგენილი დამცავი ზომების განუხორციელებლობის შესახებ. დოკუმენტურად დაასაბუთეთ ნებისმიერი სახის არსებული დამცავი ზომები.

②– წინამდებარე ფორმის ხელმოწერის ალტერნატივის სახით, მისაღებია მისი ჯვარედინი დადასტურება გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის დასკვნით, რომელმაც გაითვალისწინა დავალების დაგეგმვის ეტაპი.

ტერმინების განმარტებები:

ახლო ნათესავები:	დამოუკიდებელი მშობელი, შვილი ან დედამამიშვილები..
გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი (EQCR):	პარტნიორი, ფირმაში მომუშავე სხვა პირი, სათანადოდ კვალიფიცირებული გარე პირი, ან ასეთი პირებისგან შედგენილი გუნდი, რომელთაგან არც ერთი არ მიეკუთვნება გარიგების გუნდს, გააჩნია საკმარისი და შესაბამისი გამოცდილება და უფლებამოსილება გარიგების გუნდის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და ანგარიშის შედგენის პროცესში გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასებისთვის.
ოჯახის წევრები:	მეუღლე (ან შემცვლელი), ან კმაყოფაზე მყოფი..
ძირითადი ხელმძღვანელი თანამდებობა:	სამეურნეო სუბიექტში არსებული ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია გარიგებასთან და მოითხოვს პასუხისმგებლობას ხელმძღვანელობის ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიმართ აუდიტირებულ სუბიექტში, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე ზემოქმედების უნარი და აუდიტირებული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება. ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობას აგრეთვე განაპირობებს სახელშეკრულებო და ფაქტობრივი შეთანხმებები, რომელიც რეალურად მმართველობითი ფუნქციის შესრულებაში მონაწილეობის უფლებას ალტერნატიული გზით (მაგალითად, საკონსულტაციო კონტრაქტის საშუალებით) ანიჭებს.
გარიგებაში ჩართული ძირითადი პარტნიორი:	გარიგების გუნდის წევრი პარტნიორი ან სხვა პიროვნება (გარდა გარიგების პარტნიორისა ან გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველისა), რომელიც, ან: <ul style="list-style-type: none"> ➢ ჩართულია ჯგუფის დონეზე და პასუხს აგებს გარიგების საკვანძო ასპექტებზე, მათ შორის, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან რისკის ფაქტორებზე, რომლებიც უკავშირდება ამ სამეურნეო სუბიექტთან გარიგებას; ან ➢ უპირველეს ყოვლისა, პასუხს აგებს აუდიტორული გარიგების სამუშაოზე, რომელიც სრულდება სამეურნეო სუბიექტის მნიშვნელოვან ფილიალთან, განყოფილებასთან ან ფუნქციასთან დაკავშირებით.
ქსელური ფირმა::	ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც არის უფრო დიდი სტრუქტურის ნაწილი და მიზნად ისახავს თანამშრომლობას და: <ul style="list-style-type: none"> (i) კონტროლდება აუდიტური ფირმის მიერ; ან (ii) ექვემდებარება საერთო კონტროლს, მფლობელობას ან ხელმძღვანელობას; ან (iii) არის უფრო დიდი სტრუქტურის ნაწილი, რომელიც ცალსახად მიზნად ისახავს მოგების ან ხარჯების განაწილებას; ან (iv) სხვაგვარადაა დაკავშირებული ან ასოცირებული აუდიტურ ფირმასთან საერთო პოლიტიკისა და პროცედურების, საერთო ბიზნეს-სტრატეგიის, საერთო სახელწოდების გამოყენების გზით, ან მნიშვნელოვანი საერთო პროფესიული რესურსების მეშვეობით.

სცენარები, როდესაც საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვა:

კრიტერიუმები, როდესაც საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვა:	<ul style="list-style-type: none"> ➢ ნებისმიერი დამკვეთი, როდესაც გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვა ფირმის მოითხოვება მარეგულირებელი ორგანოს მიერ; ➢ ნებისმიერი დამკვეთი, როდესაც გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვა მოითხოვება ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსით; და ➢ ფირმის მიერ დადგენილი ნებისმიერი სახის დამატებითი კრიტერიუმი, რაც დოკუმენტირებულია ფირმის აუდიტორული პროცედურების სახელმძღვანელოში.
---	--

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

არააუდიტორული მომსახურების გაწევა

მიზანი:

შესაბამისად იქნეს გათვალისწინებული არააუდიტორული მომსახურების გაწევა მისაღებია თუ არა არაკოტირებული სამეურნეო სუბიექტებისთვის (ან ასეთი სუბიექტების ფილიალები/კომპანიონები).

ფორმა უნდა შეეცდოს ფირმის ან ნებისმიერი ქსელური ფირმის მიერ განხორციელებული თითოეული არააუდიტორული საქმიანობის (არასავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით) დაწყებამდე და უნდა დამტკიცდეს აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ (ან არყოფნის შემთხვევაში, ფირმის აუდიტორული გარიგების სხვა პარტნიორის მიერ).

აუდიტის ახალი დამკვეთებისთვის ეს უნდა გავრცელდეს დანიშვნამდე გაწეულ არააუდიტორულ მომსახურებაზე, რომელიც უკავშირდება ფირმის მიერ აუდიტორული მომსახურების გაწევის პერიოდს. მომდევნო წლებში ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნებისმიერი აუდიტორული სამუშაოს ჩატარებამდე.


ეს საკონტროლო სია იძლევა მხოლოდ ზოგად მითითებებს და მინიშნება უნდა გაკეთდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსის 290-ე ნაწილზე: *დამოუკიდებლობა - აუდიტი და მიმოხილვის გარიგებები*, თუ არსებობს რაიმე ეჭვი. კერძოდ, ეს ფორმა არ ითვალისწინებს:

- შიდა აუდიტის მომსახურებას;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებას;
- ახალი თანამშრომლების აყვანის/მოზიდვის მომსახურებასა; და
- კორპორაციულ ფინანსურ მომსახურებას.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერის განხორციელების შემთხვევაში, ეს განხილულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსის შესაბამისად, Ac2-ის დასრულებამდე.

შენიშვნა: თუ დამკვეთს არა ჰყავს „ინფორმირებული ხელმძღვანელობა“, ორივე, აუდიტორული და არა-აუდიტორული მომსახურების გაწევა არ არის ნებადართული.

1-ლი ნაწილი - აკრძალული მომსახურებების განხილვა



მე-2 ნაწილი - არააუდიტორული მომსახურების ტიპისა და სათანადო დამცავი ზომების გათვალისწინება


შენიშვნა: რამდენიმე ცხრილი შეავსეთ იმ შემთხვევაში, თუ ოთხზე მეტი სხვადასხვა ტიპის არააუდიტორული მომსახურებაა გაწეული.

შენიშვნა: აუდიტთან დაკავშირებული არააუდიტორული მომსახურება (მაგალითად, ცალკე ანგარიში მარეგულირებლისთვის (მაგ. დამკვეთის ფულადი სახსრების მართვა ნდობით აღჭურვილი პირის მიერ)) მაინც უნდა განიხილებოდეს როგორც არააუდიტორული მომსახურება, თუმცა დამცავი ზომები არ არის აუცილებელი, რამდენადაც დამოუკიდებლობის საფრთხეები უმნიშვნელოა.

გასაწევი არააუდიტორული მომსახურება:	კომპონ-ციუდ გა-დასახად	სავალდებულო მომსახურება	ბუღალტრული აღრიცხვა (მათშორის მონაწილეობა)	სხვა (მიუთითეთ)	
მომსახურების შედეგების მისაღებად დანიშნული ინ-ფორმირებული ხელმძღვანელობის წევრი (თუ განსხვავდება აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირებაში მითითებული პირისგან):	ჯეიმს მენი	ჯეიმს მენი	ჯეიმს მენი		
არააუდიტორულ მომსახურებაში ჩართული პერსონალი:	დეივ ჯოუნსი	ჯორჯ ბურლი	სტიუარტ გრეი		
პარტნიორი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს არააუდიტორული მომსახურების გაწევას:	დანიელ ლევი	ჰოსე რიისი	ჰოსე რიისი		სულ ფ.ე.
საზღაური (ყოველწლიური) აღნიშნული არა-აუდიტორული მომსახურების გაწევისათვის (ა):	500	250	1,000		1,750
მიმდინარე პერიოდის მოსალოდნელი აუდიტის საზღაური (ბ):					3,500
არააუდიტორული მომსახურების მთლიანი საზღაურის შეფარდება აუდიტის საფასურთან (ა/ბ) (საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არა-აუდიტორული მომსახურების მთლიანი საზღაური აღემატება აუდიტის საზღაურს)					N/A
იქნება თუ არა აუდიტის გუნდის წევრი ის პიროვნება, რომელიც არააუდიტორულ მომსახურებას ასრულებს, ან პარტნიორი, რომელიც მასზეა პასუხისმგებელი?	არა	არა	არა		

<p>თუ ზემოთ დასმულ შეკითხვაზე პასუხია „დიახ“, მაშინ აუცილებელია, საჭირო დამცავი ზომების ამ ველში დოკუმენტირება. ეს დამცავი ზომები შეიძლება იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არააუდიტორული მომსახურება მიმოხილულია - პარტნიორის ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე უფროსი თანამშრომლის მიერ, რომელიც არ არის აუდიტორული გუნდის წევრი; ➤ აუდიტი ექვემდებარება გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვას; ან ➤ თანამშრომლები, რომლებიც არააუდიტორულ მომსახურებაში არიან ჩართულნი, არიან საკმარისად გამოცდილნი და მაღალი თანამდებობის პირები იმისათვის, რომ შეამცირონ პარტნიორის, რომელიც 					
--	--	--	--	--	--

მე-3 ნაწილი - არააუდიტორული მომსახურებიდან წარმოქმნილი მნიშვნელოვანი საზღაურით გამოწვეული პირადი ანგარების საფრთხის გათვალისწინება



* „მნიშვნელოვანი“ განხილულ უნდა იქნეს, როგორც აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტის დამკვეთის თვალსაზრისით.¹ პირადი ანგარების საფრთხე წარმოიშობა იქ, სადაც არა-აუდიტორული მომსახურების ძირითადი საზღაური „რეგულარულად“ წარმოიქმნება. იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევა, რომ ძირითადი საზღაური არ არის „რეგულარული“, საჭიროა ამის მიზეზის ქვემოთ დოკუმენტირება ***.

(სადაც შესაბამისია): აუდიტორული გარიგების პარტნიორის იმის დოკუმენტირება, თუ როგორ შემცირდა პირადი ანგარების საფრთხე დასაშვებ დონემდე / ეთიკის პარტნიორთან კომუნიკაციის დეტალები / დეტალები იმის შესახებ, თუ რომელი მომსახურება (აუდიტორული ან არააუდიტორული მომსახურება) არ გაიწევა:

დასკვნა

1. დამკვეთმა ინფორმაცია მიაწოდა ხელმძღვანელობას. მიმაჩნია, რომ დამკვეთისთვის არა-აუდიტორული მომსახურების საზღაურიდან წარმოქმნილი საფრთხეები არ არსებობს / და შეიძლება ამ მომსახურების გაწევა.*
- ~~2. დამკვეთმა ინფორმაცია მიაწოდა ხელმძღვანელობას. მიმაჩნია, რომ არა-აუდიტორული მომსახურების გამო წარმოქმნილი საფრთხეები და საზღაურის არსებული დონე შემცირებულია დასაშვებ დონემდე, როგორც ეს ზემოთ არის დოკუმენტირებული.*~~
- ~~3. ჩვენ არ გავწევთ სხვა მომსახურებებს, რადგან შეუძლებელია სათანადო დამცავი ზომების მიღება და გვესურთ აუდიტორად დავრჩეთ.*~~
- ~~4. გავწევთ სხვა მომსახურებებს, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო დამცავი ზომების გატარება შეუძლებელია, აღარ ვიქნებით აუდიტორი.*~~

ხელმოწერა: პეპე რიინა (გარიგების პარტნიორი)

თარიღი: 20X7 წ, 25 ივნისი

* წაშალეთ, თ საჭიროა.

შენიშვნები:

1. აუდიტორულ ფირმას შეუძლია დაადგინოს საკუთარი კრიტერიუმები, მაგრამ თუ არა-აუდიტორული მომსახურების საზღაური სამჯერ აღემატება აუდიტის საზღაურს, ეს ქმნის პირადი ანგარების საფრთხეს, რომელიც უნდა შერბილდეს.
2. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორულ ფირმას შეუძლია საკუთარი კრიტერიუმების დადგენა, იმ გარემოებებში, როდესაც აუდიტის საზღაური უფრო მნიშვნელოვანია ფირმისთვის, არა-აუდიტორული მომსახურების საზღაური, რომელიც აუდიტის საზღაურზე ნაკლებია, სავარაუდოდ, „მნიშვნელოვნად“ მიიჩნევა.

ტერმინების განმარტებები:

<p>აუდიტთან დაკავშირებული არა-აუდიტორული მომსახურება:</p>	<p>საზოგადოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები მიიჩნევა, როგორც აუდიტთან დაკავშირებული არააუდიტორული მომსახურება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კანონით ან რეგულირებით მოთხოვნილი ანგარიშგება, რომელსაც აუდიტორი უზრუნველყოფს; ➤ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა; ➤ მარეგულირებლის მიერ დადგენილ უკუგებაზე ანგარიშგება; ➤ დამკვეთის აქტივების შესახებ ანგარიშის წარდგენა მარეგულირებელთან; ➤ მთავრობის გრანტების ანგარიშგება; ➤ კანონით ან წესებით მოთხოვნილი შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა; და ➤ ფინანსურ ინფორმაციაზე და/ან ფინანსურ კონტროლზე ჩატარებული გაფართოებული აუდიტორული სამუშაოები, რომელიც ავტორიზებულ იქნა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, როდესაც ეს სამუშაო ინტეგრირებულია/გაერთიანებულია აუდიტორულ სამუშაოსთან და სრულდება იმავე ძირითადი პირობებით.
<p>„ინფორმირებული ხელმძღვანელობა“:</p>	<p>სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წევრი (ან უფროსი თანამშრომელი), რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე გარიგებასთან და აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა დამოუკიდებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად არააუდიტორულ/დამატებით მომსახურებებთან დაკავშირებით, ფირმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე“.</p>
<p>დამცავი ზომები:</p>	<p>დამცავი ზომები მოიცავს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფირმის მიერ გაწეულ არააუდიტორულ მომსახურებას ეწევა ის პარტნიორი ან პერსონალი, რომელიც არ მონაწილეობს ფინანსური ანგარიშგებების გარე აუდიტში; ან ➤ არააუდიტორული მომსახურება მიმოხილულია პარტნიორის ან შესაბამისი გამოცდილების/კომპეტენციის მქონე სხვა უფროსი თანამშრომლის მიერ, რომელიც არ არის აუდიტური გუნდის წევრი; ან ➤ შესრულებულია გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

მუდმივი ფაილის საკონტროლო სია

მიზანი: აღნიშნული ფორმა გამოყენებულ უნდა იქნეს მუდმივ ფაილში დამკვეთის შესახებ საკმარისი ზოგადი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ ფორმის შევსება სავალდებულოა. ნებისმიერი „არა“ პასუხი მიანიშნებს მუდმივ ფაილში არსებულ ნაკლოვანებაზე და კომენტარი უნდა გაკეთდეს იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება მისი მოგვარება.

ასს 315-ის, პუნქტში 128 ვკითხულობთ - „მცირე სამეურნეო სუბიექტების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ახსნა-განმარტებები შეიძლება ნაკლებად დეტალური ან რთული იყოს (მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები მცირე სამეურნეო სუბიექტებს უფრო მცირე მოცულობის ინფორმაციის გასაჯაროების უფლებას აძლევს). თუმცა, ეს ფაქტი აუდიტორს არ ათავისუფლებს იმის პასუხისმგებლობისგან, რომ აუცილებლად უნდა შეისწავლოს სამეურნეო სუბიექტი და მისი გარემო, მათ შორის შიდა კონტროლის საშუალებები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებთან.“

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/არ ივსება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/კომენტარი
<p>1. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, დამკვეთის ბიზნესის შესახებ, მათ შორის, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქმიანობის ხასიათის აღწერა; ➤ ინფორმაცია გაყიდული საქონლის ან მომსახურების შესახებ; ➤ ინფორმაცია კონკურენტების შესახებ; ➤ დარგობრივი ინფორმაცია (მათ შორის: ზოგადი ტენდენციები, სავაჭრო შეზღუდვები, მთავრობის პოლიტიკა და გრანტები და ა.შ.); ➤ ძირითადი მომწოდებლები; ➤ ძირითადი მომხმარებლები; ➤ განთავსების ადგილები; ➤ დამკვეთის რისკის შეფასების პროცესი, მათ შორის, ბიზნესის რისკების განხილვა და მათი გადაწყვეტის გზები (აღნიშნული წარმოადგენს ასს-ის ძირითად მოთხოვნას); და ➤ ნებისმიერი სახის სამომავლო გეგმები (მათ შორის, ბიზნესის მიზნები და სტრატეგიები)? 	<p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p>	<p>A1/1</p> <p>A1/4</p> <p>A1/4</p> <p>A1/1</p> <p>A1/4</p> <p>A1/4</p> <p>A1/3</p> <p>A1/11</p> <p>A1/15</p>
<p>2. მოცემულია თუ არა ინფორმაცია მარეგულირებელი გარემოს შესახებ, მათ შორის, მნიშვნელოვანი კანონები და რეგულაციები,</p>	<p>დიახ</p>	<p>A1/2</p>

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/ არ ივსება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/ კომენტარი
რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე და როგორ ასრულებს დამკვეთი მარეგულირებელ გარემოსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს?		
3. თუ დამკვეთი არის ჯგუფის წევრი, მოცემულია თუ არა დიაგრამა, რომელზედაც ნაჩვენებია ამ ჯგუფის სტრუქტურა და ახსნილია მისი მიზანი, მათ შორის, მითითებულია მიზეზები, რომელთა გამოც, არსებობენ ჯგუფის არაკოტირებული წევრები?	არ ივსება	A1/5
4. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, ნებისმიერი ფილიალის, ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოს (მათ შორის, ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციის, ერთობლივად კონტროლირებადი აქტივებისა და ერთობლივად კონტროლირებადი სამეურნეო სუბიექტების შესახებ) და სხვა ძირითადი ინვესტიციების შესახებ, მათ შორის, იმის თაობაზე, თუ რატომ მოხდა მათი ამგვარი კლასიფიცირება?	არ ივსება	A1/6
5. მოცემულია თუ არა ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლირებელი მხარის ვინაობის შესახებ, ამ დასკვნისთვის საჭირო დასაბუთებასთან ერთად?	დიახ	A1/7
6. მოხდა თუ არა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და, სადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ხელმძღვანელობის წევრების იდენტიფიცირება?	დიახ	A1/8
7. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, ყველა ცნობილ დაკავშირებულ მხარესა და მათთან ურთიერთობის ხასიათის შესახებ (მოიცავს თუ არა ის შესაბამისი საჯარო რეესტრების განხილვას)?	დიახ	A1/9
8. მოცემულია თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს დამკვეთი დაკავშირებული მხარის ურთიერთობებს, ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან და ითვალისწინებს ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა ხდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს (საფუძვლების) მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, ინფორმაციას ნებისმიერი კონტროლის შესახებ.	დიახ	A1/9
9. მოცემულია ინფორმაცია დამკვეთის ბიზნესის სტრუქტურის შესახებ, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც დეტალურადაა აღწერილი ძირითადი პერსონალი და მათი როლი?	დიახ	A1/10
10. მოცემულია ინფორმაცია გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკისა და შეფასების ტექნიკის შესახებ (მათ შორის, ამონაგების აღიარება) და, საჭიროების შემთხვევაში, ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რატომ შეესაბამება ისინი დამკვეთის გარემოებებს? პოლიტიკაში ან შეფასების ტექნიკაში ცვლი-	დიახ	A1/11

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/არ ივსება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/კომენტარი
<p>ლებების შეტანის შემთხვევაში, დადგენილია და დასაბუთებულია ამ ქმედების განხორციელების მიზეზი?</p>		
<p>11. მოცემულია ინფორმაცია ნებისმიერი სპეციფიკური ანგარიშგების მოთხოვნების შესახებ?</p>	არ ივსება	A1/2
<p>12. ფაილში მოცემულია თუ არა დამკვეთის პროფესიონალი მრჩეველების სახელები, მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბანკირების; ➤ იურიდიული მრჩეველებისა; და ➤ დაფინანსების პროვაიდერების შესახებ? 	<p>დიახ დიახ არ ივსება</p>	A1/12
<p>13. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, დამკვეთის საპენსიო სქემის შესახებ, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოყენებული სქემის სახეობა; ➤ მოთხოვნილი შენატანები; ➤ სქემის წესების ასლი; ➤ სატრასტო ხელშეკრულების ასლი; და ➤ ინფორმაცია კონსტრუქციული ვალდებულებების შესახებ? 	დიახ	A1/13
<p>14. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, აქციათა ოფციონის სქემის შესახებ?</p>	არ ივსება	A1/13
<p>15. მოცემულია ინფორმაცია ჰეჯირების და, საჭიროების შემთხვევაში, ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ?</p>	არ ივსება	

მუდმივი ხასიათის დოკუმენტები და მიმოწერა

<p>16. ფაილში არის განახლებული და ხელმოწერილი გარიგების წერილი? იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილი არ გაიგზავნა ამ სამეურნეო სუბიექტის სახელზე (მაგალითად, მშობელი კომპანიის წერილი მოიცავს „ჯგუფს“), საჭიროა თუ არა ცალკე წერილის გაგზავნა ამ სამეურნეო სუბიექტისთვის? გარდა ამისა, არსებობს „ძველი“, ბოლო ექვსი წლის, გარიგების წერილების ასლები?</p>	დიახ	A2/1
<p>17. მოცემულია თუ არა უფლებამოსილების წერილების ასლები, რომლებიც გაეგზავნა ბანკირებსა და სხვა კრედიტორებს?</p>	დიახ	A2/2
<p>18. მოცემულია ინფორმაცია საგადასახადო სქემის არჩევაზე და საგადასახადო დანაკარგების შესახებ, რომლებიც საჭირო იქნება საგადასახადო გამოთვლებისთვის?</p>	დიახ	A2/3 A2/4
<p>19. მოცემულია ინფორმაცია (მათ შორის, მაგალითად კლასიფიცირდება თუ არა ისინი საბაზისო ან არასაბაზისო</p>	დიახ	A2/5

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/არ ივსება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/კომენტარი
<p>ფინანსური ინსტრუმენტების სახით; დაფარვის პირობებისა და ვადების ზოგადი პირობები, შეთანხმების ასლი, მიმოხილვის ვადები და გირაო), ნებისმიერი ფინანსური შეთანხმებების შესახებ, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საბანკო სესხები და ოვერდრაფტები; ➤ იპოთეკური სესხები; ➤ ობლიგაციები; ➤ მნიშვნელოვანი ფინანსური იჯარები და სხვა ფინანსური შეთანხმებები ძირითადი საშუალებების შესაძენად; და ➤ მნიშვნელოვანი საოპერაციო იჯარები? 		
<p>20. მოცემულია ინფორმაცია (მათ შორის, მაგალითად კლასიფიკაციის მიზეზი, შეფასების პოლიტიკა, ჩატარებული შეფასებები და ა.შ.), დამკვეთის ქონების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად არის დაყოფილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკუთარი ქონება; ➤ გრძელვადიანი იჯარა; და ➤ მოკლევადიანი იჯარა? 	დიახ	A2/6
<p>21. (საჭიროების შემთხვევაში) მოცემულია თუ არა ყველა ძირითადი ოპერაციის მიხედვით გაყიდვებისთვის საჭირო გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის მოწმობისა და გამყიდველის საგადასახადო სტატუსის მოწმობის ასლი?</p>	დიახ	A2/7

კანონით დადგენილი საკითხები

22. მოცემულია კომპანიის კონსტიტუციის (წესდების) ასლი?	დიახ	A3/1
23. მოცემულია თუ არა აქციონერთა ან დირექტორთა ნებისმიერი შეხვედრის მნიშვნელოვანი ოქმებიდან ამონარიდები?	დიახ	A3/2
24. მოცემულია საკვანძო გადაწყვეტილებათა ასლები?	დიახ	A3/2
25. მოცემულია რეგისტრაციის მოწმობის ასლი?	დიახ	A3/3
<p>26. მოცემულია ინფორმაცია, კომპანიის დირექტორების ან მდივნის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სახელი; ➤ დანიშვნის თარიღი; ➤ პენსიაზე გასვლის თარიღი; ➤ წილი (მათ შორის, ოჯახის წევრების) კომპანიის აქციებში ან ობლიგაციებში; და ➤ ნებისმიერი მინიჭებული ან განხორციელებული ოფციონები კომპანიის აქტივების ან ობლიგაციების 	დიახ	A3/5

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/არ ივსება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/კომენტარი
გამოსაწერად?		
<p>27. მოცემულია ინფორმაცია სააქციო კაპიტალის შესახებ, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განაწილებული სააქციო კაპიტალი; ➤ გაცხადებული სააქციო კაპიტალი; ➤ გადახდილი სააქციო კაპიტალი; ➤ აქციონერები; ➤ აქციების კლასები; და ➤ როგორ განიხილებიან ისინი – კაპიტალის თუ ვალის სახით? 	დიახ	A3/6
<p>სააღრიცხვო სისტემა</p> <p>28. მომზადდა და განხილულ იქნა თუ არა სისტემების მიმოხილვის საკონტროლო სია და კომპიუტერული სისტემების მიმოხილვის საკონტროლო სია?</p>	დიახ	B1
<p>29. მოიცავს თუ არა ნაწილი B1 ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და ძირითადი კონტროლის საშუალებების სრულ, განახლებულ აღწერას, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წარმოებული სააღრიცხვო წიგნების ჩამონათვალი და მათზე პასუხისმგებელი პირების სახელები; ➤ საბუღალტრო დეპარტამენტის სტრუქტურა და მისი პერსონალის მოვალეობები; ➤ ტექსტური აღწერა ან დიაგრამა, სადაც ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მიმოხილვა, მათ შორის, მანუალური (არაკომპიუტერიზებული) და კომპიუტერიზებული სისტემების ურთიერთქმედება; და ➤ რა სიხშირით მზადდება ინფორმაცია ხელმძღვანელობისთვის (მაგალითად, ბიუჯეტები, ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზები, საცდელი ბალანსები და ხელმძღვანელობის ანგარიშები), წარმოებული პროდუქცია და გამოყენებული კონტროლის საშუალებები. 	<p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>დიახ</p>	B1
<p>30. მოცემულია თუ არა ინფორმაცია, დამკვეთის მიერ გამოყენებული მომსახურე ორგანიზაციების შესახებ, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაწეული მომსახურებების ხასიათი; ➤ ინფორმაცია დამკვეთისთვის გაწეული მომსახურებების მნიშვნელობის შესახებ; ➤ მომსახურე ორგანიზაციასა და დამკვეთის საქმიანობას 	დიახ	B1/5

ზოგადი საკითხები	დიახ/არა/არ იცნება	მინიშნება მუდმივ აუდიტის ფაილზე/კომენტარი
<p>შორის ურთიერთქმედების ხარისხი;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რომელი კონტროლის საშუალებები გამოიყენება მომსახურე ორგანიზაციის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით; და ➤ ხელშეკრულების/გარიგების წერილის ასლი? 		
<p>31. მოიცავს თუ არა ნაწილები B2-B5 განახლებულ დეტალურ ინფორმაციას, თითოეული ცალკეული ბუღალტრული აღრიცხვის პროცესის მუშაობის შესახებ (მათ შორის, ჟურნალების), ასევე, კონტროლის საშუალებების შესახებ საკმარის ინფორმაციას გამჭოლი ტესტების ჩატარებისთვის? (საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ინფორმაციის მითითება საბაჟო გადასახდელების შესახებ და კომენტარის გაკეთება შესაბამისი საგადასახადო საკითხების შესახებ, მათ შორის, შესაფერისი ან სპეციალურ სქემაში მოქცეული განაკვეთების შესახებ).</p>	დიახ	B2 – B5
<p>32. მოცემულია ინფორმაცია კომპანიის ძირითადი არასაოპერაციო კონტროლის საშუალებების შესახებ?</p>	დიახ	B1/3

მიმოვიხილე/განვაახლე მუდმივი ფაილი და მიმაჩნია, რომ არის სათანადო/ადეკვატური.

ხელმოწერილია: ვ. რობერტსი თარიღი: 20X7 წ. 18 სექტემბერი

მიმოვიხილე მუდმივი ფაილი და მიმაჩნია, რომ არის სათანადო/ადეკვატური.

ხელმოწერილია: პ. რიინა თარიღი: 20X7 წ. 21 სექტემბერი

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: <i>გ.პ.რ.</i>	თარიღი: <i>18/9/X7</i>
მიმომხილველი: <i>პ.ა.რ.</i>	თარიღი: <i>21/9/X7</i>

წინასწარი დაგეგმვის პროცედურები - დამკვეთის ჩართვა დაგეგმარების პროცესში

შენიშვნა: მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი საკვანძო საკითხები საჭიროა, აღიწეროს აუდიტის ფაილის ან მუდმივ აუდიტის ფაილის შესაბამის ველებში და გათვალისწინებულ იქნეს რისკის შეფასებაში, აუდიტის მიდგომასა და საველე სამუშაოში.

თუ ამის გაცნობა კლიენტისთვის შეხვედრაზე მოხდება (და არა სატელეფონო საუბრისას), რომელიც განხორციელდება დამკვეთის ტერიტორიაზე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჟურნალებისა და დამხმარე ანგარიშების ტესტირება და „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტების ჩატარება.

<p>დამკვეთისა და აუდიტის გუნდიდან რომელი თანამშრომლები არიან ჩართულნი წინასწარი დაგეგმვის პროცესში და რა არის მათი როლი?</p> <p><i>შენიშვნა: თუ აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირებაში მიუთითებულია, რომ არსებობს საკითხები, რომელთა შესახებ საჭიროა როგორც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების, ისე ხელმძღვანელობის წევრების ინფორმირება. ამ შემთხვევაში, საჭიროა, შეთანხმება როგორც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, ასევე ხელმძღვანელობასთან - ეს შეიძლება მოხდეს ერთდროულად.</i></p> <p>მაიქლ მენი – დირექტორი/ მშობელი საწარმოს აქციების ძირითადი ნაწილის მფლობელი ჯეიმს მენი – “დირექტორი” (ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ს ა ფ უ მ ვ ლ ს გ ა რ ე შ ე)</p> <p>ვორენ რობერტსი – მენეჯერი პეპე რიინა – აუდიტორული გარიგების პარტნიორი.</p> <p>როგორ და როდის განხორციელდა კომუნიკაცია?</p> <p><i>შენიშვნა: თუ აუდიტორული გარიგების პარტნიორსა და დამკვეთს ჰქონდათ მნიშვნელოვანი კომუნიკაცია მთელი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ეს საკმარისი იყოს, თუ დოკუმენტირებულია.</i></p>
--

პ.ა.რ.-სა და დამკვეთს შორის ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა, ხოლო ქვემოთ მოცემული საკითხები განიხილეს ვ.პ.რ.-მ და მ.მ/ჯ.მ.-მა 17/9/X7 წელს.

ახალი აუდიტის დავალებაში, სადაც განსახილველი საკითხები მოითხოვს „ცვლილებების“ მითითებას, სრული ინფორმაციის დოკუმენტირება უნდა მოხდეს, რადგან სამუშაო დოკუმენტებში დასაბუთებული არ იქნება დამკვეთზე გავლენის მქონე „მიმდინარე“ საკითხები.

განხილვის სფერო (დაამატეთ დამატებითი საკითხები) - ყველა საკითხი უნდა იყოს განხილული და საკვანძო საკითხები გამოკვეთილი:	
1. მიმდინარე პერიოდის საქმიანობაში მომხდარი მოვლენები;	<ul style="list-style-type: none"> ○ ორი ძალიან წარმატებული წლის შემდეგ, ძირითადად ბუღალტრული აღრიცხვის / აუდიტის სტანდარტების სწრაფი ცვლილებების გამო, რამაც განაპირობა დიდი მოთხოვნა გადასინჯულ საბუღალტრო წიგნებზე, 20X7 წელს უფრო რთული პერიოდი დადგა; ○ პრობლემები გაუარესდა ტენდენციის გამო, რომ პროფესიული ფირმები ტექნიკურ მონაცემებს ელექტრონულად ითხოვენ, ნაბეჭის ნაცვლად; ○ დამკვეთი ცდილობს მის მიერ ფლობილი მარაგის დივერსიფიცირებას და ასევე სცადა ზედნადები ხარჯების შემცირება, რამაც ამ პერიოდში შემცირება გამოიწვია; ○ ამგვარად, ჯეიმსს აზრით მოსალოდნელია დაბეგვრამდე მოგება დაახლოებით ფ.ე.140 ათასის ფარგლებში, 20X6 წელს მიღებული ფ.ე.300 ათასის ნაცვლად.
2. ძირითადი თანამშრომლების ცვლილებები, ხელმძღვანელთა და აქციონერთა ჩათვლით;	ჯეიმსს მენზე სულ უფრო მეტად გადადის ყოველდღიური პასუხისმგებლობა მამამისისგან.
3. ცვლილებები ან ახალი სააღრიცხვო სისტემები (შიდა კონტროლის ჩათვლით);	მიმდინარე პერიოდში ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა ჯეიმსს მენი განიხილავს მარაგის აღრიცხვის სისტემის განახლებას
4. შეცვლილი ან ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები, სააღრიცხვო შეფასებების ჩათვლით (მათ შორის, ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის პირველად გამოყენების შედეგად წარმოქმნილი);	ახალი სტანდარტები არ გამოცემულა და არ გამოვლენილა სამეურნეო საქმიანობის ისეთი ცვლილებები, რაც გამოიწვევდა არსებული სტანდარტის პირველად გამოყენებას.
5. ახალი კანონი ან რეგულირება, ან ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში, რაც ვრცელდება სამეურნეო საქმიანობაზე;	არ არი გამოკვეთილი.
6. სააღრიცხვო პერიოდში დამკვეთის ან მომსახურე ორგანიზაციის მიერ კანონთან და რეგულაციებთან შეუსაბამობის ყველა ცნობილი შემთხვევა;	ბატონმა მენმა აგვიხსნა, რომ კომპანიას ამჟამად დავა აქვს მომწოდებელთან, რომელმაც ნამდვილად დაარღვია საავტორო უფლებები. (ჯეიმსმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადმოგვიზავნოს იურიდიული და პროფესიული ნომინალური საბუღალტრო წიგნის ანგარიში, თუმცა ჯეიმსს გარკვევით თქვა, რომ ეს საკითხი მოლაპარაკებების მეშვეობით გვარდება და არა სასამართლოს მეშვეობით.

<p>7. სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში დამკვეთის მიმართ პრეტენზიის ან საჩივრის ნებისმიერი შემთხვევა (იგულისხმება, რომ იურიდიული მრჩეველებისგან მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ასლები უნდა იქნეს მოთხოვნილი აუდიტის გუნდის მიერ, რათა გადაწყვიტოს, მესამე მხარის დადასტურებები არის თუ არა საჭირო);</p>	<p>იხ. ზემოთ.</p>
<p>8. ბიზნესში მნიშვნელოვანი რისკის პოტენციური სფეროები (მათ შორის, აქვს თუ არა დამკვეთს რისკის შეფასების პროცესი, ოფიციალური თუ სპეციალური და ნებისმიერი არახელსაყრელი საკითხი, რომელიც გამოვლინდა რისკის შეფასების პროცესში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში). შენიშვნა: ასს 240-ის 31-ე პუნქტის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების უგულებელყოფა მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ყველა ორგანიზაციაში. გარდა ამისა, შემოსავლების აღიარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თაღლითობის რისკზე;</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკის შეფასებები მესამე მხარის მიერ ყოველწლიურად ტარდება. აღნიშნულმა გამოავლინა, რომ გარკვეული თაროები, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოდაა მიჩნეული, ვერ აკმაყოფილებს ახალი საწყობების მოწყობილობების არსებულ სტანდარტებს; ○ რაიმე სხვა რისკის შეფასება დოკუმენტირებული არ არის, თუმცა დამკვეთი ნამდვილად ადევნებს თვალყურს სამეურნეო საქმიანობის ყველა ასპექტს; ○ ბატონი მენი შეშფოთებულია ზემოთ მოცემულ (1) პუნქტში ხაზგასმული ტენდენციების გამო და გარკვეული ზომები იქნა მიღებული, მაგრამ ბაზრის საერთო სიდიდის გამო შეუძლებელია „ბითმად ყიდვა“ და დიდი ფასდაკლებების მიღება, რადგან მომხმარებელთა ბაზა შეზღუდულია, თუმცა მარაგის ყიდვის გულდასმით დაგეგმვით შესაძლებელია მომწოდებლებისგან უფრო მაღალი ფასდაკლებების მიღება; ○ ვ.რ.-მ კითხვა დასვა მარაგის მოძველების რისკის თაობაზე. ბატონმა მენმა აღიარა, რომ ეს რისკი იზრდება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ახალი კანონმდებლობის შემოღება გარდუვალია, რაც მომდევნო თვეების განმავლობაში მარაგის სისჭიმების მიმოხილვის ერთ-ერთი მიზნია.

<p>9. ნებისმიერი ორგანიზაციის წინაშე დგას თაღლითობის რისკი. განახორციელეთ თაღლითობის ყველა შესაძლო შემთხვევის დოკუმენტირება დამკვეთთან ან მომსახურე ორგანიზაციასთან მიმართებაში, ასევე, სადაც შესაძლებელია მოხდეს საქმიანობის ფარგლებში (თუ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი ყველა პირი არ არის ჩართული კომპანიის მართვაში, ეს საკითხი უნდა დაისვას როგორც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ხელმძღვანელობის წინაშე);</p>	<ul style="list-style-type: none"> ○ ბატონი მენის აზრით დანერგული კონტროლის საშუალებები ადეკვატურია. მხოლოდ მას და ჯეიმსს აქვთ ჩეკზე ხელის მოწერის უფლება (ჯეიმსს მხოლოდ £5,000-მდე), თუმცა არსებობს „საწყობის ანგარიში“, სადაც ჩეკზე დამატებით ხელმოწერია დანი ჰიგინზოთამი, £500-იანი ზღვრის ფარგლებში; ○ მუდმივ ფაილში არსებულ, სისტემების შესახებ გადასინჯულ შენიშვნაში (B1-3) ჩვენ განვიხილეთ გასულ წელს გამოვლენილი ძირითადი კონტროლის საშუალებები და ბატონი მენის აზრით ისინი ეფექტურია; ○ პერსონალი უმნიშვნელოდ შეიცვალა და ბატონი მენი ფიქრობს, რომ მას შეუძლია ენდოს ყველა თანამშრომელს.
<p>10. ბიზნეს-პრაქტიკისა და ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით დასაქმებულებთან კომუნიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</p>	<p>თანამშრომლებს პერიოდულად ახსენებენ ნაღდი ფულის მოძრაობასთან დაკავშირებულ წესებს, მიუხედავად იმისა, რომ ნაღდი ფული ცოტა ოდენობით შემოდის.</p>
<p>11. დამკვეთის მიერ ჟურნალებისა და დამხმარე ანგარიშების გამოყენება;</p>	<p>დევიდ მერინგტონი (გარე ბუღალტერი) აწარმოებს დამხმარე ანგარიშს, რომელსაც ის ყოველი წლის დასრულებამდე ანულებს. დევიდი ერთადერთი პირია, ვისაც საჟურნალო გატარებების გაკეთების უფლება აქვს (პაროლით არის დაცული) და ის გატარებების წერილობით აღრიცხვას აწარმოებს. ჯეიმსმა თქვა, რომ დამხმარე ანგარიში ძალიან იშვიათად გამოიყენება, როგორც წესი, მცირე ოდენობით თანხის მიღების ან გადახდებისათვის, რომელთა მაშინვე გამოვლენა შეუძლებელია.</p>
<p>12. დამკვეთის აზრით რომელია ყველაზე პრობლემური ციფრები პირველად ანგარიშგებებში (ანუ, რომლებსაც დამკვეთი მიიჩნევს როგორც „არსებითს“) და ამ ციფრების რა ცვლილება მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე მათ შეხედულებაზე;</p>	<p>მრავალი ბიზნესის მსგავსად მოგება და გადასახადები იწვევენ მნიშვნელოვან შეშფოთებას. დამკვეთს სურს, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადი „სწორი“ იყოს. დამკვეთს აწუხებს ასევე მარაგის დონეები და დებიტორული დავალიანება. არ მიგვაჩნია, რომ საჭიროა HAT-ის არსებობის გამოთვლის ცვლილება.</p>
<p>13. ცვლილება ორგანიზაციის მიზნებში;</p>	<p>გამოვლენილი არ არის.</p>
<p>14. ცვლილება მომსახურე ორგანიზაციებში, ან მომსახურე ორგანიზაციის მიერ გაწეულ მომსახურებაში;</p>	<p>ერთადერთი მომსახურე ორგანიზაციაა გარე ბუღალტერი.</p>
<p>15. ექსპერტის თანხმობის მოპოვების საჭიროება;</p>	<p>არავითარი.</p>

<p>16. ახალი დაკავშირებული მხარეები ან არსებულის ცვლილება (დარწმუნდით, რომ დამკვეთს სწორად ესმის დაკავშირებული მხარეების მნიშვნელობა - საჭიროებისამებრ გამოიყენეთ დაკავშირებული მხარეების კითხვარი - პროფორმა დოკუმენტები/დანართი 7), მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დაკავშირებული მხარის ნებისმიერი ოპერაციის შესახებ (მიუხედავად იმისა, საჭიროა თუ არა ამ ინფორმაციის გასაჯაროება);</p>	<p>ბასს 24-ში მოცემული დაკავშირებული მხარის განმარტების განხილვის შემდეგ ვერც ჯეიმსმა და ვერც მამამისმა ვერ გამოავლინა დამატებითი დაკავშირებული მხარე.</p>
<p>17. მოსამზადებელი/წარსადგენი ფინანსური ანგარიშგებების სახე;</p>	<p>ფასს ფინანსური ანგარიშგება.</p>
<p>18. გამოიკვლიეთ, რა ზომები მიიღო დამკვეთმა ბოლო პერიოდის ხელმძღვანელობის წერილში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (თუ ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ეს);</p>	<p>წერილი „პრობლემების არ არსებობის“ შესახებ გამოცემულ იქნა გასულ პერიოდში.</p>
<p>19. (სადაც შესაძლებელია) დამკვეთისგან დირექტორების ანგარიშის პროექტის მიღების მოსალოდნელი დრო;</p>	<p>ეს მოხდება ფინანსური ანგარიშგების პროექტის მომზადების შემდეგ, ისე რომ სამეურნეო საქმიანობის მიმოხილვაში აისახოს ფინანსური ინფორმაცია აუდირებული ფინანსური ანგარიშგების პროექტიდან.</p>
<p>20. ჩამოთვალეთ ყველა დამატებითი საკითხი, რომლის განხილვაც საჭიროა დამკვეთთან:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ [1-ლი საკითხი] ➤ [მე-2 საკითხი] 	<p>დამსწრეთაგან არავის წამოუჭრია რაიმე სხვა საკითხი.</p>

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ

შემსრულებელი: ვ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
--------------------------------	---------------------------

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

სააღრიცხვო შეფასებები

მიზანი: ეს ფორმა გამოიყენება, რათა შესაძლებელი გახდეს:

- დამკვეთის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო შეფასებების დოკუმენტირება;
- დაშვებების მეშვეობით შეფასების გაკეთება; და
- ადიტორის მიერ საბოლოო ციფრის მისაღებად გამოყენებული დაშვებების დასაბუთებულობის განხილვა.

წინამდებარე დოკუმენტის შენახვა შესაძლებელია მუდმივ ფაილში, თუკი შეფასებების მიღების საფუძველი თანმიმდევრული იქნება ყოველ წელს. იგი აგრეთვე შეტანილ უნდა იქნეს მიმდინარე სამუშაო დოკუმენტების ფაილის დაგეგმვის ნაწილში. წინამდებარე ფორმის შევსება სავალდებულოა.

ინფორმაცია მიღებულ უნდა იქნეს დამკვეთისგან მისი დაგეგმვის პროცესში ჩართვამდე (დანართი 1.9/Ac8/1), მანამ, სანამ არ ჩაირთვება ექსპერტი, რომლისგან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდგომ საჭიროა წინამდებარე დოკუმენტის გადახედვა.

დამკვეთის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო შეფასებების შეჯამება სამუშაო არსებობის გადამეტებით (საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სტრიქონები):

სფერო	გაანგარიშების საფუძველი (მათ შორის, შეფასების მეთოდები და იმის მითითება, შეფასების ავტორი დამკვეთია თუ ექსპერტი)	აუდიტორის კომენტარი შეფასების ტექნიკის შესახებ (მათ შორის, აუდიტორი აკეთებს თუ არა დასკვნას, რომ გამოყენებული ტექნიკა წარმოქმნის მნიშვნელოვან რისკს)	მინიშნება აუდიტორულ ტესტზე
ძირითადი საშუალებები - ცვეთა	<p>ცვეთის გამოსათვლელად დამკვეთი იყენებს განაკვეთებს, რომლებიც, როგორც ჩანს, მსგავსი დამკვეთების მიერ გამოყენებული განაკვეთების თანმიმდევრულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - საიჯარო ქონება – 5%, წრფივი - ინვენტარი და მოწყობილობები – 15%, დაჩქარებული მეთოდი - ავტომობილი – 20%, წრფივი 	<p>კომპანიის საიჯარო ქონებაა 20 წლიანი იჯარა, ამიტომ 20 წლიანი ჩამოწერის პერიოდი შესაფერისი ჩანს.</p> <p>ინვენტარი და მოწყობილობები - იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივების გამოყენების გამო მომდევნო წლებში იზრდება შეკეთების დანახარჯები, დამკვეთის მაღაზიების ჩანაცვლების / განახლების პოლიტიკასთან ერთად, ეს მეთოდი მისაღები ჩანს. როგორც ჩანს, აქტივების უმეტესობა კვლავ გამოიყენება და მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს ნულოვანი / ძალიან მცირე ნეტო საბალანსო ღირებულება.</p> <p>ავტომობილები - მრავალი მსგავსი დამკვეთის თანმიმდევრულია და კომპანია ავტომობილებს სულ მცირე ყოველ ხუთ წელში ცვლის და მათ გასვლიდან არასოდეს წარმოქმნილა მნიშვნელოვანი შემოსულობა ან ზარალი.</p>	C2

<p>მარაგი - ანარიცხები</p>	<p>დამკვეთი ანარიცხებს დირექტორის განსჯის საფუძველზე ქმნის. როგორც წესი, წელზე მეტი ხნის შემთხვევაში წიგნებიდან 50%-ს ჩამოწერს, ხოლო წელზე ხნის „წლიური“ წიგნებისთვის 100% ჩამოიწერება. სხვა სფეროებში ანარიცხი არ იქმნება, თუმცა დაკვირვებით უნდა იქნეს გათვალისწინებული „კომპანიების აქტის“ არსებული გამოცემა, რადგან ახალი აქტის მიღება გარდუვალია.</p>	<p>ჩვენი შეხედულება ისტორიულად გახლდათ ის, რომ ეს ანარიცხი შეიძლება ცოტათი აგრესიულია - აშკარაა, რომ ზოგიერთი წიგნი გამოცემიდან რამდენიმე წლის მანძილზე არის გამოსადეგი. თუმცა, სტანდარტების მუდმივი ცვლა არ ნიშნავს, რომ მრავალი წიგნი გამოუსადეგარია ერთი წლის შემდეგ. ტესტირებამ გასულ პერიოდებში გვიჩვენა, რომ წელზე მეტი ხნის წიგნების დაახლოებით 47% გამოუსადეგარია, ხოლო 53% თვითღრებულებაზე მეტად იყიდება - მაშასადამე, სალრიცხვო შეფასება არსებითად სწორია.</p>	<p>E2</p>
--------------------------------	--	--	-----------

<p>დებიტორული დავალიანების ანარიცხები</p>	<p>საზოგადოდ, დამკვეთს ძალიან ცოტა რაოდენობის ამოუღებელი დებიტორული დავალიანება აქვს, თუმცა საჭიროა ექვს თვეზე მეტი ხნით ვადგადაცილებულის ფრთხილად განხილვა, რათა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ანარიცხის შექმნა.</p>	<p>ხელახლა გამოითვალეთ და დარწმუნდით, რომ ყველა შესაფერისი ფაქტორი გათვალისწინებულია.</p>	<p>F2</p>
---	---	---	-----------

მიმაჩნია, რომ ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც დამკვეთი განსაზღვრავს სამუშაო არსებობაზე გადამეტებულ სააღრიცხვო შეფასებებს, გამოვლენილია და *არის/არ არის გონივრული და ჩატარდება აუდიტორული სამუშაო იმის დასადასტურებლად, რომ სააღრიცხვო შეფასებები მიღებულ იქნა აღნიშნულ საფუძველზე. ~~ჩქ, სადაც გაკეთდა დასკვნა, რომ სააღრიცხვო შეფასებების საფუძვლები არ არის გონივრული, საჭიროა შემდეგი დონისძიებები~~

ხელმოწერა: კ.ა.რ. (მიმომხილველი) 21/9/17

* წაშალეთ, თუ საჭიროა.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა მნიშვნელოვანი რისკის წარმოშობის საფრთხე, საჭიროა დამატებით შესრულებული აუდიტორული სამუშაოსა და გამოტანილი დასკვნების დამატებითი დოკუმენტირება ასს-თან შესაბამისობის შესახებ კრიტიკული საკითხების მემორანდუმში (დანართი 3.7 / Aa7).

სააღრიცხვო შეფასების განმარტება:

ასს 540-ში სააღრიცხვო შეფასება განმარტებულია, როგორც ამა თუ იმ მუხლის შესაბამისი მიახლოებითი ფულადი თანხის განსაზღვრა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს მისი ზუსტად გაზომვის საშუალება (როგორცაა მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურა ან ქვითარი / გადახდა). ამასთან, ეს ტერმინი გამოიყენება რეალური ღირებულებით შეფასებული თანხისთვის, როდესაც არსებობს შეფასების განუსაზღვრელობა, ასევე სხვა თანხებისათვის, რომლებიც შეფასებას საჭიროებს.

სააღრიცხვო შეფასებების მაგალითები:

ასს 540-ში მოყვანილია შემდეგი მაგალითები, თუ როგორ შეიძლება სამეურნეო სუბიექტმა გამოიყენოს სააღრიცხვო შეფასებები:

- რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასება (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტები, აქციებზე დაფუძნებული გადახდები, სარეალიზაციო აქტივები/საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი ვალდებულებები, გუდვილისა და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ჩათვლით);
- აქტივების ანარიცხები (მათ შორის, მარაგები/ამოუღებადი დებიტორული დავალიანება/ საინვესტიციო ანარიცხები და ამორტიზაციის მეთოდი/აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა);
- ვალდებულებების ანარიცხები (მათ შორის, საგარანტიო ვალდებულებები და ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განაჩენის შედეგად); და
- სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგი.

ზემოაღწიწილი შეფასებების გარდა, სხვა გავრცელებული სააღრიცხვო შეფასებები მოიცავს გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ანარიცხებს. გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ მოცემული სააღრიცხვო შეფასებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არ შეიძლება მოიცავდეს ყველა შეფასებას.

როგორ პასუხობს HAT აუდიტის სახელმძღვანელო ასს 540-ის მოთხოვნებს:

აღნიშნული ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, აუდიტის ცალკეულ სფეროში სპეციალური განხილვის გარდა (მითითებები აუდიტის ტესტებზე მოცემულია შემდეგ გვერდზე), სააღრიცხვო შეფასებები აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში შემდეგნაირად აისახება:

- გაითვალისწინება მთლიანობაში სამეურნეო სუბიექტის თანდაყოლილი რისკის შეფასებისას (დანართები 1.11.1 / 1.11.2 / Ac10);
- გაითვალისწინება ცალკეული ინდივიდუალური აუდიტის სფეროს თანდაყოლილი რისკის შეფასებისას (დანართი 1.12 /

Ac11/1);

- ნებისმიერი შეფასების, რომელიც მოითხოვს სუბიექტურობის მაღალ დონეს, წარმოიშობა რთული ოპერაციის შედეგად ან გამომდინარეობს დაკავშირებული მხარის მნიშვნელოვანი ოპერაციიდან, მნიშვნელოვანი რისკის შემცველად მიჩნევით. ამასთან, HAT სისტემის მიხედვით ნებისმიერი განსჯითი სააღრიცხვო შეფასება, რომელიც თხუთმეტჯერ აღემატება არსებითობას, განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი რისკის შემცველი (დანართი 1.12 / Ac11 / 2);
- თაღლითობის, რისკისა და დაკავშირებული მხარეების საკითხების შესახებ გუნდის დისკუსიაში შესატანი პუნქტის სახით (დანართი 1.19 / Ac18);
- არსებითი განსჯითი სააღრიცხვო შეფასებების რეტროსპექტული განხილვით, რომლებიც წამოწეულია მიკერძოებული დამოკიდებულების პოტენციური მტკიცებულების სახით. აღნიშნული საკითხი განხილულია აუდიტის მრავალ პროგრამაში და სრული დასკვნა მოცემულია N ნაწილში (დანართები 2.12.1 / 2.12.2 / 2.12.3 / N2/1);
- სააღრიცხვო შეფასებებისთვის, რომლებიც განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი რისკი, რაც დაკომენტირებულია ასს შესაბამისობის შესახებ კრიტიკული საკითხების მემორანდუმში (დანართი 3.7 / Aa7); და
- დამკვეთისგან შეფასების ტექნიკასთან დაკავშირებით ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის მიღება (დანართი 3.5 / Aa4).

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებელი: გ.კ.რ.	თარიღი: 18/9/17
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი	მიმომხილველი: კ.ა.რ.	თარიღი: 21/9/17

წინასწარი ანალიზური პროცედურები

შედეგებისა და წინასწარი ანალიზური პროცედურების შეჯამება

მიზნები:

- ამ პერიოდში ჩატარებული აუდიტზე გავლენაზე ხაზგასმა, ნებისმიერი მოულოდნელი კოეფიციენტის ან ვარიაციის გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს თაღლითობაზე.
- იმაში დასარწმუნებლად, რომ გამოვლენილი რისკები გადაცემულია რისკების შესაფასებლად და გათვალისწინებულია აუდიტის მიდგომაში/ სამუშაო პროგრამებში და ასახულია ჯვარედინ მითითებებშიც, აღნიშნულის წარმოსაჩენად;
- როდესაც მშობელი კომპანია ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ყურადღება უნდა გამახვილდეს მშობელი კომპანიის მონაცემებსა და კონსოლიდირებულ მონაცემებზე.

შედეგები:

ემყარება მე-12 თვის ხელმძღვანელობის ანგარიშებზე, Ac9/1 [აქ არ არის მოცემული]

ხელმძღვანელობის ანგარიშგების გამოყენება შესაფერისადაა მიჩნეული, რადგან ისტორიულად მცირე განსხვავებაა აღნიშნულსა და აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას შორის.

ამონაგები 13%-ით არის შემცირებული და მართალია, პირდაპირი დანახარჯებიც შემცირდა, მაგრამ მთლიანი მარჯა მნიშვნელოვნად დაბალია გასულ წელთან შედარებით (25%, 29%-ის ნაცვლად). დამკვეთის მიხედვით ეს შეიძლება განპირობებული იყოს მოთხოვნის შემცირებით და ელექტრონული ალტერნატივების მზარდი გამოყენებით (რაც ფასების შემცირებას იწვევს), თუმცა შეიძლება ასევე მიუთითებდეს, რომ შემოსავლის სისრულე რისკს წარმოადგენს.

ზედნადები ხარჯები 12%-ით შემცირდა დამკვეთის მიხედვით და ეს გახლავთ ხარჯების თვალყურის დევნების შედეგად - ეს საკითხი განხილული იქნება ანალიზურ პროცედურებში, R ნაწილში.

ძირითადი საშუალებები გაზრდილია გასულ სააღრიცხვო პერიოდთან შედარებით, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ შეძენილ იქნა ახალი ფურგონი.

წლის ბოლოს მოსალოდნელია მარაგის მაღალი დონეები შესყიდვის სტრატეგიის ცვლილების გამო, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ შესაძლო მოძველების საკითხს. უნდა ვუზრუნველყოთ, რომ მარაგი სწორადაა შეფასებული, თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით და შექმნილია საჭირო ანარიცხები, თუ უკვე შექმნილი არ არის.

ამონაგების შესაბამისად შემცირდა სავაჭრო დებიტორული დავალიანება და მოსალოდნელია, რომ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება წინა პერიოდის თანმიმდევრული იქნება.

საბანკო ანგარიში ოვერდრაფტში გადავიდა - რაც ფულადი სახსრების ნაკლებობაზე მიუთითებს (რის გამო ამცირებენ ზედნაღებ ხარჯებს, როგორც ზემოთ აღინიშნა). აუდიტის მსვლელობისას მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ საწარმო ფუნქციონირებადია.

დასკვნა:

როგორც ჩანს, დამკვეთს გარკვეული პრობლემები აქვს, რაც გამოწვეულია ბაზარზე მოთხოვნის შემცირებით, თუმცა ის მაინც მოგებიანია. ძირითადი გასათვალისწინებელი სფეროებია შემოსავლისა და დანახარჯების სისრულე და მარაგის ღირებულების შეფასება.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებელი: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი	გარიგების პარტნიორის მიერდამტკიცება: პ.ა.რ.	თარიღი: 21/9/17
	მიმომხილველი*: გ.პ.რ.	თარიღი: 28/1/18

რისკის შეჯამება

აღნიშნული ფორმის შევსება უნდა მოხდეს მაშინ, როცა ბიზნესის თანდაყოლილი რისკის შეფასებისას გამოიყენება აღწერილობითი/ტექსტური მიდგომა. აღწერილობითი/ტექსტური მიდგომის ალტერნატივის სახით, შესაძლებელია, რისკის შეფასება საკონტროლო კითხვარის გამოყენებით მოხდეს (იხ. დანართი 1.11.1). იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს რისკის რამდენიმე დონესთან, საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ ხაზები.

	რისკის შეფასება		მინიშნება
	დაგეგმვა	დასრულება	
მთლიანად ბიზნესის თანდაყოლილი რისკი	დაბალი	დაბალი	Ac10/2
კონტროლის გარეშო კონკრეტული სფეროების თანდაყოლილი რისკის შეფასება	არაეფექტური	არაეფექტური	Ac10/3
ძირითადი საშუალებები	დაბალი	დაბალი	Ac11/2
N/A	N/A	N/A	Ac11/3
არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები	N/A	N/A	Ac11/4
ინვესტიციები	დაბალი/საშ.	დაბალი/საშ.	Ac11/5
მარაგი	დაბალი	დაბალი	Ac11/6-8
დებიტორული დავალიანება	დაბალი	დაბალი	Ac11/9
ფული ბანკში და სალაროში	დაბალი	დაბალი	Ac11/10-12
კრედიტორული დავალიანება	დაბალი	დაბალი	Ac11/13
გადასახადი	დაბალი/მაღალი	დაბალი/მაღალი	Ac11/14
ანარიცხებია	დაბალი	დაბალი	Ac11/15
მონაგები	დაბალი	დაბალი	Ac11/16
შესყიდვები	დაბალი	დაბალი	Ac11/17
ხელფასები			

კონკრეტული სფეროების კონტროლის რისკის შეფასება			
ძირითადი საშუალებები			Ac12/2
არამატერიალური გრძელვადიანი			Ac12/2
აქტივები			Ac12/2
ინვესტიციები			Ac12/3
მარაგი			Ac12/3
დებიტორული დავალიანება			Ac12/4
ფული ბანკში და სალაროში			Ac12/4
კრედიტორული დავალიანება			Ac12/5
გადასახადი			Ac12/5
ანარიცხებია			Ac12/6
მონაგები			Ac12/6
შესყიდვები			
ხელფასები			

- დასრულებისას

რისკის ტექსტური შეფასება

ბიზნესის თანდაყოლილი რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასება

რისკის ფორმები უნდა შეივსოს –

- ხელმძღვანელობასთან შესაბამისი გამოკითხვის ჩატარების შემდგომ;
- გასული წელ წამოჭრილი საკითხების განხილვის შემდგომ;
- მუდმივი აუდიტორული ფაილის განხილვის შემდგომ; და
- წინასწარი ანალიზური პროცედურების შესრულების შემდგომ.

წინამდებარე დოკუმენტის შევსებისას გასათვალისწინებელი შენიშვნები –

- საკონტროლო სიების (დანართი 1.11.1) გამოყენება შესაძლებელია ცნობარის სახით;
- მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენის შემთხვევაში, საჭიროა ამ რისკებთან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებების გააზრება;
- მონიშნული * მუხლები შესაბამისად უნდა იქნეს მორგებული.

აუცილებელია, შესაბამისი განხილვის უზრუნველყოფა შემდეგ შემთხვევებში–

- მოვლენები და პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ექვს წარმოქმნის სამეურნეო უნართან, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, დაკავშრებით;
- დამკვეთის მიერ მომსახურე ორგანიზაციებისა და ექსპერტების მომსახურების გამოყენება;
- სასამართლო პროცესის, პრეტენზიებისა და კანონთან და რეგულირებასთან შეუსაბამო სფეროების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე;
- დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახვა;
- ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც ეფუძნება საადრიცხვო შეფასებებს.

მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენის შემთხვევაში:

- საჭიროა ასს-ის კრიტიკული (მნიშვნელოვანი) საკითხების შესაბამისობის მემორანდუმის ნაწილში Aa7 (დანართი 3.7) იმის დოკუმენტირება, თუ როგორ მოხდა რისკის თავიდან აცილება დავალების შესრულებისას.

მიზანი: აღნიშნული ფორმა განკუთვნილია მთლიანად ბიზნესის თანდაყოლილი რისკის გამოსავლენად. ასს 315-ში ნაგულისხმევია, რომ ყველა სახის ბიზნესს აქვს მაღალი რისკი, ამ უკანასკნელის უარყოფამდე. წინამდებარე ფორმის შევსება დაგეხმარებათ მაღალი რისკის თავიდან აცილების დასაბუთებაში.

1-ლი ნაწილი – ბიზნესის თანდაყოლილი რისკი ①

დამკვეთის ბიზნესის თანდაყოლილი რისკი არის დაბალი / საშუალო / მაღალი* შემდეგი მიზეზების გამო:

ზოგადი

ჩვენ უკვე მრავალი წელია ამ დამკვეთის აუდიტორები ვართ. ამ პერიოდის განმავლობაში აუდიტორული დასკვნა არასდროს ყოფილა უარყოფითი და დამკვეთთან არასდროს გვექონია მნიშვნელოვანი კამათი. ჯეიმს მენი (ჯგუფის მმართველი დირექტორის ვაჟი) ინტენსიურად არის ჩართული სამეურნეო საქმიანობაში და იმდენად სურს ყველაფრის სწორად გაკეთება, რომ გასულ წლებში მოგვიხდა მისი დაყოლიება, არ შეეტანა უმნიშვნელო ცვლილებები სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებაში. ყოველდღიურ ბუღალტერიას დევიდ მერინგტონი აწარმოებს. ის ძალიან კომპეტენტური, „მმართველ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ კვალიფიკაციის მქონე ბუღალტერია. როგორც წესი, ერთადერთი შესწორება, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, არის ინფორმაციის სავალდებულო გასაჯაროება განმარტებით შენიშვნებში, რაც ისედაც ჩანს გასული წლის სამუშაო დოკუმენტებში და მნიშვნელოვან რისკს არ წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგებისადმი მესამე მხარის დაინტერესება მცირეა, რადგან მშობელ კომპანიას მთლიანად ფლობს ბატონი მენი (თუმცა, ის განიხილავს უმცირესობის წილის ჯეიმსისთვის ჩუქებას / მიყიდვას). მართალია, კომპანიას ოვერდრაფტი აქვს (და მას იყენებდა მიმდინარე პერიოდში), მაგრამ ბანკს კონკრეტულად არ მოუთხოვია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

წარსულში ადგილი არ ჰქონია თაღლითობას ან დაკავშირებულ მხარეებთან პრობლემების გაუმყლავნებლობას და კანონები და რეგულირება ჩვეულებრივ ვრცელდება საბითმო / „საცალო“ ობიექტზე. კომპანიის ყოველდღიურ კონტროლს ჯეიმს მენი ახორციელებს, რომელსაც ბატონი მენი უწევს ზედამხედველობას.

როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგება საკმაოდ საბაზისოა, არ შეიცავს სუბიექტურ ან წინააღმდეგობრივ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ძირითად სამეურნეო საქმიანობაზე. წელს ძირითადი პრობლემა კლიენტის წინააღმდეგ დავა. თუმცა, პირველ პუნქტში ასახული საკითხების გამო მიჩნეულია, რომ აღნიშნული არ გაზრდის რისკის საერთო დონეს, რაც განხილულია Ac11-ში.

Audit – Apr '18 **App 1.11.2 / 3 of 6** **04/18**

ბულალტერიას დეივიდი (მომსახურე ორგანიზაცია) უძღვება, თუმცა მენები მის მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს ახორციელებენ ყოველთვიური ხელმძღვანელობის ანგარიშების მიმოხილვის მეშვეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

მართალია, არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ საწარმოს ფუნქციონირებადობის პრობლემა არსებობს ამ წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის, მაგრამ ბიზნესის მალაზიის ნაწილის გრძელვადიანი პერსპექტივა კითხვის ქვეშაა. უფრო დიდი კომპანიებისგან კონკურენცია მარუებს ამცირებს, მოთხოვნა მცირდება პროფესიული ფირმების მიერ კომპიუტერული პაკეტების დანერგვის გამო. ჯეიმს სურს ბიზნესის საბითუმო მხარის გაფართოება და კომპანიის ვებგვერდის შექმნა, ბულალტერბისთვის ონლაინ რესურსების უზრუნველსაყოფად. თუმცა, მამამისი ფიქრობს, რომ ჯეიმსს არ გააჩნია მისი გამჭრიახობა ბიზნესთან მიმართებით. მიმდინარე წელს მოგებისა და ფულადი სახსრების შემცირება შემცირებადი ბაზრის თანდაყოლილი რისკი, ისევე როგორც ახალ ბაზარზე გაფართოება, წარმოქმნის პრობლემას, რომელიც სამომავლოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

წინასწარ გამოვლენილი ფაქტები

ბატონ მენტან განხილვებისა და წინასწარი აუდიტორული დასკვნის შედეგად, საქმიანობაში მრავალი ცვლილება აღინიშნა. გაიზარდა კონკურენცია, რამაც განაპირობა კომპანიის მიერ პროდუქციის სპექტრის დივერსიფიკაცია. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა წლის ბოლოს მარაგის დონეები. არსებობს მოძველების შესაძლებლობა. ამასთან, რამდენიმე დებიტორული დავალიანების ნაშთია, რომელიც ექვს თვეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

„თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტები

ჩატარდა „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტები, რამაც გვიჩვენა, რომ სისტემები და ძირითადი კონტროლის მექანიზმები აუდიტის მუდმივ ფაილში ასახული ინფორმაციის შესაბამისად მუშაობს.

დასკვნა

მართალია, ზემოთ გამოვლინდა რისკ-ფაქტორები, მაგრამ დაბალი რისკის საერთო შეფასებაა შესაფერისი შემდეგი მიზეზების გამო:

- სამეურნეო საქმიანობას მართავს ჯეიმს მენი, რომელსაც მაიქლ მენი უწყევს ზედამხედველობას და ფინანსური ანგარიშგებისადმი გარე დაინტერესება მცირეა;
 - დამკვეთთან ჩვენი მუშაობის გამოცდილება არ გვიჩვენებს მნიშვნელოვან პრობლემებს ან უთანხმოებებს;
 - მარაგთან, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან და კლიენტთან მიმდინარე დავასთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკები შემოიფარგლება ინდივიდუალური სფეროებით, რაც ასახულია Ac11-ში;
 - ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით ზემოთ გაკეთებული კომენტარები გრძელვადიან საკითხს ეხება და მოსალოდნელი არ არის, რომ გავლენა იქონიოს მიმდინარე წელს (ბანკის ოვერდრაფტის რესურსი ჯერ კიდევ საკმარისია).
- ① ყველა დამკვეთს, მათ შორის, დაბალი რისკის ბიზნესის მქონე, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აღნიშნული მიმოხილვის ფარგლებში საჭიროა, კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკის გათვალისწინება.

მიზანი: აღნიშნული ფორმა განკუთვნილია სამეურნეო სუბიექტის კონტროლის გარემოს ადეკვატურობის შესაფასებლად მთლიანობაში, კონტროლის ტესტზე დაფუძნებული აუდიტორული მიდგომის შესაფერისობის დასადგენად.

გარდა ამისა, წინამდებარე ფორმაში უნდა აღიწეროს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების გვერდის ავლის რისკებთან.

ნაწილი 2ა – ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების უგულვებელყოფის რისკების შეფასება

ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლის რისკი ყველა სამეურნეო სუბიექტში არსებობს. თუმცა, ამ რისკის დონე განსხვავებულია სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტში. HAT აუდიტის დოკუმენტაცია მოიცავს ყველა სავალდებულო შემოწმებას, რომელთა ჩატარება აუცილებელია ასს 240-ის 32-ე და 33-ე პუნქტების თანახმად. ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლის შემთხვევაში, დააფიქსირეთ მოსაზრებები, ამის შედეგად გამოწვეული რისკის დონის შესახებ და ამ რისკის მოსაგვარებლად დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები:

დმაკვეთის ხასიათიდან გამომდინარე არსებობს ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის უგულვებელყოფის რისკი - როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, ბატონ მენს შეუძლია ოპერაციაზე დაფუძნებული კონტროლის გვერდის ავლა. თუმცა, გასულ წლებში ჩატარებულ ტესტირებას არ წარმოუჩენია კონტროლის არსებითი ხასიათის მსგავსი უგულვებელყოფა. აღნიშნულ რისკზე რეაგირებისათვის ნაწილში U მოცემულია დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები.

ნაწილი 2ბ – კონტროლის გარემოს გათვალისწინება

დამკვეთის კონტროლის გარემო არის ~~ფუნქციური~~ / არაეფექტური * შემდეგი მიზეზების გამო:

ისტორიულად შეცდომები მცირეა, დეივიდი მეთოდოლოგიურად უდგება საკითხს და ხელმძღვანელობის ანგარიშებს ჯეიმს მენი მიმოიხილავს.

მაღალი დონის კონტროლის მექანიზმები არ არის საკმარისად დოკუმენტირებული იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ მათი

ტესტირება (მაგალითად, მართალია, გვესმის, რომ ჯეიმს მენი გულდასმით მიმოიხილავს ხელმძღვანელობის ანგარიშებს, მაგრამ ეს ოფიციალურად დოკუმენტირებული არ არის).

ოპერაციაზე დაფუძნებული კონტროლის მტკიცებულება არსებობს, თუმცა ბატონი მენი ზოგჯერ მათ გვერდ უვლის, არსებობს ასევე მოვალეობათა დანაწილების ნაკლებობა. ორგანიზაციის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია საკმარისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ძირითადი პროცედურების მიდგომისთვის.

ზემოაღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე, კონტროლის ტესტირება ჩატარდება/
არ ჩატარდება *.

შენიშვნები კონტროლის შეფასებებთან დაკავშირებით:

1. დავალების გეგმის აუდიტორული მიდგომის ნაწილი უნდა შეიცავდეს დეტალებს იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასებამ აუდიტორული პროგრამების შედგენაზე და როგორ გამოვლინდა ძირითადი მუხლები და ძირითადი აუდიტორული საკითხები.
2. თუ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ძირითადი პროცედურებიდან შესაძლებელია საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მიღება, მაშინ საჭიროა შესაძლო რისკის წარმოშობასთან დაკავშირებით კონტროლის საშუალებების შესწავლა. ასეთ გარემოებებში აუცილებელია, კონტროლის საშუალებების შემოწმება (მაგალითად, კომპანია, რომელიც ყიდის საქონელსა და მომსახურებას ინტერნეტით, სადაც პროცესი საკმაოდ ავტომატიზებულია და მცირედად ან საერთოდ არ არის დამოკიდებული ადამიანზე). ასეთ შემთხვევებში. სამეურნეო სუბიექტის ამგვარი რისკების კონტროლის საშუალებები აუდიტს ექვემდებარება (ასს 315.30, ასს 315.A140-142).
3. მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენის შემთხვევაში, შეისწავლილ უნდა იქნეს სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ რისკებთან.
4. ასს 240-ის 31-ე მუხლში წერია - „ხელმძღვანელობას თაღლითობის ჩადენის უნიკალური შესაძლებლობა აქვს, რადგან მას შეუძლია სააღრიცხვო ჩანაწერების მანიპულირება და გაყალბებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება იმ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლის გზით, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, თითქოსდა ეფექტურად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლის რისკის დონე განსხვავებული იქნება სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტში, ასეთ რისკს მაინც ექნება ადგილი ყველა სამეურნეო სუბიექტში. ვინაიდან, შეუძლებელია იმის წინასწარგანჭვრეტა, რა გზით მოხდება ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლის საშუალებების გვერდის ავლა, ამიტომ ეს არის თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი და, მაშასადამე, მნიშვნელოვანი რისკი“.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებელი: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი	გარიგების პარტნიორის მიერ დამტკიცება: პ.ა.რ.	თარიღი: 21/9/17
	Reviewed by*: გ.პ.რ.	თარიღი: 28/1/18

ბიზნესის თანდაყოლილი რისკის აღწერილობითი / ტექსტური შეფასება სპეციფიკურ სფეროში

მიზანი: აღნიშნული ფორმა შედგენილია აუდიტის თითოეულ სფეროსთან დაკავშირებული აუდიტორული მტკიცების შესაფასებლად. ასს 315-ში აღნიშნულია, რომ ყველა სფეროსა და მტკიცებას აქვს მაღალი რისკი, თუკი ეს არ არის უარყოფილი. წინამდებარე ფორმის შევსება დაგეხმარებათ, დარწმუნდეთ, რომ მაღალი რისკი თავიდან არის აცილებული.

რისკის ფორმები უნდა შეივსოს–

- ხელმძღვანელობის შესაბამისი გამოკითხვის შემდეგ;
- გასულ წელს წამოჭრილი საკითხების განხილვის შემდეგ;
- მუდმივი აუდიტორული ფაილის მიმოხილვის შემდეგ; და
- წინასწარი ანალიზური პროცედურების შესრულების შემდეგ

წინამდებარე დოკუმენტის შევსებისას/დასრულებისას გასათვალისწინებელი

შენიშვნები –

- შესაძლო რისკ-ფაქტორების ჩამონათვალი შემოწმებულია (დანართი 1.14.1) და მისი გამოყენება შესაძლებელია ცნობარის სახით;
- აუდიტის თითოეული სფეროს რომელიმე წინასწარ შეკითხვაზე პასუხი „დიახ“ ნიშნავს, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები და, შესაბამისად, საჭიროა ამ სფეროს შესახებ სრული კომენტარის გაკეთება; და
- ნაწილები/სექციები, რომლებიც მოსალოდნელ სამუშაო არსებითობაზე ნაკლებია ან, რომელთა გამოყენება არ არის შესაძლებელი, უნდა იქნეს ამოღებული.

ამონაგებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხები

ასს 240-ის 26-ე პუნქტის მიხედვით: „თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების დადგენისა და შეფასებისას, აუდიტორმა უნდა იგულისხმოს, რომ ამონაგების აღიარებას უკავშირდება თაღლითობის რისკები, შეაფასოს, თუ რა ტიპის ამონაგები, საშემოსავლო ოპერაციები ან მტკიცებები წარმოშობს ასეთ რისკებს. 47-ე პუნქტში მითითებულია ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელშიც აუდიტორი ასკვნის, რომ ეს დაშვება არ გამოიყენება გარიგების კონკრეტულ გარემოებებში, აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა შეიტანოს ასეთი დასკვნის გამოტანის მიზეზები“.

ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ამონაგებთან დაკავშირებული რისკი იქნება მაღალი იმ დრომდე, სანამ ვარაუდი ასეთი რისკის არსებობის შესახებ სათანადოდ არ იქნება უარყოფილი. დამატებითი ინფორმაციისთვის ასს 240-ში იხილეთ „გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა“ - გ28-გ30 პუნქტები.

თუ ამონაგების აღიარებას უკავშირდება თაღლითობის რისკი, რომლის უარყოფა შეუძლებელია, მაშინ სახეზეა მნიშვნელოვანი რისკი (იხ. ქვემოთ).

მნიშვნელოვანი რისკები:

საჭიროა ყველა მნიშვნელოვანი რისკის ხაზგასმა. მნიშვნელოვანი რისკი წააგავს „ნაღმს“.

რისკი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, შემდეგი მიზეზების გამო:

- არსებობს თაღობის რისკი;
- რისკი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სააღრიცხვო ან სხვა მოვლენებთან და ამ მიზეზით მოითხოვს სპეციფიკურ ყურადღებას;
- ოპერაციების სირთულე;
- მოიცავს თუ არა რისკი მნიშვნელოვან ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან;
- რისკთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შეფასების სუბიექტურობის დონე;
- მოიცავს თუ არა რისკი მნიშვნელოვან ოპერაციებს (მათ შორის, დაკავშირებულ მხარეებთან), რომლებიც სცდება ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის ფარგლებს; და
- HAT სისტემასთან შესაბამისობის მიზნით, ბალანსის უწყისი, რომელიც მიიღება სააღრიცხვო შეფასების შედეგად (ანუ საექსპერტო შეფასება, რომელიც მომზადებულია სამეურნეო სუბიექტის ან გარე ექსპერტის მიერ) და არსებითობაზე თხუთმეტჯერ მეტია, ავტომატურად განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი.

მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენის შემთხვევაში:

- მტკიცების დონეზე საჭიროა ამ რისკისთვის სპეციფიკური ძირითადი პროცედურების შესრულება;
- ამგვარ რისკებთან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებები უნდა იქნეს შესწავლილი;
- ისინი ავტომატურად მიჩნეული იქნება, როგორც „მაღალი რისკის მქონე“, ხოლო სხვა რისკები – „დაბალი რისკის მქონე“. „დეფოლტის“ რისკი შეიძლება (და საჭიროა, რომ) მნიშვნელოვნად იქნეს მიჩნეული. აუცილებელია, მიზეზების სრულად დოკუმენტირება;
- მათ შესახებ დამკვეთის ინფორმირება მოხდება დაგეგმვის ეტაპზე, დაგეგმვის წერილით (დანართი 1.20); და
- ის, თუ როგორ მოხდა რისკზე რეაგირება დავალების შესრულებისას, უნდა შეჯამდეს, ასს-ის შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმის Aa7 ნაწილში (დანართი 3.7).

* - დასრულებისას.

****შენიშვნა:** ქვემოთ მოცემულ რისკის შეფასებაში გარე ბუღალტერი მიჩნეული არ არის მომსახურე ორგანიზაციად. ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს აუდიტს ზუსტად ისე შევასრულებთ, როგორც თვითონ დამკვეთის მიერ მომზადებული მთავარი საბუღალტრო წიგნის აუდიტს შევასრულებდით.**

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - ძირითადი საშუალებები:

- | | |
|---|--------------------------|
| 1. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები? | დიახ /
არა |
| 2. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან? | დიახ /
არა |
| 3. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტზე დაყრდნობას? | დიახ /
არა |
| 4. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური საკითხები ამ სფეროში? | დიახ /
არა |
| 5. გამოავლინა თუ არა ბიზნესის თანდაყოლილი რისკის შეფასებამ პოტენციური ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს აქტივების გაუფასურებაზე? | დიახ / არა |
| 6. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს? | დიახ / არა |

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/საშუალო/ მაღალი)	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/ საშუალო/მაღალი)	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
--	----------	---	---	------------------------------

<p>დაბალი</p> <ul style="list-style-type: none"> დამკვეთი კარგად აწარმოებს ძირითადი საშუალებების რეესტრს; რეესტრიდან შესაძლებელია აქტივების გარკვევით იდენტიფიცირება; წარსულში პრობლემები არ გამოვლენილა; ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა შესაფერისია; მართალია, წარსულში ცვეთასთან დაკავშირებით გამოვლინდა შეცდომები, მაგრამ ისინი ძალიან უმნიშვნელო იყო. 	არსებობა	არავითარი – დაბალი	საჭიროა ჩვეულებრივი ფიზიკური შემოწმების სამუშაოს შესრულება.	
	უფლებები/ მოვალეობები	არავითარი – დაბალი		
	სისრულე	არავითარი – დაბალი		
	შეფასება / განაწილება/მიკუთვნება	ცვეთა სააღრიცხვო შეფასებაა, თუმცა მსგავსი კომპანიებისთვის მომსახურების ვადა ემყარება „ფართოდ მიღებულ“ ნორმებს ~ დამატებითი რისკი არ არსებობს, შესაბამისად – დაბალი		C2 – Test 18
	ინფორმაციის გასაჯაროება	არავითარი – დაბალი		

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - მარაგები:

1. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები? დიახ / არა
2. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან? დიახ / არა
3. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტზე დაყრდნობას? ~~დიახ~~/
არა
4. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური საკითხები ამ სფეროში? დიახ / არა
5. გამოავლინა თუ არა ბიზნესის თანდაყოლილი რისკის შეფასებამ პოტენციური ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს აქტივების გაუფასურებაზე? დიახ / არა
6. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს? ~~დიახ~~/
არა

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/საშუალო/ მაღალი)	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/ საშუალო/მაღალი)	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
<p style="text-align: center;">დაბალი</p> <ul style="list-style-type: none"> • მართალია, წარსულში ამ სფეროში გამოვლინდა შეცდომები, ისინი მნიშვნელოვანი მაგრამ 	არსებობა	არავითარი – დაბალი		

<p>არასდროს ყოფილა;</p> <ul style="list-style-type: none"> დამკვეთის მარაგის დათვლა (რომელსაც დავესწარით) ისტორიულად საიმედოა და არავითარი პრობლემა არ გამოვლენილა მიმდინარე პერიოდში. 	<p>უფლებები/ მოვალეობები</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		
	<p>სისრულე</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		

<ul style="list-style-type: none"> ძირითადი პრობლემაა შეფასება - იხ. მარჯვნივ. 	<p>შეფასება / განაწილება/მიკუთვნება</p>	<p>საშუალო - თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე სამართლის ბუღალტერიის წიგნები სწრაფ მოძველებას განიცდიან, ამიტომ მარაგის მოძველება ისტორიულად პრობლემას წარმოადგენდა;</p> <p>დიდი ოდენობით ახალმა მარაგმა და მზარდმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვა.</p>	<p>საჭიროა მარაგის გულდასმით განხილვა, რადგან ზოგიერთი დაასახელება შეიძლება მიუთითებდეს მოძველების პრობლემებზე, განსახილველია ასევე ის პროდუქცია, რომელიც ცოტა ოდენობით იყიდებოდა ბოლო დროს. საჭიროა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდა და ტესტების ყველა მარაგზე ჩატარება.</p>	<p>E2 Test 15</p>
	<p>ინფორმაციის გასაჯაროება</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - სავაჭრო დებიტორული დავალიანებები/მოთხოვნები:

1. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები? დიახ / არა
2. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან? დიახ / არა
3. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტზე დაყრდნობას? ~~დიახ~~ / არა
4. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური საკითხები ამ სფეროში? ~~დიახ~~ / არა
5. გამოავლინა თუ არა ბიზნესის თანდაყოლილი რისკის შეფასებამ პოტენციური ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს აქტივების გაუფასურებაზე? ~~დიახ~~ / არა
6. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს? ~~დიახ~~ / არა

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასკვნა	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასკვნა	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
<p>დაბალი</p> <ul style="list-style-type: none"> • სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოლოდინს შეესაბამება და წარსულში პრობლემები არ გამოვლენილა; • ერთადერთი სფერო, რომელიც განსჯას ექვემდებარება, არის დებიტორული 	არსებობა	არავითარი – დაბალი		
	უფლებები/ მოვალეობები	არავითარი – დაბალი		

<p>დავალიანების ანარიცხი - დამკვეთი მას მიმოიხილავს და ყოველთვის სიამოვნებით ისმენს ჩვენს მიერ ამ სფეროსთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • დროში გამოიჯენა შედარებით მარტივია ამ კომპანიაში - საქონლის მიწოდებისას ან გაყიდვისას გაცემულ ანგარიშ-ფაქტურებში აღრიცხულია მაღაზიიდან გაყიდვის დრო; • შენიშვნა: სხვა დებიტორული დავალიანება / წინასწარი გადახდები არაარსებითია. 	<p>სისრულე</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		
	<p>შეფასება / განაწილება/მიკუთვნება</p>	<p>არავითარი – თუმცა, როგორც ყოველთვის, საჭიროა ამოუღებელი დებიტორული დავალიანების ანარიცხის გულდასმით განხილვა – დაბალი</p>		<p>F2 – Test 11</p>
	<p>ინფორმაციის გასაჯაროება</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - ბანკი და ნაღდი ფული:

1. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, ~~დიახ~~/ არა დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები?
2. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ ~~დიახ~~/ არა მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან?
3. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ~~დიახ~~/ არა ექსპერტზე დაყრდნობას?
4. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური ~~დიახ~~ / არა საკითხები ამ სფეროში?
5. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ~~დიახ~~/ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს?

- სათანადო უფლებამოსილების მქონე, რეგულირებას დაქვემდებარებული საკლერინგო ბანკის გამოყენება არ ჩაითვლება მომსახურე ორგანიზაციად.

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/საშუალო/ მაღალი)	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/ საშუალო/მაღალი)	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
<p>დაბალი</p> <ul style="list-style-type: none"> • ამ სფეროში ოპერაციები შედარებით მარტივია და პრობლემებს არ იწვევს; • საბანკო ამონაწერთან შეჯერება ყოველთვიურად ხორციელდება და ბუღალტერი კარგად აკონტროლებს გატარებებს ამ სფეროში; • ერთადერთი პრობლემა, 	არსებობა	არავითარი – დაბალი		
	უფლებები/ მოვალეობები	არავითარი – დაბალი		
	სისრულე	არავითარი – დაბალი		

<p>რომელიც აღნიშნულია Ac8/9-ში, არის კომპანიის გაუარესებადი მდგომარეობა ფულადი სახსრების თვალსაზრისით, თუმცა, ეს ამ ეტაპზე პრობლემას არ წარმოადგენს არ ექვემდებარება ტესტირებას H ნაწილში.</p>	<p>შეფასება / განაწილება/მიკუთვნება</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		
	<p>ინფორმაციის გასაჯაროება</p>	<p>არავითარი – დაბალი</p>		

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - ვალდებულებების ანარიცხი:

1. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები? დიახ / არა
2. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან? დიახ / არა
3. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტზე დაყრდნობას? დიახ / არა
4. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური საკითხები ამ სფეროში? დიახ / არა
5. არსებობს თუ არა სასამართლო დავები, რომელთა მიმართ ანგარიშსწორება იქნება საჭირო, მიუხედავად წარმატების ალბათობისა? დიახ / არა
6. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს? ~~დიახ~~ / არა

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასაჯნა (დაბალი/საშუალო/დაბალი	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასაჯნა (დაბალი/	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
<ul style="list-style-type: none"> • დამკვეთი კანონთან და რეგულირებასთან შესაბამისობის საკითხს სერიოზულად განიხილავს და როგორც ჩანს, ყველა აუცილებელ პროცედურას ასრულებს ნაგებობებსა და 	არსებობა	არავითარი – აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას – დაბალი		

<p>თანამშრომლებთან მიმართებით (იხ. აუდიტის მუდმივი ფაილი);</p> <ul style="list-style-type: none"> • დამკვეთი ყოველთვის ეთანხმებოდა ჩვენს შესწორებებს, რომლებიც ეხებოდა ხელმძღვანელობის ანგარიშებში ანარიცხების გაზრდას / შემცირებას (თუ ძალიან არაარსებითი არ იყო); • მართალია, დაგეგმვისას გამოვავლინეთ დამკვეთის წინააღმდეგ დავა, მაგრამ ეს საერთო პრობლემას არ წარმოქმნის და რისკის დონე გაიზრდება მხოლოდ იმ მტკიცებებთან მიმართებით, რომლებზეც ახდენს გავლენას. 	უფლებები/ მოვალეობები	არავითარი – სასამართლო დავის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი მოვალეობა დამკვეთის არის – დაბალი		
	სისრულე	არავითარი – დამკვეთი ყოველთვის უზრუნველყოფდა ჩვენთვის ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას (რასაც წარსული ქმედებები ადასტურებს) – დაბალი		
	შეფასება / განაწილება/მიკუთვნება	მაღალი – დავის საბოლოო შედეგი სუბიექტურია - გულდასმით უნდა მიმოვიხილოთ არსებული მტკიცებულებები.		
	ინფორმაციის გამავჯვანება	არავითარი – დამკვეთი ყოველთვის ეთანხმებოდა ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ მიცემული რჩევის ძირითად ელემენტებს.		

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება, თანდაყოლილი რისკის შემთხვევაში - ამონაგები/სხვა შემოსავლები:

1. ამონაგები ან შემოსავალი არსებითაა ფინანსური ანგარიშგებასთან მიმართებით? დიახ / არა
2. აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით წინა პერიოდებში ადგილი ჰქონდა თუ არა აუდიტორულ კორექტირებას, დაუკორექტირებულ შეცდომებს ან გაცემულ იქნა თუ არა პირობითი აუდიტორული დასკვნები? დიახ / არა
3. მიიღება თუ არა აღნიშნული სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ნებისმიერი მონაცემი დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან ან სააღრიცხვო შეფასებებიდან? დიახ / არა
4. მოითხოვს თუ არა ამ სფეროს ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტზე დაყრდნობას? დიახ / არა
5. გამოავლინა თუ არა დამკვეთთან მსჯელობამ ან წინასწარმა ანალიზურმა პროცედურებმა პრობლემური საკითხები ამ სფეროში? დიახ / არა
6. გამოავლინა თუ არა ბიზნესის თანდაყოლილი რისკის შეფასებამ პოტენციური ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს, რომ შემოსავალი შეიძლება უზუსტობას შეიცავს? დიახ / არა
7. არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმაზე, რომ ამ სფეროში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებს? ~~დიახ~~ / არა

პასუხი „დიახ“ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე შეკითხვაზე ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს პოტენციური რისკები. შესაძლოა, არსებობდეს სხვა რისკებიც და აუცილებელია მათი სრულად ახსნა.

მნიშვნელოვანია ამ სფეროში მყარი არგუმენტების შექმნა რისკის შეფასების, გარდა მაღალი რისკისა, დასაბუთებისთვის.

აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/საშუალო/	მტკიცება	აუდიტის მტკიცებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თანდაყოლილი რისკები / დასკვნა (დაბალი/	აუდიტზე ზემოქმედება, მათ შორის, რისკის მოგვარების გზა	მინიშნება აუდიტორულ ტესტებზე
<p>დაბალი</p> <p>მარჯვნივ მოცემული მიზეზების გამო შეიძლება უარყოფილ იქნეს მოსაზრება, რომ ამონაგები მაღალ რისკს შეიცავს:</p> <p><i>სპეციფიკური კომენტარი ნაღდ ფულზე გაყიდვებთან დაკავშირებით - მართალია, მსგავსი ბიზნესი ჩვეულებრივ მაღალი რისკის შემცველად მიიჩნეოდა, მაგრამ „ნაღდ ფულზე“ გაყიდვების მცირე რაოდენობის, დამკვეთის კარგი მარაგის აღრიცხვის სისტემისა და ფაქტის, რომ განსხვავებებზე რეაგირება აუცილებლად ხდება, ნიშნავს, რომ ამონაგებს დაბალი რისკის შემცველად მივიჩნევთ.</i></p>	<p>არსებობა</p>	<p>არავითარი – ყველა გაყიდვა დაკავშირებულია მარაგთან და ნებისმიერი ინდივიდუალური გაყიდვის უკან, მარაგის საწყის შესყიდვასთან დაკავშირება შესაძლებელია – დაბალი</p>		
	<p>სისრულე</p>	<p>არავითარი – წარსულში ჩვენს მიერ ჩატარებული ტესტირება, რაც გულისხმობდა შესყიდვების შერჩევითი ერთობლიობის გაყიდვების მეშვეობით მიკვლევას, წარმატებული იყო. ამასთან, დამკვეთი მარჟებსა და მარაგის ზარალს გულდასმით მიმოიხილავს, რათა უზრუნველყოს გაყიდვების სისრულე – დაბალი</p>		
	<p>სისწორე</p>	<p>ყველა გაყიდვა წინასწარ დამტკიცებული ფასებით ხორციელდება. ძალიან რთულია ერთეულის ფასების შეცვლა ინდივიდუალური პროდუქტის დონეზე – დაბალი</p>		

	<p>დროში გამიჯვნა</p>	<p>არავითარი – სააღრიცხვო პოლიტიკა გარკვევითაა ჩამოყალიბებული, გაყიდვები აღიარდება გაყიდვის მომენტში „გადახდისას“ („მაღაზიაში“) ან კლიენტის მიერ საქონლის მიღებისას (საბითუმო). დამკვეთის სისტემებისა და კონტროლის მექანიზმების გამო რთულია რაიმეს გაყალბება ან არსებითი შეცდომის დაშვება – დაბალი</p>		
	<p>კლასიფიკაცია</p>	<p>არავითარი – ყველა მოგება-ზარალის ანგარიშის ერთ სტრიქონში აღირიცხება – დაბალი</p>		
	<p>გასაჯაროება</p>	<p>არავითარი – ყველა მოგება-ზარალის ანგარიშის ერთ სტრიქონში აღირიცხება, დამატებითი გასაჯაროება საჭირო არ არის – დაბალი</p>		

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
პარტნიორის მიერ დამტ- კიცება: გ.პ.რ.	თარიღი: 21/9/17
მიმომხილველი *: გ.პ.რ.	თარიღი: 28/1/18

არსებითობის შეფასება (მათ შორის, სამუშაო არსებითობის)

მიზანი: მიზანი: მთლიანი ფინანსური ანგარიშგებების არსებითობის, ასევე, სამუშაო არსებითობის, და არსებითობაზე დაფუძნებული სხვა რაოდენობრივი კრიტერიუმების შეფასება, რაც ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკს მისაღებ დონეზე შეამცირებს.

სასურველია ამ ფორმის კომპიუტერში შევსება.

საერთო არსებითობა

კრიტერიუმები	დაგეგმვა ³		დასრულე ბა	%	დაგეგმვა	დასრულება	
	ფ.ე.	ფ.ე.			ფ.ე.	ფ.ე.	
ამონაგები	2,660,480	მიითება:	2,660,480	მიითება:	1%	26,605	26,605
მოგება დაბეგვრამდე ²	125,305	მიითება:	125,305	მიითება:	10%	12,531	12,531
მთლიანი	579,268	მიითება:	579,268	მიითება:	2%	11,585	11,585

შეარჩიეთ ამ სამეურნეო სუბიექტისთვის ყველაზე შესაფერისი კრიტერიუმი დაბეგვრამდე მოგება დაბეგვრამდე მოგება

დაასაბუთეთ ზემოთ შერჩეული კრიტერიუმის გამოყენება (მე-4 და მე-5 შენიშვნები)

რადგან სავაჭრო კომპანიაა, მიჩნეულია, რომ მოგება ყველაზე შესაფერისი კრიტერიუმია.

თავდაპირველად შეთავაზებული არსებითობის დონეები: 12,531 12,531

თუ საჭირო იქნება თავდაპირველად შეთავაზებული არსებითობის დონის შესწორება, აღნიშნული დეტალურად ასახეთ აქ (მე-6 შენიშვნა) :

ა) შესწორება დირექტორთა ბონუსებისთვის (ფ.ე. 50,000 @ 10% =)	5,000	5,000
ბ) დამრგვალება	-531	-531
გ)		

შეფასებული საერთო არსებითობა 17,000 17,000

წინა პერიოდის არსებითობის დონე (მხოლოდ ინფორმაციისთვის):

20,000

დასკვნა დაგეგმვის ეტაპზე (მე-11 შენიშვნა)

მიჩნეულია, რომ ზემოთ გამოთვლილი საერთო არსებითობის დონე შესაფერისია, რადგან: დირექტორი, მაიქლ მენი ძირითადად დაინტერესებულია მოგების მიღებით. არსებითობის დონედ მოგების 10%-ის აღება შესაფერისი ჩანს, დირექტორის მიერ წარსულში განხილული დეტალების დონის გათვალისწინებით.

დასკვნა დასრულების ეტაპზე (მე-11 შენიშვნა)

განახორციელეთ დაგეგმვის ეტაპზე შეფასებული არსებითობის შეცვლის მიზეზები და გავლენა შესრულებულ აუდიტორულ პროცედურებზე:

არავითარი ცვლილება - აღსანიშნავი არაფერია.

სამუშაო არსებითობა

შეარჩიეთ საერთო თანდაყოლილი რისკი (დაბალი / საშ. / მაღალი):

დაბალი	დაბალი
--------	--------

სამუშაო არსებითობის პროცენტი (მე-7 შენიშვნა):

75.0%	75.0%
-------	-------

შენიშვნა: თუ გამოყენებულია პროცენტი, რომელიც განსხვავდება მეთოდოლოგიით დადგენილისგან, აღნიშნულის მიზეზების დოკუმენტირება განახორციელეთ ქვემოთ მოცემულ ჩანართში.

შეფასებული სამუშაო არსებითობა

12,750	12,750
--------	--------

დასკვნა დაგეგმვის ეტაპზე (მე-11 შენიშვნა)

მიჩნეულია, რომ ზემოთ გამოთვლილი საერთო არსებითობის დონე შესაფერისია, რადგან:

რადგან ამ დამკვეთთან დაკავშირებით ძალიან ცოტა პრობლემებია, არსებითობის 25%-იანი შემცირება შესაფერისია.

დასკვნა დასრულების ეტაპზე (მე-11 შენიშვნა)

განახორციელეთ დაგეგმვის ეტაპზე შეფასებული არსებითობის შეცვლის მიზეზები და გავლენა შესრულებულ აუდიტორულ პროცედურებზე:

არავითარი ცვლილება - აღსანიშნავი არაფერია.

არსებითად უმნიშვნელო

%

დონე, როდესაც შეცდომები უმნიშვნელოდ მიიჩნევა (მე-8 შენიშვნა) 1%

170	170
-----	-----

განახორციელეთ შეთავაზებული პროცენტის შეცვლის მიზეზები

(მე-11 შენიშვნა)

კონკრეტული სამუშაო არსებითობის დონეები ოპერაციების ჯგუფებისთვის, ანგარიშთა ნაშთებისთვის ან განმარტებითი შენიშვნებისთვის (მე-9 და მე-10 შენიშვნები):

ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ერთი ან მეტი ოპერაციების ჯგუფების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნების არსებობას, რომელთა მიმართ შედარებით დაბალი არსებითობის დონე უნდა იქნეს გამოყენებული, მოიცავს შემდეგს:

- ა) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება;
- ბ) იმ დარგთან დაკავშირებული ძირითადი განმარტებითი შენიშვნები, სადაც სამეურნეო სუბიექტი ოპერირებს;
- გ) განსაკუთრებული აქცენტი კონკრეტულ განმარტებით შენიშვნებზე (როგორცაა საწარმოთა გაერთიანება);
- დ) სააღრიცხვო შეფასებები.

ქვემოთ განახორციელეთ იმ კონკრეტული სამუშაო არსებითობის დონეების დოკუმენტირება, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოპერაციების ჯგუფებისთვის, ანგარიშთა ნაშთებისთვის ან განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ამ ეტაპზე შეიძლება აუდიტორისთვის სასარგებლო იყოს დამკვეთის შეხედულებებისა და მოლოდინის გაგება.

სამუშაო არსებობის სხვა გამოსაყენებელი დონეები:

%

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები ძირითადი ხელმძღვანელი პირების

ანაზღაურება

5%

850

850

სააღრიცხვო შეფასებები

37.5%

6,375

6,375

[ჩაწერეთ ოპერაციები, ნაშთები, განმარტებითი შენიშვნები ან სააღრიცხვო შეფასებები]

0

0

[ჩაწერეთ ოპერაციები, ნაშთები, განმარტებითი შენიშვნები ან სააღრიცხვო შეფასებები]

0

0

[ჩაწერეთ ოპერაციები, ნაშთები, განმარტებითი შენიშვნები ან სააღრიცხვო შეფასებები]

0

0

განმარტება ასს-ის 320.9 პუნქტის შესაბამისად:

ასს-ების მიზნებისთვის, სამუშაო არსებითობა აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდეებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილ არსებითობის დონეზე და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისაღებ დონემდე შემცირდეს იმის ალბათობა, რომ შეუსწორებელი და გამოუვლენელი უზუსტობების ჯამური სიდიდე გადაჭარბებს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილ არსებითობას. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო არსებითობა ასევე აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდეებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია კონკრეტული კატეგორიების ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის დადგენილ არსებითობის დონეზე ან დონეებზე.

მითითებები და შენიშვნები:

- 1 ლურჯ უჯრაში ჩაწერეთ მომხმარებლის ინფორმაცია;
- 2 გამოიყენეთ აბსოლუტური ციფრები (გადასახადით დაბეგვრამდე ზარალის შემთხვევაში, გამოიყენეთ დადებითი მაჩვენებელი).
- 3 დაგეგმვის ეტაპზე, გამოიყენეთ ხელმძღვანელობის ანგარიშები, მოქნილი (თავისუფალი) ბიუჯეტი ან ბოლო/უკანასკნელი პერიოდის ციფრები, მიმდინარე ციფრების არარსებობის შემთხვევაში.
- 4 აუდიტორი ვალდებულია, განახორციელოს არსებითობის, ასევე, სამუშაო არსებითობის, და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ტიპის ოპერაციების, ანგარიშის ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნების არსებითობის დონეების დადგენისას განხილული ფაქტორების დოკუმენტირება. არსებითობის განსაზღვრა გულისხმობს პროფესიული განსჯის გამოყენებას, აქედან გამომდინარე, აუდიტორი ვალდებულია, ახსნას კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენა არსებითობის დადგენისას. იხილეთ ასს 320.გ3-ის მითითებები.

მაგალითად: სავაჭრო კომპანიებისთვის, სადაც დირექტორები მოგებაზე ორიენტირებულნი არიან, საუკეთესო კრიტერიუმად დაბეგვრამდე მოგება ჩათვლება. ხოლო კომპანიისთვის, რომელიც ახორციელებს უძრავ ქონებაში ინვესტირებას, სავარაუდოდ, მთლიანი აქტივების ოდენობა იქნება ყველაზე სათანადო კრიტერიუმი. მომსახურე კომპანიებისთვის, სამეურნეო სუბიექტებისთვის, რომლებიც ფასს დანახარჯების საფუძველზე განსაზღვრავენ ფასს, ან არამოგებიანი სამეურნეო სუბიექტებისათვის ყველაზე შესაფერისი კრიტერიუმი იქნება ამონაგები;

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიისთვის ყველაზე შესაფერისი კრიტერიუმი ცვალებადია წლების მიხედვით, მსგავსი კრიტერიუმის გამოყენება გამოიწვევს წლების მიხედვით არაშესადარისი არსებითობის ციფრების მიღებას და მიზანშეწონილია სხვა ჯეროვანი კრიტერიუმების განხილვა.

- 5 შერჩეული კრიტერიუმებისთვის გამოყენებული პროცენტები პროფესიულ განსჯას ექვემდებარება. თუ ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები შეუსაბამოა, საჭიროებისამებრ შეიტანეთ ცვლილებები.
- 6 საჭიროა იმ ანომალიების შეწორება, რამაც შესაძლებელია, გავლენა იქონიოს არსებითობაზე. მაგალითად, როდესაც ბიზნესის მესაკუთრე ანაზღაურების სახით იღებს დაბეგვრამდე მოგების დიდ ნაწილს, მესაკუთრის მირ მიღებული ანაზღაურების დაბეგვრამდე მოგებაზე „უკან დამატება“ უზრუნველყოფს არსებითობის გამოთვლისთვის უფრო შესაფერის კრიტერიუმს.
- 7 მიზანშეწონილია, აუდიტის არსებითობის 75%-იანი მაჩვენებლის გამოყენება სამუშაო არსებითობის დადგენისას, როდესაც საერთო თანდაყოლილი რისკი დაბალია, 62.5%-ის, როდესაც საერთო თანდაყოლილი რისკი საშუალოა და როდესაც საერთო რისკი მაღალია - 50%-ის (განმარტება იხილეთ ქვემოთ). შესაძლებელია სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლის გამოყენება, მაგრამ საჭიროა სრულად დოკუმენტირება.
- 8 საჭირო არ არის „არსებითად უმნიშვნელო“ შეცდომების აკუმულირება. ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, მასშტაბის, ხასიათისა თუ ვითარების მიუხედავად, ეს ელემენტი აშკარად უმნიშვნელოა. შემოთავაზებულია აუდიტის არსებითობის 1%-ის გამოყენება იმ დონის განსაზღვრისთვის, როდესაც მუხლები უმნიშვნელოდ მიიჩნევა, თუმცა, შესაძლებელია სხვა პროცენტული მაჩვენებლის გამოყენება, თუ ის შესაბამისად დასაბუთებულია და სწორია.

თუმცა, თანხებთან დაკავშირებული უზუსტობები შეუძლებელია არსებითად უმნიშვნელო ხასიათს ატარებდეს, თუ ვიმსჯელებთ გარემოებების ან ხასიათის კრიტერიუმებით. თუ ეს ასეა, უზუსტობები გამოუსწორებელ შეცდომებად უნდა დაკვალიფიცირდეს.

ისეთი „სენსიტიური“ განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია აქციონერთა კაპიტალთან, დირექტორების შრომის ანაზღაურებასა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებთან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული თანხები, სიზუსტეს მოითხოვს. რეკომენდებულია, რომ დაკავშირებულ მხარეთა

ოპერაციებთან დაკავშირებული „დასაშვები უზუსტობა“ აუდიტის არსებითობის 5%-ით განისაზღვროს. დასაშვებია, სხვადასხვა საზღვრის დადგენა, მაგრამ ეს უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს. დამატებითი საზღვრები შესაძლებელია, ასევე, დადგენილ იქნას სხვა ჯგუფის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის, რაც სრულად უნდა დოკუმენტირდეს და არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო არსებითობის დონეს. თითოეულ შემთხვევაში, გამოყენებული აუდიტის არსებითობის პროცენტულობა უნდა იქნეს მითითებული.

- 9 სააღრიცხვო შეფასებები სიზუსტეს მოითხოვს. ეს ფინანსური ანგარიშგებების შედარებით „სათუთი“ ნაწილია და შესაბამისად, რისკის დონეც არსებობს. საჭიროა სააღრიცხვო შეფასებებისთვის შეფასების განუსაზღვრელობის დონის დოკუმენტირება და სამუშაო არსებითობაზე დაბალ დონეზე დადგენა.
- 10 განახორციელეთ დაანგარიშებული თანხის საფუძველზე არსებითობის დონის გამოუყენებლობის მიზეზების, ფინანსურ ანგარიშგებებში ინდივიდუალური ელემენტებისთვის შესაბამისი დონის განსაზღვრის მიზეზებისა და არსებითობის საბოლოო დონესა და დაგეგმვის არსებითობის დონეს შორის განსხვავებების მიზეზების დოკუმენტირება.

დავალებათა გეგმა

შენიშვნა: წინამდებარე სახელმძღვანელო უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ 2016 წლის 15 დეკემბერს ან შემდგომ დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შემსრულებელი: <i>გ.პ.რ.</i>	თარიღი: <i>18/9/X7</i>
მიმომხილველი**: <i>გ.პ.რ.</i>	თარიღი: <i>28/1/X8</i>

** - დასრულებისას – გაითვალისწინეთ, რომ აუდიტორული გარიგების პარტნიორმა აგრეთვე უნდა დაადასტუროს დაგეგმვის პროცესში შეტანილი ცვლილებები, რაც მითითებულია ნაწილში Aa7

აღნიშნული დავალებისთვის საჭირო სპეციალური უნარ-ჩვევების განხილვა
(უნდა მოიცავდეს გუნდის ყველა წევრს, უმცროსი პარტნიორების გარდა, მათ შორის, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველს)

სპეციალური უნარ-ჩვევები არ მოითხოვება.

დაგეგმვის დამტკიცება

ქვემოაღნიშნული ქმედებების განხილვა მოხდა გუნდური განხილვის ჩატარებამდე და აუდიტის საველე სამუშაოების დაწყებამდე, რაც დოკუმენტურად დავადასტურე, როგორც აუდიტორული გარიგების პარტნიორმა:

- აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირება;
- არა-აუდიტორული მომსახურებების განხილვა (საჭიროების შემთხვევაში);
- საერთო თანდაყოლილი რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასება;
- რისკის შეფასება ინდივიდუალურ აუდიტორულ სფეროებში; და
- არსებითობისა და სამუშაო არსებითობის დონეების განსაზღვრა.

გარდა ამისა, მიმოხილულ იქნა სამუშაო დოკუმენტების ფაილის B-დან U-მდე ნაწილებში მოცემული აუდიტის პროგრამები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროგრამები კარგად არის მორგებული აღნიშნული აუდიტის მიზნებზე.

დაგეგმვა დამტკიცებულია: კეკე რიინა (აუდიტორული გარიგების პარტნიორი) 20X7 წ. 21 სექტემბერი

დაგეგმვის დამტკიცება შიდა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის მიერ (საჭიროების შემთხვევაში)

მიმოვიხილე აუდიტორის საკონტროლო სიის რეგულირება, რისი დოკუმენტირება განვახორციელე, როგორც გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველმა. გარდა ამისა, დავალებათა გეგმასთან ერთად მიმოვიხილე დანარჩენი დოკუმენტები, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ და ასევე შემდეგი დოკუმენტები:

➢



დარწმუნებული ვარ, რომ აუდიტის შემოთავაზებული მიდგომა შეესაბამება ამ აუდიტის მიზნებს.

დაგეგმვა დამტკიცებულია
თარიღი

(აუდიტორული გარიგების პარტნიორი)

ზოგადი ინფორმაცია

დეტალური ზოგადი ინფორმაცია მოცემულია მუდმივი ფაილის A1 ნაწილში, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს მოკლე რეზიუმეს.

სამეურნეო სუბიექტი წარმოადგენილია კომპანიის სახით ~~[სხვა: ჩაწერეთ დეტალები]~~.

სამეურნეო სუბიექტის ძირითადი საქმიანობაა *ბუღალტრული აღრიცხვის წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების საბითუმო გაყიდვა*.

სამეურნეო სუბიექტის ბიზნეს მიზნებსა და სტრატეგიას წარმოადგენს *ხანადუში ფიზიკურად ოპერირების გაგრძელება და ონლაინ და პირდაპირი საქმიანობების განვითარება*.

აუდიტის ჩატარების მიზეზი	✓	კომენტარები
არ ექვემდებარება აუდიტისგან გათავისუფლებას	✓	ხანადუში აუდიტისგან გათავისუფლება არ ხდება
მოითხოვება კომპანიის წესდებით		
აქციონერთა ან დირექტორების მიერ მოთხოვნილი		
სხვა მიზეზი (ასეთ შემთხვევაში, მიუთითეთ მიზეზი)		
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელიმა პირებმა მოითხოვეს არასავალდებულო აუდიტის ჩატარება		

მნიშვნელოვანი ფაქტორები წინა აუდიტიდან და გავლენა ამ პერიოდის აუდიტზე

- წინა პერიოდში წამოჭრილი საკითხები აისახება Ac4 ნაწილში და განიხილება, ისინი კვლავ შესაფერისია თუ არა;
- ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება შედარებულ იქნა ამ პერიოდის ანგარიშგებასთან, როგორც წინასწარი ანალიზური პროცედურების ნაწილი;
- საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმვის დოკუმენტაციაში შეტანილ იქნა ბოლო-დროინდელი ფაილების ცივი მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტები; და
- საჭიროების შემთხვევაში, განხილულ იქნა ბოლო პერიოდის ხელმძღვანელობის წერილის პუნქტები და ისინი ამ პერიოდის რისკის შეფასებისა და აუდიტის მიდგომის განსაზღვრისას იქნა გათვალისწინებული.

- *გასულ წელს გაყიდვები აღირიცხა რეკორდულ დონეზე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ. ეს ნიშნავდა, რომ კომპანიამ ახალი/გადასინჯული ტექნიკური სახელმძღვანელო მითითებების მნიშვნელოვან გაყიდვებს მიაღწია, თუმცა მოსალოდნელია, რომ ეს „ერთჯერადი“ მოვლენა იქნება;*
- *მართალია, ადრე დაფიქსირებულ იქნა პრობლემები დებიტორული დავალიანების ამოღებადობასთან დაკავშირებით, მაგრამ ორი წლის კრედიტის მაკონტროლებლად კარგნ ბრედიდის დანიშვნა (არასრულ განაკვეთზე) და ახალი სისტემების დანერგვა*

მიუთითებს, რომ სავარაუდოდ წელს ეს პრობლემა აღარ იქნება;

- დაგეგმვისას რეაგირება მოხდა წინა წელს წამოჭრილ საკითხებზე - ისინი ძირითადად დაკავშირებულია აუდიტორული პროცედურების ვადებსა და ხასიათთან;
- წინა წელს დამკვეთმა მიიღო ხელმძღვანელობის წერილი, სადაც რომელშიც არავითარი პრობლემა არ იყო ასახული.

მნიშვნელოვანი მოვლენების შეჯამება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოვლენების შეჯამება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში (ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას და აგრეთვე დამკვეთისთვის სპეციფიკურ მოვლენებს. გარდა ამისა, საჭიროა წინა აუდიტორული ფაილის, მუდმივი აუდიტორული და სხვა შიდა ფაილების მიმოხილვიდან, როგორცაა მიმოწერის ფაილი, ხელმძღვანელობის ანგარიშების ფაილები, სახელფასო ფაილები და ა.შ. მიღებული შედეგების შეჯამება)

აქ არ უნდა იქნეს გამოვლენილი ინფორმაცია, რომელიც სხვა რომელიმე ნაწილშია ასახული.

1. „სამართლებრივი“ გაყიდვები დაეცა კანონმდებლობაში გარდუვალი ცვლილების გამო, რომელიც ჯერ არ მომხდარა;
2. წლის განმავლობაში ფ.ე. 38,500-ად შეძენილ იქნა ახალი ავტომობილი პროდუქციის მისაწოდებლად;
3. კომპანია ამჟამად დავა აქვს მომწოდებელთან საავტორო უფლების დარღვევის თაობაზე. კომპანია ადგილობრივ საბუღალტრო / იურიდიულ ფირმებთან ერთად რამდენიმე „ადგილობრივ“ გამოცემას უშვებს და დავის საკითხია ერთი გამოცემის ვადები. მოსალოდნელია, რომ მაქსიმალური ვალდებულება ჩვენი არსებობის დონეზე ნაკლები იქნება.

ძირითადი კანონი და რეგულირება

ეს უნდა იყოს „აღმასრულებელ შეჯამება“.

ძირითადი კანონები და რეგულირება

არ გამოვლენილა.

სხვა არსებითი ძირითადი კანონი და რეგულირება

კანონი კომპანიების შესახებ და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები

კანონი დასაქმების შესახებ

ჯანდაცვა და უსაფრთხოება, განსაკუთრებით კომპანიის ტერიტორიაზე

კომპანიას ამჟამად დავა აქვს ერთ-ერთ მომწოდებელთან საავტორო უფლებების თაობაზე (იხ. ნაწილი წლის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ).

სამუშაო უნდა შემოიფარგლებოდეს აღნიშნული საკითხების დამკვეთის შესაბამის თანამშრომელთან განხილვით (საორგანიზაციო სტრუქტურა იხილეთ მუდმივ ფაილში) და დოკუმენტების მიმოხილვით, საჭიროების შემთხვევაში. მუშაობისას აქცენტი უნდა გაკეთდეს პრობლემურ საკითხებზე. დამატებითი მითითებებისათვის N2-ში იხილეთ დამკვეთზე მორგებული სამუშაო პროგრამა.

დაკავშირებული მხარეების საკითხები (ყურადღება უნდა მიექცეს ნებისმიერ ახალ იდენტიფიცირებულ დაკავშირებულ მხარეს, დაკავშირებული მხარეების მნიშვნელოვან ოპერაციებსა და ტრანსფერულ ფასწარმოქმნას)

ეს უნდა იყოს „აღმასრულებელი შეჯამება“.

მაიქლ მენი (დირექტორი) - მისი ოჯახის წევრები არ ცხოვრობენ იგივე შინამეურნეობაში.

ჯეიმს მენი - მიჩნეულია დაკავშირებულ მხარედ, რადგან მაიქლის შვილია და სულ უფრო მეტად მონაწილეობს მაღალი დონის მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ლაურა მენი - ჯეიმსის ცოლია, მაშასადამე დაკავშირებული მხარის ოჯახის წევრია.

დენი ჰიგინზოთამი (დირექტორი) - მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ იგივე შინამეურნეობაში.

სხვა დაკავშირებული მხარე არ გამოვლენილა.

კომპანიების რეესტრში ძებნამ დაადასტურა, რომ მაიქლი / ჯეიმსი / დენი არ არიან რომელიმე სხვა კომპანიის დირექტორები.

დამკვეთთან განხილვის მეშვეობით სხვა დაკავშირებული მხარე არ გამოვლენილა.

სრული განხილვისთვის იხილეთ მუდმივი ფაილი.

მომსახურე ორგანიზაციები და ექსპერტები (ყურადღება უნდა მიექცეს იმას, მიღებულია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ციფრები მომსახურე ორგანიზაციის ან ექსპერტის (როგორცაა შეფასების სამსახური) ჩანაწერებიდან. ასეთ შემთხვევებში, განახორციელეთ ასეთი სფეროების მიმართ აუდიტორული გუნდის მიდგომის დოკუმენტირება).

არავითარი (გარდა არააუდიტორული მომსახურებისა, რომელსაც ჩვენ ვეწვეით).

აუდიტის მიდგომა

წინამდებარე ნაწილში აუცილებელია გამოსაყენებელი მიდგომის სრულად დოკუმენტირება წინასწარი ანალიზური პროცედურების, დამკვეთის განხილვების, რისკისა და კონტროლის შეფასების საფუძველზე. სახელმძღვანელოს პირველი თავის ტექსტში მოცემული დიაგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ბალანსის, ისევე ფინანსური შედეგების ანგარიშგების მუხლების მიმართ გამოყენებული მიდგომის დასაბუთებისათვის.

აუდიტის მიდგომა თითოეულ საკვანძო სფეროში შეჯამებულია ნაწილში Ac15/1.

სათანადოდაა გათვალისწინებული ექსპერტები და მომსახურე ორგანიზაციები.

გამოსაყენებელი აუდიტორული პროგრამები და დაგეგმვის პროცესში წარმოშობილი საკვანძო პუნქტები შეჯამებულია ქვემოთ, ისევე როგორც გუნდის თითოეული წევრის მოვალეობები მათ მიერ ჩასატარებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

- არსებითობების შემოწმების მიდგომა გამოიყენება ყველა აქტივთან / ვალდებულებასთან მიმართებით, რადგან შიდა კონტროლის სისტემა საკმარისად კარგი არ არის იმისათვის, რომ მისი დეტალური ტესტირება ჩავატაროთ და დავეყრდნოთ მას. მიჩნეულია ასევე, რომ შესაფერისია დამხმარე ანალიზური პროცედურების ჩატარება;
- შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა გამოთვლილ უნდა იქნეს *Ac15-ის მიხედვით და ტესტირებისათვის მუხლების შესარჩევად შემთხვევითი რიცხვების ცხრილი უნდა იქნეს გამოყენებული;*
- *ამონაგებისა და ხარჯების მიმართ გამოიყენება ოპერაციების ტესტირება;*
- *სხვა შემოსავლის ყველა ასპექტთან მიმართებით გამოიყენება დეტალური ანალიზური პროცედურები;*
- *მუშაობისას აქცენტი უნდა გაკეთდეს სფეროებზე, რომელიც Ac10-ით და Ac11-ით გამოვლენილი არ არის, როგორც დაბალი რისკის შემცველი. Ac15-ში შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაში ეს გათვალისწინებულია, ამიტომ სამუშაო უნდა შესრულდეს აუდიტორული გარიგების პარტნიორთან კონსულტაციის გარეშე;*
- *დავალება უნდა შეასრულოს სტიუარტ ჯეკსონმა, მიმოხილვა კი ვორენ რობერტსმა უნდა შეასრულოს.*

მოხდა თუ არა ზემოაღნიშნული პუნქტების (და რისკების იდენტიფიცირება რისკის შეფასებისას) ჯეროვანი გათვალისწინება და აუდიტორული პროგრამების საკმარისად მორგება ამ საკითხების ასახვისთვის?

დამტკიცებულია

შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები სამეურნეო სუბიექტს, მისი გარემოებების გათვალისწინებით	დიახ/არა
<p>„არა“ პასუხის ან სამეურნეო სუბიექტის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შეცვლის შემთხვევაში, განმარტეთ თუ რატომ მოამზადებს სამეურნეო სუბიექტი ფინანსურ ანგარიშგებებს ზემოაღნიშნულის საფუძველზე:</p> <p>თუ ნებისმიერ შემთხვევაში რეკომენდებულია გათავისუფლების უფლების გამოყენება, დარწმუნდით, შევსებულია თუ არა გათავისუფლების უფლების კითხვარი (დანართი 1.4).</p>	

მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგებები	მოთხოვნილია
სრული ფინანსური ანგარიშგება - ფასს (დანართი 3.15)	დიახ
სხვა [ჩაწერეთ დეტალები: წინამდებარე სახელმძღვანელოში საკონტროლო სია არ არის მოცემული]	

განმარტებითი შენიშვნების საკონტროლო სიის მოთხოვნები	
უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნებისა და შესაბამისობის წლიური მიმოხილვის საკონტროლო სიის გამოყენება განმარტებითი შენიშვნების საკონტროლო სიის ნაცვლად? „დიახ“ პასუხის შემთხვევაში შეავსეთ დანართი.	დიახ/არა =====

არსებობს თუ არა ანგარიშგების სხვა მოთხოვნები (როგორცაა მშობელი აუდიტორის ან მკონტროლებელი პირის წინაშე)	დიახ / არა
<p>„დიახ“ პასუხის შემთხვევაში განმარტეთ ისინი და მიუთითეთ მათი ზეგავლენა აუდიტორულ საქმიანობის მოქმედების სფეროზე/ვადებზე და სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებაზე:</p> <p><i>აუცილებელია, მშობელი კომპანიის აუდიტორის, Tick and Bash LLP, წინაშე ანგარიშგება (კონსოლიდირების პროცესისთვის) არაუგვიანეს 20X8 წლის 28 თებერვლისა.</i></p>	

<p>მოთხოვნილი საგადასახადო ცხრილები (აღნიშნული უნდა მომზადდეს მხოლოდ მაშინ, როცა შეთანხმებული იქნება არააუდიტორული მომსახურების გაწევა)</p> <ul style="list-style-type: none"> - ძირითადი საშუალებების შეძენა და გასვლა; - რემონტი და განახლება; - ამოუღებელი დებიტორული დავალიანება; - საერთო ხარჯები; - იურიდიული და პროფესიული საზღაური.
--

დავალებათა შესრულების განრიგი	თარიღები
დამკვეთების წინასწარი დაგეგმვის შეხვედრა	20X7 წ. 17 სექტემბერი
მარაგის დათვლა (მიუხედავად იმისა, მას დამკვეთი ახორციელებს თუ პროფესიონალი მე-3 მხარე)	20X7 წ. 30 ივნისი
აუდიტის სავსე სამუშაოები	20X7 წ. 10 ოქტომბერი
დამკვეთთან შემაჯამებელი შეხვედრა	დასადგენია
ყოველწლიური საერთო კრება / წევრებს შორის ფინანსური ანგარიშგებების გავრცელების თარიღი	20X8 წ. 28 თებერვლამდე (ჯგუფის აუდიტორისთვის ხელმოწერილი დასკვნის მიწოდების საბოლოო ვადა)

მესამე მხარის ან კოლეგის დასტური	მოითხოვება	მოთხოვნის თარიღი
ბანკის დასტურის წერილი	დიახ	27 May 20X7
მარაგის დამოუკიდებელი აღმრიცხველის	არა	
დებიტორული დავალიანების	არა	
მე-2 ტიპის ანგარიში	არა	
ქონების შეფასება	არა	
ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებები	არა	
აქტუარული შეფასებები	არა	
იურიდიული დასკვნები	არა (მოსალოდნელი არ არის, რომ მიმდინარე საკითხები არსებით გავლენას მოახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ საჭიროა მათი ხელახლა განხილვა სავსე სამუშაოს დასრულების შემდეგ)	

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გამოთვლა / აუდიტის მიდგომა

Prepared by: გ.პ.რ.	Date: 18/9/17
R.I. Approval: PAR	Date: 21/9/17
Reviewed by*: გ.პ.რ.	Date: 28/1/18

ცხრილი A

ზოგადი			A			B	C	ძირითადი									
აუდიტის სფერო	აუდიტორული მტკიცება (1)	Risk	აუდიტის მიდგომა (დ/ა)					კონტროლის ტესტირება (დ/ა) # (2) @	დამხმარე ანალიზური პროცედურები (დ/ა) #	რისკ-ფაქტორი B ცხრილიდან	გენერალური ერთობლიობის დირ. დიდი და ძირითადი მუხლების შემდეგ	მინიმუმება	ნარჩენი შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა	არსებითი / ძირითადი სატესტო მუხლების რაოდ.	ოპერაციის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა B ცხრილიდან	კონტროლის ტესტის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა B ცხრილიდან (3)	ჯვარედინი მინიმუმება, სადა გამოიყენება შერჩევითი ერთობლიობა
			I	P	%	S	T										
არამატერიალური აქტივები	ყველა	N/A	დ					N/A	N/A			Ac15/3					
ძირითადი საშუალებები	ყველა	დაბალი				დ		ა	ა	1.2	24,735	Ac15/4	2	2			
ინვესტიციები	ყველა	N/A	დ					N/A	N/A			Ac15/5					
მარაგი	ყველა (გარდა შეფასებისა)	დაბალი				დ		ა	ა	1.2	229,045	Ac15/6	16				
	შეფასება და განაწილება	საშუალო				დ		ა	ა	1.8	229,045	Ac15/6	24				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	ყველა	დაბალი				დ		ა	ა	1.2	25,127	Ac15/7	2	5			
ყველა სხვა დებიტორული დავალიანება	ყველა	N/A	დ					N/A	N/A			Ac15/8					
ბანკი და ფული	ყველა	დაბალი			დ			N/A	N/A			Ac15/9					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	ყველა	დაბალი				დ		ა	ა	1.2	34,584	Ac15/10	2	4			
ყველა სხვა კრედიტორული დავალიანება	ყველა	დაბალი				დ		ა	ა	1.2	26,580	Ac15/11	2				
ანარიცხები	ყველა (გარდა შეფასებისა)	დაბალი			დ			N/A	N/A			Ac15/12					
	შეფასება და განაწილება	მაღალი			დ			N/A	N/A			Ac15/12					
ამონაგები - კრედიტი	ყველა						Y	N	N			Ac15/13			25		
ამონაგები - მაღაზია	ყველა						Y	N	N			Ac15/13			### 15		
ხარჯები	ყველა			დ				N/A	N/A			Ac15/14					
ხელფასი	ყველა			დ				N/A	N/A			Ac15/15					

- წლის განმავლობაში ნაღდ ფულზე გაყიდვების რაოდენობა იყო 184 („მაღაზიიდან“ სხვა გაყიდვებიც იყო, მაგრამ ისინი „საკრედიტო“ გაყიდვები იყო და იგივე სააღრიცხვო ციკლი აქვთ, როგორც კრედიტით გაყიდვას)
~ შესაბამისად, „შერჩევითი ერთობლიობის მცირე მოცულობა“ გამოიყენება დაბალი რისკის სფეროში 15.

არსებობა	17,000
----------	--------

* დასრულებისას

(1) რისკი თითოეული სფეროსთვის უნდა შეფასდეს მტკიცების დონეზე. თუ ამა თუ იმ სფეროსთვის ყველა მტკიცებას ერთიდაიგივე რისკი აქვს, ჩაწერეთ „ყველა“. თუმცა, თუ რისკების დონეები განსხვავებულია, მაშინ თითოეული სფეროსთვის უნდა გამოაჩინოთ მტკიცებები დამალული სტრიქონები, საჭიროებისამებრ. ტესტირების ეტაპზე ძირითადი მტკიცებებია არსებობა, სისრულე, სისწორე, დროში გამოიჯვნა და კლასიფიკაცია ოპერაციებისათვის და არსებობა, უფლებები და მოვალეობები, სისრულე, შეფასება და განაწილება და გასაჯაროება ნაშთებისთვის.

(2) კონტროლის ტესტირების შემთხვევაში არა-კრიტიკული კონტროლის მექანიზმების საოპერაციო ეფექტურობის ტესტირება სულ მცირე ყოველ სამ წელში უნდა ჩატარდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტურობა, ხოლო კრიტიკული მნიშვნელობის კონტროლის მექანიზმების ტესტირება ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს. „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტები ყოველ წელს უნდა ჩატარდეს, რათა დარწმუნდეთ, რომ კონტროლი არ შეცვლილა.

(3) როგორც წესი, კონტროლის ტესტირება შესაფერისია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ კონტროლი ეფექტურია, მამასადამე, საჭიროა დაბალი რისკის შერჩევითი ერთბლიობის გამოყენება.

ცხრილი B

აუდიტის მიდგომა			ბალანსი			მოგებისა და ზარალის ანგარიშგება			
A	B	C	რისკის დონე			რისკის დონე			
მიდგომა	კონტროლი	AR	H	M	L	შერჩევითი ერთბლიობის	H	M	L
LP,%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A		N/A	N/A	N/A
S	No	No	2.5	1.8	1.2		1.2	0.9	0.6
S	Yes	No	1.3	0.9	0.6		0.4	0.3	0.2
S	No	Yes	1.7	1.2	0.8		0.8	0.6	0.4
S	Yes	Yes	0.9	0.6	0.4		0.4	0.3	0.2
Sample Sizes									
T / C	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	> 401	60+	40	25
T / C	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	226-400	48+	32	20
T / C	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	101-225	36+	24	15
T / C	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	26-100	24+	16	10
T / C	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	1-25	12+	8	5

აუდიტორული მტკიცებულების მოპოვების მეთოდი

- აღნიშვნები
- I სამუშაო არსებითობაზე დაბალი
- P ჯამების დადასტურება (ინტენსიური ანალიზური მიმოხილვა)
- % 100% ტესტირება
- S ძირითადი ტესტები
- T ოპერაციის ტესტირება
- # თუ B ან C სვეტში ჩაიწერება დიახ, მაშინ საჭიროა ამ პასუხის სანდოობის მიმოხილვა სავსელ სამუშაოს დასრულებისას და საჭიროა მისი ჯვარედინი შედარება დამხმარე სამუშაო დოკუმენტებთან
- @ თუ კონტროლის ტესტირება ჩატარდა და ისინი ეფექტურია, მაშინ ამ სვეტში მხოლოდ დიახის ჩაწერაა შესაძლებელი. თუ კონტროლი არაეფექტურია, მაშინ არა უნდა ჩაიწეროს ამ სვეტში. დაგეგმვის ეტაპზე შეიძლება ამ სვეტში დიახ-ის ჩაწერა, თუ განზრახულია კონტროლის ტესტირება.

C კონტროლის ტესტირება

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

გუნდის დისკუსიები და შეხვედრის გამართვა

მიზანი:

გუნდური დისკუსია, რომელიც მოიცავს თაღლითობისა და რისკების ანალიზს, ასს 240, 315 და 550 შესაბამისად და დადასტურება იმისა, რომ შეხვედრას დაესწრო შესაბამისი პერსონალი.

შეხვედრის თარიღი: 20X7 წ. 21 სექტემბერი

Details of the assignment team:

თანამდებობა:	სახელი:	ინიციალები, დასწრების დადასტურებისთვის	ინიციალები დაგეგმვის პროცესის განხორციელების დადასტურებისთვის:*
აუდიტორული გარიგების პარტნიორი	პეპე რიინა	პ.ა.რ.	პ.ა.რ.
გარიგების ხარისხის კონტროლის შიდა მიმომხილველი	-		
მენეჯერი	ვორენ რობერტსი	ვ.პ.რ.	ვ.პ.რ.
ზედამხედველი	-		
უფროსი აუდიტორი	სტიუარტ ჯეკსონი	ს.ჯ.	ს.ჯ.
უმცროსი აუდიტორი			
უმცროსი აუდიტორი			

* ამ სვეტში ინიციალების დასმამდე ყველა თანამშრომელმა უნდა განიხილოს დავალებათა გეგმა, არსებობის, რისკებისა და სისტემური შენიშვნების შეფასება..

თაღლითობის, რისკისა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების განხილვას უნდა უხელმძღვანელოს აუდიტორული გარიგების პარტნიორმა (თუმცა, ზოგადი ბრიფინგი შეიძლება ჩატარდეს სხვა გუნდის წევრის მიერ, მაგ. მენეჯერი) და თაღლითობის განხილვისას

გამოყენებულ უნდა იქნას პროფესიული სკეპტიციზმი. გუნდის წევრებმა უნდა უარყონ რწმენა, რომ დამკვეთი გულწრფელია და მოქმედებს სამართლიანად.

თუ რიგითი პერსონალის ინფორმირება ცალკე ხდება, საჭიროა აღნიშნულის ნათლად დოკუმენტირება.

თაღლითობის, რისკისა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დეტალური განხილვა	
დისკუსიის აღწერილობა (დაამატეთ პუნქტები საჭიროებისამებრ)-გაითვალისწინეთ, რომ ყველა პუნქტი უნდა იქნეს განხილული და აუცილებელია ძირითადი საკითხების ქვემოთ ხაზგასმა:	
1. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ის სეგმენტი, სადაც თაღლითობის ან უზუსტობის რისკი ყველაზე მაღალია (ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს შემოსავლების მართვის საკითხზე);	<i>ისევე როგორც სამეურნეო საქმიანობის, რომელიც მხოლოდ ნაღდი ფულით მუშაობს, შემთხვევაში, არსებობს ნაღდი ფულსა და მაღაზიაში გადახდებთან დაკავშირებული თანდაყოლილი რისკი. თუმცა, ამ შემთხვევაში დამკვეთს კონტროლის მძლავრი მექანიზმები აქვს, როგორც თვითონ ნაღდი ფულზე, ისე მარაგის სისტემაში. ყველა სხვაობა განიხილავს ხელმძღვანელობა, რომელიც დამოუკიდებელია გაყიდვების / მარაგის მართვის თანამშრომლებისგან და შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფს.</i>
2. როგორ შეიძლება მენეჯმენტის ან თანამშრომლების მიერ თაღლითობის ჩადენა (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სააღრიცხვო შეფასებებს);	<i>მართალია, არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა, მაგრამ მაიქლსა და ჯეიმს მენნებს შეუძლიათ კონტროლის უმეტესობის უგულვებელყოფა. ეს სუსტი მხარეა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია მსგავსი სიდიდის ბიზნესისათვის.</i> <i>რაც შეეხება სააღრიცხვო შეფასებებს, წარსულში მიკერძოების მცირე მტკიცებულება არსებობს - საზოგადოდ, გაკეთებული შეფასებები საიმედოა და დამკვეთი ხშირად ცდილობს ჩვენი შეხედულების გაგებას ფინანსურ ანგარიშგებაში დიდი მუხლების ასახვამდე.</i>
3. რამდენად შესაძლებელია თაღლითობა განხორციელდეს სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების მიერ ან მათთან ერთად; (მათ შორის, თუ ოპერაცია არ სრულდება საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ოპერაციის მსგავსად);	<i>ყველაზე სავარაუდო ოპერაციები იქნება მშობელ კომპანიასთან, ამიტომ საჭიროა მასთან ოპერაციების ყურადღებით განხილვა. თუმცა, წარსულში ძალიან ცოტა ოპერაცია შესრულდა დაკავშირებულ მხარეებთან.</i>
4. როგორ შეიძლება თაღლითობა ჩადენილ იქნას მომხმარებელთა ან მომწოდებელთა მხრიდან;	<i>დებიტორული დავალიანების / კრედიტორული დავალიანების საბუღალტრო წიგნის კარგი კონტროლის მექანიზმია შექმნილი.</i>

<ul style="list-style-type: none"> ➤ აუდიტის დროს რომელი რისკ-ფატორები შეიძლება გამოვლინდეს, რომლებიც შეიძლება მიუთითებს თაღლითურ საქმიანობაზე: ➤ ხელმძღვანელობაზე ზეწოლა საქმიანობის შედეგების თვალსაზრისით (მფლობელი კომპანიების მიზნები, წახალისების სქემები ან საბანკო შეთანხმებები); ➤ ხელმძღვანელობის ან თანამშრომელთა ცხოვრების ან ქცევის წესის შეცვლა; ➤ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც ისე ჩანს, თითქოს მინიმალური კომერციული ღირებულება აქვთ; ➤ მომწოდებლები/ მომხმარებლები საფოსტო ყუთის მისამართებით და ა.შ. ➤ თაღლითობის ბრალდებები სამეურნეო სუბიექტის შიგნით; ან ➤ ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის უგულვებელყოფა. 	<p><i>ხელმძღვანელობაზე ზეწოლა მცირეა - საწყობის მენეჯერები მცირე ბონუსს იღებენ, მაგრამ რამდენიმე მაჩვენებლის საფუძველზე და არა მხოლოდ ფინანსურ საფუძველზე.</i></p> <p><i>ბატონი მენი პენსიაში გასვლას აპირებს, თუმცა მშობელ კომპანიაში თავისი აქციების შენარჩუნება სურს (ან მისი უმეტესი ნაწილის), მაშასადამე, არ ცდილობს კომპანიის გაყიდვამდე მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაუმჯობესებულად წარმოჩენას. ჯეიმსი უფრო ამბიციურია გარკვეული მოგების დონეების მიღწევის თვალსაზრისით, მაგრამ მას მჭიდრო მეურვეობას უწევს მამამისი.</i></p> <p><i>წარსულში კომპანიაში თაღლითობის ბრალდების შემთხვევა არ ყოფილა, გარდა საწყობში მცირე ღირებულების საგნების მოპარვისა, რაზეც მოხდა რეაგირება და ჩვენთვის უცნობია უჩვეულო მომწოდებლებისა და სხვა შესახებ.</i></p>
--	--

თაღლითობის, რისკისა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დეტალური განხილვა	
დისკუსიის აღწერილობა (დაამატეთ პუნქტები საჭიროებისამებრ)-გაითვალისწინეთ, რომ ყველა პუნქტი უნდა იქნეს განხილული და აუცილებელია ძირითადი საკითხების ქვემოთ ხაზგასმა:	
6. რა კონტროლის მექანიზმებია დანერგილი ნაღდ ფულთან (ან აქტივებთან, რომელთა კონვერტაცია ადვილად შეიძლება ფულის სახით) დაკავშირებით და ამ სფეროში ჩართულ თანამშრომლებთან დაკავშირებით;	<i>იხ. B2 მუდმივ ნაწილში.</i>
7. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემთხვევაში შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებში, ერთობლივი საქმიანობასა და კონსოლიდაციის პროცესში გაყალბების რისკი;	<i>შეუსაბამოა.</i>
სამუშაოში;

- მესამე მხარეები, რომლებიც ინახავენ და ანაწილებენ მარაგს საწარმოს სახელით;
- მარაგის პროფესიონალ აღმრიცხველებს;
- ინვესტიციების დეპოზიტორ ორგანიზაციებს; და
- ინვესტიციის მენეჯერები.

18. როდესაც მომსახურე ორგანიზაცია აუდიტორულ პრაქტიკასაც ეწევა, დარწმუნდით, რომ არააუდიტორული მომსახურების გაწევის შედეგად ეთიკურ საკითხებზე მოხდენილი გავლენა სათანადოდ იქნა განხილული.

მომსახურე ორგანიზაციები (ასს 402) (გაგრძელება)

19. მოიპოვეთ სამეურნეო სუბიექტსა და მომსახურე ორგანიზაციას შორის გაფორმებული გარიგების წერილების ასლი, და დარწმუნდით, რომ შემდეგი საკითხები დოკუმენტირებული და შესწავლილია:-
- ხელშეკრულების პირობები;
 - დამკვეთისა და მომსახურე ორგანიზაციის შესაბამისი პასუხისმგებლობები;
 - ვის შეუძლია მომსახურე ორგანიზაციისთვის ინსტრუქციის მიცემა;
 - რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომსახურე ორგანიზაციას და პირიქით, მუშაობის ვადები; და
 - ზარალის ანაზღაურების შესაბამისი პუნქტები, მომსახურე ორგანიზაციის ჩავარდნის/მარცხის შემთხვევაში.
20. დარწმუნდით, რომ მომსახურე ორგანიზაციას შეუძლია კლიენტისთვის უწყვეტი მომსახურების მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი შემთხვევების სათანადო გეგმები არსებობს თუ არა, თუ მომსახურების გაგრძელება შეუძლებელი გახდება რაიმე მიზეზით (მაგალითად, მონაცემთა ბაზის დაკარგვა, ხანძარი ან ლიკვიდაცია).
21. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში დოკუმენტირებული იყოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც მომსახურე ორგანიზაციისთვის ინფორმაციის მიწოდებას და მისგან ინფორმაციის მიღებას აკონტროლებს (ანუ როგორ არის უზრუნველყოფილი, რომ სწორი ინფორმაციის მიწოდება ხდებოდეს ორ უწყებას შორის და ეს ინფორმაცია გადაცემული იყოს უფლებამოსილი პირის მიერ).

მრავალი მომსახურე ორგანიზაცია წარადგენს "მე-2 ტიპის" ანგარიშს (როგორც ეს განსაზღვრულია ასს 402-ში). ამ "მე-2 ტიპის" ანგარიშებს ზოგჯერ მომსახურე ორგანიზაციის შიდა აუდიტორები ამზადებენ. მათში მოცემულია შიდა კონტროლის აღწერა, დიზაინი და სამუშაო ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია. ორგანიზაციებმა შესაძლოა ალტერნატიულად წარადგინონ "I ტიპის" ანგარიში, სადაც მოცემულია მხოლოდ შიდა კონტროლის აღწერა და დიზაინი.

22. მიმოიხილეთ ეს დოკუმენტები სადაც ხელმისაწვდომია და აუდიტის მუდმივი ფაილი (PAF)
აუდიტი – 2018 წ. აპრილი

მოცულობა	მინიშნება	ინიციალები/თარიღი
	მუდმივი ფაილი	ს.ჯ.
დადასტურებულია		ს.ჯ.
დადასტურებულია		ს.ჯ.
არავითარი		ს.ჯ.

განახლებულ, მომსახურე ორგანიზაციის შიგნით
მოქმედი კონტროლის შესახებ ინფორმაციით.

მომსახურე ორგანიზაციები (ასს 402) (გაგრძელება)

მოცულობა	მინიმუმება	ინიციალური/თარიღი

23. განიხილეთ აუდიტორის მიდგომა მომსახურე ორგანიზაციის სამუშაოსთან მიმართებაში, რათა განსაზღვროთ დაყრდნობით თუ არა მის შიდა კონტროლს თუ გამოყენებული იქნება მხოლოდ ძირითადი აუდიტორული მიდგომა:

ზოგიერთი აუდიტორული მტკიცებებისთვის, მაგალითად, აქციათა ფლობა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შესაბამისი რწმუნება იქნება მოპოვებული მხოლოდ ძირითადი აუდიტორული მიდგომის გამოყენებით.

საქიროებისამებრ განაახლეთ დაგეგმვის დოკუმენტები და სადაც კონტროლზე დაყრდნობა გათვალისწინებული, შეასრულეთ 25-ე და 26-ე ტესტები.

24. დამკვეთის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომსახურე ორგანიზაციების უმრავლესობამ მესამე მხარის აუდიტორებს მისცეს პირდაპირი წვდომა სააღრიცხვო სისტემებსა და კონტროლზე. ამიტომ, მომსახურე ორგანიზაციის კონტროლზე დაყრდნობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მის შიდა ან გარე აუდიტორებზე დაყრდნობის მეშვეობით. განიხილეთ მე-2 ტიპის ანგარიში, რათა დადგინდეს, თუ რომელ კონტროლზე მოხდა მოსაზრების გამოთქმა, შემდეგ განსაზღვრეთ, რომელ აუდიტორულ მტკიცებასთან მიმართებით შეიძლება კონტროლზე დაყრდნობა:

25. დარწმუნდით, რომ აუდიტორული პროგრამის ტესტები, რომელიც ეხება სხვა აუდიტორის ან შიდა აუდიტორის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობას, შესრულებულია:

26. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ:

ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ასს 620)

მოცულობა	მნიშვნელობა	ინიციალები/თარიღი

27. დარწმუნდით, რომ ექსპერტის მიერ მოწოდებული ფინანსური ყველა ინფორმაცია იდენტიფიცირებულია და კონტრაქტის პირობები და ექსპერტისა და დამკვეთის პასუხისმგებლობები შესწავლილია.

28. შეაფასეთ ექსპერტის კომპეტენცია და დამოუკიდებლობა (მაგალითად, ექსპერტის აღიარებული პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება, ან აღიარებული სავაჭრო ან პროფესიული ორგანიზაციის წევრობა).

29. განიხილეთ გამოყენებული დამკვეთები და შესრულდა ექსპერტის სამუშაოს შესრულების საფუძველი, რათა გამოველინა ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის შესაბამისობაში:

- წინა პერიოდებთან; ან
- ნებისმიერი კონტრაგენტიდან მიღებულ ინფორმაციასთან; ან
- სხვა ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან; ან
- დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან; ან
- შეუსაბამო აუდიტორის მიერ დამკვეთის შესახებ ზოგადი ცოდნასთან ან სხვა აუდიტორულ მტკიცებულებასთან.

30. როდესაც ექსპერტის სამუშაო მოიცავს მისი სამუშაოსთვის დიდი მნიშვნელობის მქონე პირველადი მონაცემების გამოყენებას, განიხილეთ პირველადი მონაცემების შესაბამისობა, სისრულე და სისწორე.

31. დარწმუნდით, რომ რის საფუძველზეც შესრულდა ექსპერტის სამუშაო, შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის საადრიცხვო პოლიტიკას.

32. დარწმუნდით, რომ ექსპერტის მიერ დროულად შესრულდა სამუშაო.

33. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც ჩათვლით საჭიროდ, რათა აუდიტორმა დაასკვნას, რომ ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო ამ სფეროში საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს იძლევა.

სხვა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ასს 600)

ეს მოიცავს სხვა აუდიტორის გამოყენებას მხოლოდ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში.
თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ტარდება, საჭიროა დამატებითი საკითხების გათვალისწინება

შიდა აუდიტორების სამუშაოს გამოყენება (ასს 610)

- 34. თუ ჯერ კიდევ არ არის დოკუმენტირებული ფაილში, მიუთითეთ რომელ აუდიტორებს ვეყრდნობით, იქნება ეს შიდა თუ გარე და რატომ ვეყრდნობით მათ.
- 35. დარწმუნდით, რომ სხვა აუდიტორული ფირმისგან მიღებულია დასტური, რომ ისინი აუდიტის დამკვეთისგან დამოუკიდებელნი არიან.
- 36. მიმდინარე წელს მიმოვიხილეთ თუ არა მათი სამუშაო დოკუმენტები და ჩავთვალეთ ისინი სანდოდ? თუ არა, მაშინ, ბოლოს როდის განვიხილეთ ეს დოკუმენტები, და იყო თუ არა მიმდინარე წელს სათანდო აუდიტორული კითხვარები გაგზავნილი?
- 37. წინა წლებში სხვა აუდიტორის ან შიდა აუდიტის მიერ შესრულებულ სამუშაოს დაკავშირებით გამოვლინდა თუ არა რაიმე პრობლემა?
- 38. სამუშაო, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ, შესრულდა თუ არა ასს-ის ან ექვივალენტური სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად (როგორცაა მე-2 ტიპის ანგარიში)?
- 39. არის თუ არა სხვა აუდიტორი სამეურნეო სუბიექტისგან დამოუკიდებელი?
- 40. არსებობს გარე ხარისხის კონტროლის პროცედურები?
- 41. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ და რომელიც შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ ასს-ის მოთხოვნებს.

მოცულობა	მინიმუმი	ინიციალი

მტკიცებების აღნიშვნები:
E= არსებობა;
R&O= უფლებები და მოვალეობები;
C= სისრულე;

V= სისწორე, შეფასება და მიკუთვნება;
P= წარდგენა;
O= წარმოშობა;
A= სისწორე;
CO= დროში გამიჯვნა;
CL= კლასიფიკაცია.

მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ
20X7 წ. 30 იენისს დასრულეზული წელი

ს.ჯ. 20/10/X7
ვ.პ.რ.12/11/X7

კანონების / რეგულირების გათვალისწინება

მიზანი

იმ პრობლემების გამოვლენა, რომლებსაც კანონებსა და რეგულირებასთან არსებითი შეუსაბამობის შედეგად შეუძლია განაპირობოს ფინანსური ანგრიშვების არსებითი უზუსტობა.

მეთოდი

დენი ჰიგინბოთამთან / ჯეიმს მენთან განვიხილეთ როგორ ხორციელდება კანონებსა და რეგულირებასთან შესაბამისობის მონიტორინგი და რა ზომები მიიღება რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში. ამასთან, განვიხილეთ როგორ ხდება ფინანსური მოვალეობების გამოვლენა.

შედეგები

კანონი და რეგულირება:

„სტანდარტული“ კანონმდებლობა, რომელიც გავლენს ახდენს ყველა კომპანიაზე (როგორცაა მაგალითად დასაქმების / „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების“ კანონმდებლობა) უწყვეტად განიხილება. დენი ნასერ ჰუსეინის, „ჰუსეინ ლოს“ უფროსი პარტნიორის კარგი მეგობარია და ეს ფირმა კვარტალურად უგზავნის მას ინფორმაციას იმ კანონების განახლების შესახებ, რომლებიც მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდზე ვრცელდება.

კომპანია ყოველწლიურად უკავშირდება ასევე მესამე მხარეს, როკელფენსეიფთი ლიმიტიდს, სათანადო რისკის შეფასების შესრულებისთვის ~ უახლესი შეფასებით გამოვლინდა, რომ ხანადუს დირექტივა „თანამშრომლებისთვის შეუფერებელი შენობები, რომელიც 20X7 წლის 1 აპრილს შევიდა ძალაში, რეტროსპექტულად არ ვრცელდება. ამ დირექტივით მოითხოვება, რომ კომერციულ ნაგებობაში გაკეთებულმა თაროებმა გაუძლოს 120 კგ წონიან დატვირთვას, იმ შემთხვევისთვის თუ რომელიმე პირი გადაწყვეტს სტრუქტურის გამოყენებას (ჯდომა, აძვრომა, წოლა). გაირკვა, რომ კომპანიის თაროები მხოლოდ 80 კგ წონის დატვირთვას უძლებს ~ თუმცა ეს შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან, რადგან აღნიშნული დირექტივა რეტროსპექტულად არ ვრცელდება, მაგრამ თუ კომპანია მომავალში გადაწყვეტს თაროების გამაცვლას, მას მოუწევს უფრო მაღალი რეიტინგის თაროების დამონტაჟება. გამოვლინდა ასევე, რომ ნებისმიერ ერთ თაროზე მხოლოდ ოთხი 10 კგ-იანი ყუთი დაიდება და თაროების რეიტინგი საკმარისზე მეტია მათი ამჟამინდელი გამოყენებისათვის.

საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებული კითხვებით დევიდ მერინგტონს ან პეპე რიინას მიმართავენ ~ ამ

პერიოდში არ წამოჭრილა პრობლემა, რომლის გადაჭრა ვერ შეძლო კომპანიამ.

ამასთან, აუდიტის მსვლელობისას არ წამოჭრილა რაიმე საკითხი, რომელიც რომელიმე ზემოაღნიშნულ სფეროში შეუსაბამობაზე მიუთითებს.

კანონი და რეგულირება ~ სპეციფიკური საკითხები:

დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილი ერთი საკითხი გახლდათ ერთ-ერთ მომწოდებელთან დავა. კომპანია რამდენიმე ადგილობრივ აუდიტურ ფირმასთან ერთად მუშაობს ადგილობრივი ბუღალტრების / აუდიტორებისათვის „სახელმძღვანელო მითითებების“ შესაქმნელად. ტექსტი გადაეცემა მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდს, რომელიც ბეჭდავს მასალას და მის დისტრიბუციას უზრუნველყოფს. გამოშვებულ იქნა შემდეგი „სახელმძღვანელო მითითებები“:

- წლიური საგადასახადო ცხრილები (ხანადუ) ~ წარმოებულ იქნა P.U.U.C.-თან ერთად; და
- აუდიტორული დასკვნების კრებული (ხანადუ) ~ წარმოებულ იქნა Katie Price Management Group-თან ერთად.

შეთანხმების მიხედვით მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდს თანახმაა ფ.ე. 1,000 საზღაურზე თითოეულ სახელმძღვანელოზე, ტექსტისა და საავტორო უფლებისათვის და ფირმა, რომელიც ტექსტს ამზადებს, აღირადება, როგორც საავტორო უფლების მფლობელი.

20X6 წლის წლიური საგადასახადო ცხრილებთან (ხანადუ) მიმართებით, რომელიც 20X6 წლის აგვისტოში დიბეჭდა, ბიუჯეტის ანგარიშგებიდან ორ თვეში, საავტორო უფლების აღიარება ამოღებულ იქნა საბოლოო ვერსიიდან და ეს სახელმძღვანელო მითითებები დაიბეჭდა და მათი დისტრიბუცია განხორციელდა აღნიშნული ფაქტის გამოვლენის გარეშე. ეს საკითხი გამოვლინდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კოლინ კლარკი, P.U.U.C.-პარტნიორი, გამოიყენა ეს წიგნი. მან გადაამოწმა თავის პარტნიორებთან, პიტერ შილტონთან, უვე როსლერთან და ულრიხ ვან გობელთან და გადაწყდა, რომ საკითხი დაესვათ დენი ჰიგინბოთამის წინაშე, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ ფირმამ „ნაკლები ღირებულება“ მიიღო ამ შეცდომის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ P.U.U.C. კომპანიის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია, არ ყოფილა სიტუაციის გამწვავების მცდელობა, მაგრამ ჯეიმს / მაიქლ მენის პოზიცია გახლდათ, რომ რადგან ასოები P, U, U და C გარეკანის დაახლოებით 50%-ს მოიცავს, ეჭვგარეშეა, რომ ამ სახელმძღვანელო მითითებების მყიდველები მიხვდებიან, თუ ვინ არის ავტორი. პოზიცია კვლავ „არასამართლებრივია“, მაგრამ ბატონი კლარკი ცდილობს ფულადი კომპენსაციის მიღებას „მიჩნეული“ ზარალის გამო. ისინი ცდილობენ დამატებით ფ.ე. 1,000-ის მიღებას, მაგრამ ამ მომენტისთვის შეთანხმება არ არის მიღწეული.

აუდიტის გუნდის შეფასება:

ჯეიმს / მაიქლ მენის პოზიცია გონივრულია და როგორც ჩანს ბატონ კლარკს იმის აღნიშვნა უნდა, რომ საავტორო უფლების აღიარების ასახვა, მაგრამ ფირმის დასახელების გარეკანზე არასახვა ტექნიკურად უფრო მისაღები იქნებოდა ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ უფრო უარესი გავლენა ექნებოდა P.U.U.C.-ზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, თანხა, რომელსაც მოითხოვენ სამუშაო არსებობის 10%-ზე ნაკლებია, ამგვარად, მას უმნიშვნელო გავლენა ექნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე, შემდეგში ეს თანხა რომც გადაეხადათ.

დსკვნა

გარდა საავტორო უფლებასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემისა, არ არსებობს სხვა საკითხები, რომელთა მიმართ საჭირო იქნებოდა განმრტებით შენიშვნებში გასაჯაროება ან ანარიცხის შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში.

Manager Update – 20X8 წ. 28 იანვარი

მომწოდებელთან დავა 20X7 წლის 25 დეკემბერს დასრულდა მშვიდობიანად. სიტუაცია გახლდათ ის, რომ შინაარსი ტექნიკურად სწორი იყო, კონკრეტულად არ იყო აღიარებული ვის ეკუთვნოდა საავტორო უფლება, თუმცა გამოცემის სათაურში ნათლად იყო მითითებული გამოცემის წყარო. არსებულ ვითარებაში შეთანხმდა, რომ ტექსტის წარმოშობასთან დაკავშირებით გაურკვევლობა არ იქნებოდა და ხანგრძლივი ურთიერთობის გამო საკითხი გადაიჭრებოდა ფინანსური ანგარიშსწორების მოთხოვნის გარეშე.

თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, შეთანხმდ, რომ სამომავლო გამოცემებთან მიმართებით გთვალისწინებული იქნება „ჯარიმა“ მსგავსი პრობლემის კვლავ წამოჭრის შემთხვევაში.

საჭირო არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებით გასაჯაროება ან ანარიცხის შექმნა.

წლიური ფაილის ინდექსი

0

მინიმუმ ამონაგები ება:	ინიციალები
1 მთავარი ცხრილი	ს.ჯ.
2 აუდიტის პროგრამა	ს.ჯ.
3 გაყიდვები	
4 მისაღები საკომისიო	
5 ინფორმაცია ამონაგების შესახებ, გეოგრაფიულ და სამეურნეო საქმიანობის ჭრილში	
6 „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტექსტი	ს.ჯ.
7	
8	
9	
10	
11	
12	
13	
14	
15	
16	
17	
18	

შენიშვნები:

დასკვნა: ამონაგები სამართლიანადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემსრულებელი:	<i>სტიუარტ ჯეკსონი</i>	თარიღი:	20X7 წ. 18 ოქტომბერი
მიმომხილველი:	<i>ვორენ რობერტსი</i>	თარიღი:	20X7 წ. 12 ნოემბერი
აუდიტის გარიგების პარტნიორის მიმომხილვა:	<i>პეპე რიინა</i>	თარიღი:	20X8 წ. 3 თებერვალი

დამკვეთი	მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებე ლი: ს.ჯ.	თარიღი 18/10/X7
		მიმომხილვე ელი: ვ.პ.რ.	თარიღი 12/11/X7
საკითხი	ამონაგები	პერიოდი:	30/6/X7-მდე

პ.ა.რ. 3/2/X8

	20X7	20X6
	ფ.ე.	ფ.ე.
მაღაზიის გაყიდვები (ნალდი ფუი/ საკრედიტო ბარათი)	95,893	107,565
საკრედიტო გაყიდვები / საბითუმო	2,564,587	2,948,160
ამონაგები	2,660,480	3,055,725
	TB c FS	B

წლის განმავლობაში ამონაგები 12.9%-ით შემცირდა. ბატონმა მენმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

- i) კონკურენცია გაიზარდა: ფირმები სულ უფრო მეტად ეძებენ ელექტრონულ ალტერნატივებს და ამცირებენ შეძენილი ნაბეჭდი წიგნების რაოდენობას ~ მართალია, ჯეიმს მენმა განსაზღვრა, როგორ შეიძლება ელექტრონული ალტერნატივების მიწოდება, მაგრამ ის ჯერ გაყიდვაში არ არის;
- ii) ბატონი მენი პროდუქციის ფართო სპექტრს აწარმოებს აღნიშნულის საწინააღმდეგოდ და ცდილობს შესყიდვის განხორციელებისას ფასდაკლებების მიღებას, რაც განაპირობებს მარაგის ზრდას. აღნიშნულის ახსნა მოცემულია E ნაწილში, რომელიც ეხება წლის ბოლო 3 თვეში შესყიდვების კუთხით გაწეულ სამუშაოს [აქ არ არის მოცემული];
- iii) ამასთან, წინა ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა გაყიდვების ერთჯერადი ზრდა, ფ.ე. 250,000-ით, ბუღალტრებისთვის ახალი წესების შემოღების შედეგად, რამაცა განაპირობა პროფესიის მიერ შეძენილი წიგნების რაოდენობის ზრდა.

	20X7	20X6
მთლიანი მოგების მარჟა	25.1%	29.5%

მოსალოდნელია მთლიანი მოგების შემცირება, რაც განპირობებულია შემცირებული მოთხოვნის გამო შემცირებული გასაყიდი ფასებით.

TB = შედარებულია საცდელ ბალანსთან

B = შედარებულია გასული წლის აუდიტის ფაილთან

FS = შედარებულია ფინანსურ ანგარიშგებასთან

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

პროგრამა მოამზადა: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას: პ.ა.რ.	თარიღი: 3/2/18

ამონაგები

აუდიტორული ტესტები

ზოგადი

- ა) მოიპოვეთ ამონაგების ცხრილი (P)
 - ბ) დარწმუნდით, რომ ამონაგები გაანალიზებულია ბიზნესის კლასისა და გეოგრაფიული ბაზარების მიხედვით. დარწმუნდით, რომ ამონაგების ანალიზში ცალკეა ასხული შემდეგი საკითხები:-
 - საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები;
 - მომსახურების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი; და
 - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლები. (P)
- მთავარ ცხრილში მოცემული მთლიანი ჯამი შეადარეთ საცდელ ბალანსს. (A)
- შესადარისი ციფრები შეადარეთ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას. (P)
- დარწმუნდით, რომ შემოსავლების საადრიცხვო პოლიტიკა ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. (C, A, P)
- მიმოხილეთ შემოსავლების გონივრულობა და თანმიმდევრულობა, მათ შორის, ნებისმიერი სავალდებულო ინფორმაციის გასაჯაროება. (C, P)
- გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებითობის გაანგარიშებასა და დავალებათა გეგმას და საჭიროების შემთხვევაში, განახლეთ, თუ გარიგების პროცესში დამატებითი საკითხები გამოვლინდა.
- დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში გამოვლენილი ძირითადი ფაქტები შეტანილია ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობისთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.

მოცულობა	მინიშნება	ინიციალური/თარიღი
მომზადებულია	O1	ს.ჯ.
	O1	ს.ჯ.
	O1	ს.ჯ.
შეთანხმებულია - იხ. აუდიტის მუდმივი ფაილი		ს.ჯ.
	O1	ს.ჯ.
	Ac11, Ac13, Ac14	ს.ჯ.
	Aa4, Aa5b, Aa7	ს.ჯ.
	წლიური ფაილის გამყოფი	ს.ჯ.
		ს.ჯ.
პრობლემ არ გამოვლენილა		ს.ჯ.

8. დარწმუნდით, რომ დასკვნა შესაბამისია. **(P)**

9. გამოითვალეთ მთლიანი მოგების პროცენტული მაჩვენებელი, მაქსიმალურად დეტალიზებული, და შეადარეთ წინა პერიოდს. გააანალიზეთ და გადაამოწმეთ ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილება. **(C, A)**

10. განიხილეთ F ნაწილში შესრულებული დეტალური ტესტების შედეგები. **(CL, A)**

აუდიტორული ტესტები (გაგრძელება)

„თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი

11. ჩაატარეთ ერთი „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი თითოეული მოქმედი სისტემისთვის (რომელმაც უნდა მოიცვას ოპერაციები და დაკავშირებული კონტროლი). მიღებული შედეგები გამოიყენეთ დებიტორული დავალიანების ტესტის შედეგებთან ერთად, რათა გადაწყვიტოთ, ჩაანაცვლოთ თუ არა ზოგიერთი ან ყველა ძირითადი ტესტი დეტალური ანალიზური პროცედურებით. (A)

დეტალური ანალიზური პროცედურები

12. ჩაატარეთ დეტალური ანალიზური პროცედურები დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. მაგ: ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა, კოეფიციენტების ანალიზი (შეადარეთ პერიოდები და მსგავსი სამეურნეო სუბიექტები). (C, CL, A)

ძირითადი ტესტები

13. „საწყისი წერტილიდან დაწყებული“ (მაგ: კონტრაქტიდან, შეკვეთიდან, დროის აღრიცხვის უწყისიდან ან ტვირთის გაგზავნის შესახებ დოკუმენტიდან დაწყებული) მიჰყევით მუხლების შერჩევით ერთობლიობას და შეამოწმეთ ჯერ შესაბამისი გაყიდვების ანგარიშ-ფუტურები, შემდეგ ყოველდღიური გაყიდვების წიგნი, შემდეგ კი გაყიდვების მთავარი წიგნი და მთავარი საბუღალტრო წიგნი. (O, C, A)

14. ნალდი ანგარიშსწორებით გაყიდვებისას, მიჰყევით სალაროში შემოსული თანხების (ქვითრები ან შიდა ელექტრონული ჩანაწერები) შერჩევით ერთობლიობას და შეამოწმეთ, დწყებული სალაროს წიგნიდან და ბანკით დამთავრებული. (O, C, A)

15. გაყიდვების ნომინალური წიგნის ანგარიშზე ჩანაწერების შერჩევითი ერთობლიობა შეადარეთ დოკუმენტებს, რომლებიც ასაბუთებენ მათ წარმოქმნას. (O, C, A)

16. როდესაც მომავალ მოვლენებიდან მოსალოდნელი შემოსავალი პირობითია (მაგალითად, როდესაც გადახდა ხდება მხოლოდ დადებითი შედეგის შემთხვევაში), პორტფელის საფუძველზე განიხილეთ დადებული ხელშეკრულებების შერჩევითი ერთობლიობა, რათა დაადგინოთ, შემოსავლის

მოცულობა	მინიშნება	ინიციალური/თარიღი
	O6/1 & O6/2	ს.ჯ.
	ჩატარდა ძირითადი ტესტები	ს.ჯ.
	T3 [აქ არ არის მოცემული]	ს.ჯ.
	T3 [აქ არ არის მოცემული]	ს.ჯ.
	T3 [აქ არ არის მოცემული]	ს.ჯ.
	არსებითი არ არის	ს.ჯ.

აღიარება მართებულია თუ არა. ~~(O, C, A)~~

17. გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობისთვის შეამოწმეთ:

~~☐ გაყიდვების ფასები;~~

~~☐ ფასდათმობების აღრიცხვა;~~

~~☐ გაყიდული საქონლის რაოდენობა/გამოთვლა და საერთო ღირებულება. ~~(O, C, A)~~~~

18. დაადასტურეთ, რომ გაყიდვების ნომინალური წიგნის ანგარიშზე აღრიცხული თანხიდან გამორიცხულია გაყიდვების გადასახადები. ~~(A)~~

19. შეამოწმეთ ყოველდღიური გაყიდვების წიგნის გამოთვლები. ~~(A)~~

20. როდესაც დაბრუნებული გაყიდული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურები (საკრედიტო-ნოტა) არსებითია, დაადასტურეთ, რომ ისინი სწორად არის ავტორიზებული და წარმოადგენენ მოქმედ კრედიტებს. (C, A, CO)

აუდიტორული ტესტები (გაგრძელება)

21. გადაამოწმეთ, რამდენად ზუსტია მთავარ ცხრილში აღნიშნული შემოსავლების ახალიზი, შეადარეთ ის ნომინალური წიგნის ანალიზს და ტესტი ჩაატარეთ ნომინალური წიგნის ანგარიშებში აღრიცხული ჩანაწერების შერჩევით ერთობლიობაზე, რაც გულისხმობს მათ შედარებას საბაზისო ანგარიშ-ფაქტურებთან, რათა დავადასტუროთ, რომ განაწილება შესაბამისია. (P).

მოცულობა	მინიმუმი	ინიციალები/თარიღი
	O1 / T3 [აქ არ არის მოცემული]	ს.ჯ.
არავითარი		ს.ჯ.

22. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მტკიცებების აღნიშვნები:

- E= არსებობა;
- R&O= უფლებები და მოვალეობები;
- C= სისრულე;
- V= სისწორე, შეფასება და მიკუთვნება;
- P= წარდგენა;
- O= წარმოშობა;
- A= სისწორე;
- CO= დროში გამიჯვნა;
- CL= კლასიფიკაცია.

დამკვეთი	მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებელი: ს.ჯ.	თარიღი: 18/10/17
		მიმომხილველი: გ.პ.რ.	თარიღი: 12/11/17
საკითხი	საკრედიტო გაყიდვების „თავიდან ბოლომდე გავლის ტესტი“	პერიოდი: 1/7/X6-დან	30/6/X7-მდე

მიზანი: საკრედიტო გაყიდვების სისტემის ისე მუშაობა, როგორც აღწერილია.

მეთოდი: სისტემის ჩანაწერები, რაც დოკუმენტირებულია აუდიტის მუდმივ ფაილში (B2), იქნა გამოყენებული ერთი გაყიდვის მისაკვლევად, დაწყებული შეკვეთის მიღებიდან და დამთავრებული გადხდის მიღებით, რათა დაგვრწმუნებულიყავით, რომ სისტემა არ შეცვლილა ამას შემდეგ, როდესაც მისი დოკუმენტირება განხორციელდა.

შერჩევითი ერთობლიობა:

შემთხვევითი რიცხვების ცხრილი (Ac16) იქნა გამოყენებული 1-დან 457-მდე დიაპაზონიდან (წლის განმავლობაში საკრედიტო მომხმარებლების მიერ განთავსებული შეკვეთების რაოდენობა) ერთი რიცხვის შესარჩევად. შერჩეულ იქნა რიცხვი 76 - რომელიც გახლავთ შეკვეთა ნომერი 16096.

შედეგები: **გაყიდვის შეკვეთა:**

თარიღი: 25/2/X7- როკის უნივერსიტეტი (20 წიგნი, 1-ლი წლის იურიდიული წიგნები)

შეკვეთის #: 16096

შეკვეთის შესახებ ინფორმაცია სრულად აისხა	დიახ
პირი, რომელმაც მიიღო შეკვეთა	დიახ – კ. დეივისი
მტკიცებულება, რომ შემოწმდა შეკვეთის შედეგად კლიენტმა საკრედიტო ზღვარს არ გადააჭარბოს	დიახ – კ. დეივისი

შეკვეთების წიგნი:

ინფორმაცია შეკვეთის მოთხოვნიდან გადატანილია შეკვეთების წიგნში	დიახ
შეკვეთის შეტანის თარიღი (25/2/X7)	დიახ
შემოწმდა მარაგის სია, რისი მტკიცებულებაც შეიქმნა	დიახ

მარაგის მოთხოვნა

მარაგის სისტემა განახლდა საქონლის გაყიდვის გმო	დიახ
--	------

გაგზავნილი სასაქონლო ზედნადები: (#23045)

ზედნადებში ასახული ინფორმაცია შეესაბამება შეკვეთას	დიახ
მიწოდების შეკვეთსა ხელს აწერს MoM(X), შეკვეთასთან შესაბამისობის დასადასტურებლად	დიახ
ხელმოწერილი გაგზავნილი სასაქონლო ზედნადები შენახულია	დიახ

ანგარიშ-ფაქტურა (No 08C67)

გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურა გმოწერილია და მასში ასახული ინფორმაცია შეესაბამება გაგზავნილი სასაქონლო ზედნადებს	დიახ
--	------

გაყიდვების ჟურნალი:

ანგარიშ-ფაქტურა მიკვლეულია გაყიდვების ჟურნალის მეშვეობით	დიახ
ვალის მოკითხვა 60 დღის შემდეგ	არ შეესაბამება
კრედიტი გაიცემა, როდესაც ფულადი სახსრები მიიღება	

ნომინალური საბუღალტრო წიგნი:

თანხის მიღება შედარებული სალაროს წიგნთან დიახ

დასკვნა:

შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, როგორც ჩანს, სისტემა მუშაობს ისე, როგორც დოკუმენტირებულია აუდიტის მუდმივ ფაილში.

დამკვეთი	მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ	შემსრულებელი: ს.ჯ.	თარიღი: 18/10/X7
		მიმომხილველი: გ.პ.რ.	თარიღი: 12/11/X7
საკითხი	მაღაზიის გყაიდვების „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი	პერიოდი: 1/7/X6-დან	30/6/X7-მდე

მიზანი: იმაში დარწმუნება, რომ სისტემა მუშაობს ისე, როგორც აღწერილია

მეთოდი: სისტემის ჩანაწერები, რაც დოკუმენტირებულია აუდიტის მუდმივ ფაილში, იქნა გამოყენებული გაყიდვის მისაკვლევად, დაწყებული შეკვეთის მიღებიდან და დამთავრებული გადხდის მიღებით, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ სისტემა არ შეცვლილა ამას შემდეგ, როდესაც მისი დოკუმენტირება განხორციელდა.

შედეგები:

სალაროს აპარატის ჩვენება: (28/5/X7)

სალარო აპარატიდან მიღებული ინფორმაციის მიკვლევა თანხის ბანკში შეტანის ცხრილამდე

თანხის ბანკში შეტანის ცხრილი მოიცავს სალაროს აპარატის ყველა ჩვენებას და ის სწორადაა შეჯერებული

თანხის ბანკში შეტანის ცხრილზე დასამულია ინიციალები, რაც დასტურებს, რომ ის შემოწმებულია

თანხის ბანკში შეტანის ცხრილიდან ბანკში შეტანის ბლანკამდე მიკვლევა

ბანკში თანხის შეტანის ბლანკებიდან აღებული თანხების ჯამი ედრება ბანკის ამონაწერს

ნომინალური საბუღალტრო წიგნი:

ბანკში შეტანილი მთლიანი თანხა შედარებულია

დასაკვნა: სისტემა მუშაობს ისე, როგორც აღწერილია.

შენიშვნა. ნაღდ ფულზე გაყიდვების ხასიათის გმო ჩატარდა ოპერაციების ტესტები (იხ. T ნაწილი).

წლიური ფაილის ინდექსი

R

მინიმუმ	სხვა დანახარჯები და ზრდა	ინიციალები
1	მთავარი ცხრილი	ს.ჯ.
2	აუდიტის პროგრამა	ს.ჯ.
3	დისტრიბუციის ხარჯები	
4	ადამინისტრაციული ხარჯები	აქ არის მოცემული
5	ინვესტიციებიდან ჩამოწერილი თანხა	ს.ჯ.
6	გადასახდელი პროცენტი და მსგავსი ხარჯები	
7	ხელფასები და შრომის ანაზღაურება	აქ არის მოცემული
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
17		
18		

შენიშვნები:

დსკვნა: სხვა დანახარჯები და ზარალი სამართლიანადაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემსრულებელი:	სტიუარტ ჯეკსონი	თარიღი:	20X7 წ. 18 ოქტომბერი
მიმომხილველი:	ვორენ რობერტსი	თარიღი:	20X7 წ. 12 ნოემბერი
აუდიტის გარიგების პარტნიორის მიმომხილვა:	პეპე რიინა	თარიღი:	20X8 წ. 3 თებერვალი

ხარჯები	მინიშნება [აქ არ არის მოცემული]	20X7 ფ.ე.	20X6 ფ.ე.	ფ.ე. %		ახსნა
				ზრდა / (შემცირება)	ზრდა / (შემცირება)	
ხელფასი და შრ. ანაზღაურება	R7 tb	357,757	400,200	-42,443	-11%	პერიოდის განმავლობაში პერსონალის რაოდენობა 1-ით შემცირდა (პერსონალის რაოდენობა საშუალოდ 2-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით). ხელფასების შეჯამება იხ. R7-ში [აქ არ არის მოცემული]
იჯარა	L1	60,000	60,000	0	0%	იჯარა, ლიზინგის მიხედვით
ქონების გადასახადი და წყალი	R4/1 tb	22,225	21,250	975	5%	ხარჯები გაიზარდა
სინათლე და გათბობა	R4/2 tb	19,928	22,172	-2,245	-10%	მომწოდებელი შეიცვალა
დასუფთვება	R4/3 tb	6,293	6,008	285	5%	არ არის მნიშვნელოვანი
Advertising რეკლამ	R4/4 tb	11,718	7,500	4,218	56%	Large campaign designed to enhance დიდი კამპანია შემუშავდა დიდ ბრიტანეთში გაყიდვების გასაზრდელად მათთვის, ვისაც „ოფშორული“ ალტერნატივები ჰქონდა
შეკეთება და მოვლა-შენახვა	R4/5 tb	8,045	9,900	-1,855	-19%	იხ. R4/5 [აქ არ არის მოცემული]
ფოსტის, საკანცელარიო და რეკლამის ხარჯები	R4/6 tb	9,559	11,022	-1,463	-13%	იხ. საბუღალტრო წიგნები - შემცირდა დისტრიბუციის ახალი ხელშეკრულების გმო
ტელეფონი	R4/7 tb	7,605	11,570	-3,965	-34%	იხ. საბუღალტრო წიგნები - შემცირდა ხელშეკრულების თაობაზე ხელახალი მოლაპარაკებების გმო
მგზავრობის ხარჯები	R4/8 tb	4,705	8,395	-3,691	-44%	მგზავრობა შემცირდა, რადგან ბატონი მენი ბიზნესის საცალო ნაწილზე აკეთებდა აქცენტს
უსაფრთხოება	R4/9 tb	9,765	11,250	-1,485	-13%	დაცვის თანამშრომელი 20X7 წლის აპრილში წავიდა
ამოუღებელი დებიტორული დავალიანება	R4/10 tb	3,000	5,040	-2,040	-40%	იხ. ჟურნალი
პროფესიული საზღაური	R4/11 tb	4,561	6,875	-2,315	-34%	იხ. ჟურნალი
ბუღალტერია	R4/12 tb	3,000	3,000	0	0%	ჩვენი საზღაური - ედრება კოტირებულ ფასს
სხვადასხვა ხარჯები	R4/13 tb	2,461	1,883	578	31%	შეწირულობების ზრდა - შენიშვნა: ეს უნდა გასაჯაროვდეს

ცვეთა	R4/14	tb	10,090	29,613	-19,523	-66% ახალი აქტივი - C1
მოგება / ზარალი გაასვლიდან	R4/15	tb	2,110	-	2,110	ობ. C9
			542,820	615,677		
			<i>FS c</i>	<i>B c</i>		

დამკვეთი: მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ

პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

პროგრამა მოამზადა: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
გარეგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას: პ.ა.რ.	თარიღი: 3/2/18

სხვა დანახარჯები და ზარალი

აუდიტორული ტესტები

ზოგადი

- მოიპოვეთ სხვა დანახარჯებისა და ზარალის ცხრილები, რომელიც მოიცავს შემდეგ მთავარ ცხრილებს:
 - დისტრიბუციის ხარჯები;
 - ადმინისტრაციული ხარჯები;
 - გადასახდელი პროცენტი და მსგავსი ხარჯები. (P)
- დარწმუნდით, რომ მომზადებულია ცხრილი, რომელშიც ცალ-ცალკე არის ნაჩვენები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დანახარჯები და ზარალი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და განაწილებულია შემდეგზე:
 - მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები;
 - მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები;
 - ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე შეფასებული ფინანსური აქტივები; და
 - ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე შეფასებული ფინანსური ვალდებულებები. (P)
- მთავარ ცხრილში მოცემული მთლიანი ჯამი შეადარეთ საცდელ ბალანსს. (A)
- შესადარისი ციფრები შეადარეთ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას. (P, C)
- დარწმუნდით, რომ ყველა მუხლი სწორად არის აღირებული მოგებაში ან ზარალში, და არა სხვა სრულ შემოსავალში. (P)
- განიხილეთ დანახარჯების გადანაწილების შესაბამისობა ზემოთ მოცემულ დანახარჯის კლასიფიკაციებსა და ასევე პირდაპირ დანახარჯებს შორის. (P)

მოცულობა	მინიმუმბა	ინიციალური/თარიღი
მომზადებულია	R1/1 R1/2 R1/3	SJ
მსგავსი მუხლები არ არსებობს - შეიძლება მხოლოდ სავალუტო ხელშეკრულებები ყოფილიყო, მაგრამ წლის ბოლოს არ არსებობდა დადასტურებულია, რომ დაკავშირებული მხარის სესხი მიმდინარეა, ამიტომ ამორტიზებული დანახარჯის გაგლეა არ არსებობს		SJ
	R1	SJ
	R1	SJ
დადასტურებულია		SJ
სათანადო და მიჩნეული		SJ
	R1	SJ
	Ac11, Ac13, Ac14	SJ

7. განიხილეთ სხვა დანახარჯები გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე.
(C)
8. გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებობის გაანგარიშებასა და დავალებათა გეგმას და საჭიროების შემთხვევაში, განაახლეთ, თუ გარიგების პროცესში დამატებითი საკითხები გამოვლინდა.

აუდიტორული ტესტები (გაგრძელება)

9. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში გამოვლენილი ძირითადი ფაქტები შეტანილია ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობისთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.

10. დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. (P)

11. გაითვალისწინეთ I ნაწილში დასრულებული დეტალური ტესტების შედეგები. (CL, A, P)

„თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი

12. ჩაატარეთ ერთი „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი თითოეული მოქმედი სისტემისთვის (რომელმაც უნდა მოიცვას ოპერაციები და დაკავშირებული კონტროლი). მიღებული შედეგები გამოიყენეთ კრედიტორული დავალიანების ტესტის შედეგებთან ერთად, რათა გადაწყვიტოთ, ჩაანაცვლოთ თუ არა ზოგიერთი ან ყველა ძირითადი ტესტი დეტალური ანალიზური პროცედურებით. (A)

დეტალური ანალიზური პროცედურები

13. ჩაატარეთ დეტალური ანალიზური პროცედურები დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. მაგ: ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა, კოეფიციენტების ანალიზი (შეადარეთ პერიოდები და მსგავსი სამეურნეო სუბიექტები). (C, CL, A)

ძირითადი ტესტები

14. ნომინალური წიგნიდან ხარჯების შერჩევითი ერთობლიობას (დაფარვის, ადმინისტრაციული, სადისტრიბუციო და ფინანსური ხარჯები) მიაკვლიეთ:

- შესყიდვების მთავარი წიგნსა და შესყიდვების ყოველდღიური წიგნამდე; ან
- სალაროს წიგნამდე; ან
- სააღრიცხვო ჟურნალამდე; და
- შემდეგ პირველად დოკუმენტაციამდე. (O, A)

15. შესყიდვების შერჩევითი ერთობლიობისთვის, მიჰყევით და შეამოწმეთ პირველადი დოკუმენტებიდან დაწყებული (შეკვეთები, ხელშეკრულებები და ა.შ.) და დაადარეთ, სადაც საჭიროა:

- მიღებული სასაქონლო ზედნაღებს;

მოცულობა	მინიმუმება	ინიციალური/თარიღი
	Aa4, Aa5b, Aa7	SJ
	წლიური ფაილის გამყოფი	SJ
		SJ
	P5 [აქ არ არის მოცემული]	SJ
	R1	SJ

- ~~შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურას;~~
- ~~შესყიდვების ყოველდღიურ წიგნს;~~
- ~~შესყიდვების მთავარ წიგნს; და~~
- ~~ნომინალურ წიგნს. (O, C, A)~~

ამ ტესტის კომბინირება შესაძლებელია „P“ პროგრამის ტესტთან, როდესაც ყველა შესყიდვა ერთნაირად მუშავდება.

16. როდესაც საქონლის ან მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა ბრუნდება უკან, დარწმუნდით, რომ გაყიდული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურები (ნოტა) მიღებული და აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში. ~~(C, A, CO)~~

აუდიტორული ტესტები (გაგმელება)

17. მიმოიხილეთ ფინანსური ვალდებულებები, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა მათგანი, რომელიც დასაფარია 12 თვეზე ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და არ გააჩნია კომერციული საპროცენტო განაკვეთი, აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე და დისკონტის ჩათვლის თანხა სათანადოდ აღირიცხა საპროცენტო ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (მოგება-ზარალში).
18. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	მინიმუმი	ინიციალური/თარიღი
არავითარი		SJ

მტკიცებების აღნიშვნები:

- E= არსებობა;
- R&O= უფლებები და მოვალეობები;
- C= სისრულე;
- V= სისწორე, შეფასება და მიკუთვნება;
- P= წარდგენა;
- O= წარმომობა;
- A= სისწორე;
- CO= დროში გამიჯვნა;
- CL= კლასიფიკაცია.

წლიური ფაილის ინდექსი

U

მინიმუმ საცდელი ბალანსი და შესწორებები
ება:

ინიციალ
ები

1	საბოლოო საცდელი ბალანსი	ს.ჯ.
2	აუდიტის პროგრამა	
3	საქურნალო შესწორებების გადატანა დამკვეთის საცდელ ბალანსში	ს.ჯ.
4	დამკვეთის საცდელი ბალანსი	
5	დეტალური ნომინალური წიგნი	
6	საწყისი საცდელი ბალანსი	
7	ნომინალური წიგნის კოდების სია	
8	აუდიტის სამუშაო	ს.ჯ.
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
17		
18		

შენიშვნები:

დასკვნა: სხვა დანახარჯები და ზარალი სამართლიანადაა წაარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემსრულებელი:	სტიუარტ ჯეკსონი	თარიღი:	20X7 წ. 24 ოქტომბერი
მიმომხილველი:	ვორენ რობერტსი	თარიღი:	20X7 წ. 12 ნოემბერი
აუდიტის გარიგების პარტნიორის მიმომხილვა:	პეპე რიინა	თარიღი:	20X8 წ. 3 თებერვალი

მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ
20X7 წ. 30 ივნისს დასრულებული 12 თვე
საცდელი ბალანსი

U1

ს.ჯ. 24/10/X7

პ.ა.რ. 3/2/X8

ნომ. წიგნის კოდი	აღწერა	20X7		20X6
		დებიტი	კრედიტი	
2	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	60,000		60,000
3	საიჯარო ქონება - ცვეთა		18,000	- 15,000
4	ინვენტარი და მოწყობილობები - ღირებულება	42,000		42,000
5	ინვენტარი და მოწყობილობები - შეძენა	5,300		
6	ინვენტარი და მოწყობილობები - ცვეთა		32,190	- 30,400
7	ავტომობილები-ღირებულება	31,000		31,000
8	ავტომობილები-შეძენა	38,500		
9	ავტომობილები-გასვლა (თვითღირებულება)		15,000	
10	ავტომობილები-ცვეთა		8,300	- 8,370
20	მარაგი-მზა პროდუქცია	229,045		187,700
30	სვაჭრო დებიტორული დავალიანება	96,870		119,340
31	სხვა დებიტორული დავალიანება	12,748		13,982
32	გდხდილი ავანსი	11,295		10,800
40	მიმდინარე ანგარიში ბანკში		16,587	12,180
45	მცირე საღარო	1,000		1,000
50	სვაჭრო კრედიტორული დავალიანება		158,605	- 189,730
51	გაყიდვების გადასახდი		-	-
52	სახელფასო გადასახდი		27,615	- 32,400
53	კორპორაციული გადასახდი		12,305	- 27,200
55	დარიცხვები		13,290	- 12,036
60	სააქციო კაპიტალი		100	- 100
65	მოგებისა და ზარალის ანგარიში		162,766	- 54,156
70	ამონაგები		2,660,480	- 3,055,725
75	შესყიდვები	2,035,204		2,172,117
76	საწყისი მარაგი	185,700		167,821
77	საბოლოო მარაგი		229,045	- 185,700
80	ხელფასის ხარჯები	357,757		400,200
81	იჯარა	60,000		60,000
82	ქონების გადასახდი და წყალი	22,225		21,250
83	სინათლე და გათბობა	19,928		22,173
84	დასუფთავება	6,293		6,008
85	რეკლამა	11,718		7,500
86	შეკეთება და მოვლა-შენახვა	8,045		9,900
87	ფოსტის, საკანცელარიო და რეკლამის ხარჯი	9,559		11,022
88	ტელეფონი	7,605		11,570
89	მგზავრობის ხარჯები	4,705		8,395
90	უსაფრთხოება	9,765		11,250
91	ამოუღებელი დებიტორული დავალიანება	3,000		5,040
92	პროფესიული საზღაური	4,561		6,875
93	ბუღალტერია	3,000		3,000
94	სხვადასხვა ხარჯები	2,461		1,883
95	ცვეთა	10,090		29,613
96	მოგება / ზარალი გასვლიდანა	2,110		
97	პროცენტი	496		
99	გადასახადი	12,305		27,200
101	დივიდენდი	50,000		150,000
		<u>3,354,283</u>	<u>3,354,283</u>	<u>0</u>

დამკვეთი: მენ ოფ მუურგით (ხანადუ) ლიმიტიდ
პერიოდი: 20X7 წ. 30 ივნისი

პროგრამა მოამზადა: გ.პ.რ.	თარიღი: 18/9/17
გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას: პ.ა.რ.	თარიღი: 3/2/18

ნომინალური საბუღალტრო წიგნი

ზოგადი

1. აუდიტის ფაილის თითოეული ნაწილით უნდა დადასტურდეს, რომ მიმდინარე წლის ციფრები შეესაბამება საცდელ ბალანსს, ხოლო შესადარისი ციფრები შეესაბამება წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესაბამის ციფრებს. დარწმუნდით, რომ ზემოთ აღნიშნული პროცედურები სათანადოდ განხორციელდა.
2. საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი ციფრების გადაანგარიშების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ ციფრები ანოტირებულია და გადაანგარიშება მოხდა ქვემოთ მოცემული რამდენიმე მიზეზიდან ერთ-ერთთან დაკავშირებით:
 - სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ცვლილების გამო (სააღრიცხვო შეფასებების საპირისპიროდ)
 - არსებითი შეცდომის გამო;*
 - რეკლასიფიკაციის გამო, წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდების ციფრების შესადარისობის მიზნით.

*დამკვეთთან განიხილეთ წინა პერიოდის (პერიოდების) შეცვლილი ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ალტერნატივა და განიხილეთ, არსებითი შეცდომის აღმოჩენით დგება თუ არა ეჭვის ქვეშ წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის სამუშაოს ხარისხი.

3. მიმოიხილეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ საწყისი ნაშთები სწორადაა გადმოტანილი და დამკვეთმა სწორად დაამუშავა წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტორული ჟურნალის კორექტირებები.

მოცულობა	მინიმუმება	ინიციალები/თარიღი
დადასტურებულია		ს.ჯ.
No such restatement		ს.ჯ.
დადასტურებულია		ს.ჯ.
დადასტურებულია	PAF: B1	ს.ჯ.
Sufficient evidence obtained through scrutiny		ს.ჯ.
	U8	ს.ჯ.

ჟურნალები

4. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში ასახულია, თუ როგორ იყენებს კლიენტი ჟურნალებს.
5. ჩაატარეთ დამკვეთის საჟურნალო სისტემის „თავიდან ბოლომდე გავლის“ ტესტი (ეს უნდა მოიცავდეს ფაქტობრივ ოპერაციასა და მასთან დაკავშირებულ კონტროლს).
6. შეადარეთ ნომინალური წიგნიდან აღებული ჟურნალთა შერჩევითი ერთობლიობა ჟურნალების ფაილს ან მსგავს დოკუმენტაციას და პირიქით.

ჟურნალები (გაგრძელება):

7. შეარჩიეთ ჟურნალების შერჩევითი ერთობლიობა, მათ შორის, ყველა მუხლი, რომელიც აღემატება სამუშაო არსებითობას და სხვა ჟურნალების შემთხვევითი შერჩევით, შეადარეთ დამხმარე დოკუმენტაციას, მათი სიზუსტის დასადასტურებლად. დარწმუნდით, რომ შერჩევით ერთობლიობაში შედის მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამუშავებული ჟურნალები, ასევე, ჟურნალები, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

დარწმუნდით, რომ ეს სამუშაო არ ახდენს ფაილის სხვა ნაწილში გაჩეული მუშაობის დუბლირებას, მაგალითად, ყველა სახელფასო აღრიცხვის ჟურნალი შეიძლება შემოწმებულ იქნას ანაზღაურების შესახებ ჟურნალის მეშვეობით, და ცვეთის ჟურნალები შესაძლოა უკვე განხილულია ფაილის გრძელვადიანი აქტივების ნაწილში შესრულებული სამუშაოს მეშვეობით.

დამხმარე ანგარიშები

8. გადაამოწმეთ დამკვეთის დამხმარე ანგარიშები (მათ შორის, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნულოვანი ნაშთის მქონე ანგარიშები) ჩანაწერების სათანადოდ გადანაწილების მიზნით.

9. განიხილეთ, შემოწმდა თუ არა სათანადოდ დამხმარე ანგარიშები ან მათი გამოყენება ხომ არ ავლენს დამკვეთის სააღრიცხვო სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან სისუსტეს, რომელიც მოითხოვს დამატებით აუდიტორული პროცედურების ჩატარებას ან ხელმძღვანელობის წერილში ასახვას სათანადოდ ჩამოყალიბებული ტექსტით.

ნომინალური წიგნისა და საცდელი ბალანსის ძირითადი ტექსტი

თუ დამკვეთი სააღრიცხვო სისტემას ხელით აწარმოებს ან არსებობს ეჭვი კომპიუტერული სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს შემდეგი ტექსტები:

მოცულობა	მინიმუმი	ინიციალები/თარიღი
	U8	ს.ჯ.
	U8	ს.ჯ.
	U8	ს.ჯ.

10. შეამოწმეთ საცდელი ბალანსის გამოთვლები.

11. შერჩევითი ერთობლიობისთვის გამოითვალეთ ნომინალური წიგნის რამდენიმე ანგარიში.

სხვა ტესტები

12. განიხილეთ, საჭიროა თუ არა დამატებითი ტესტების ჩატარება უდიტის მიზნების მისაღწევად.

მენ ოფ მუურგეით (ხანადუ) ლიმიტიდ
20X7 წ. 30 ივნისს დასრულებული წელი

ს.ჯ. 20/10/X7
ვ.პ.რ.12/11/X7

დამკვეთის ჟურნალების, დამხმარე ანგარიშებისა
და სააღრიცხვო შეფასებების განხილვე

მიზანი

იმის უზრუნველყოფა, რომ ჟურნალები წარმოადგენდნენ სამართლიან შესწორებებს და წინა წლების სააღრიცხვო შეფასებები რეალისტური იყოს.

მეთოდი

დევიდ მენგტონთან განხილულ იქნა საჟურნალო გატარებებზე კონტროლი და ჟურნალების სახეები.

მოიპოვეთ დამკვეთის ჟურნალები და მიმოიხილეთ, რათა დაადგინოთ რა სახის ჟურნალების გადატან ხდება და სამართლიანადაა თუ არა ისინი შედგენილი. გაითვალისწინეთ ასს 240-ში მოცემული კრიტერიუმები, რომლებმაც შეიძლება გვიჩვენოს, რომ ჟურნალები უფრო მაღალი რისკის შემცველია, კერძოდ:

- ჟურნალები, რომლებიც მოიცავს დაუკავშირებელ, უჩვეულო ან იშვიათად გამოყენებულ ანგარიშებს;
- ჟურნალს აწარმოებს პირი, რომელიც, როგორც წესი, საჟურნალო გატარებებს არ აკეთებს;
- ჟურნალებში ჩანაწერები კეთდება პერიოდის დასრულებისას, ახსნის გარეშე;
- დამრგვალებული ჯამის მქონე ჟურნალები, ან ჟურნალები, სადაც ბოლო ციფრები მეორდება.

როდესაც ჟურნალები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს და საკმარის ტექსტურ ახსნას არ შეიცავენ, მოიცავენ დამხმარე ანგარიშს ან სხვაგვარად უჩვეულოდ ჩანს, შეამოწმეთ ნომინალურ წიგნში გადატანა, მიმოიხილეთ სხვა დაკავშირებული ჟურნალები და გატარებები შეადარეთ ხელმისაწვდომ პირველად დოკუმენტებს.

ჩვენი აუდიტის სამუშაოს შესრულებისას ჩვენ ვუზრუნველყავით, რომ ყველა მნიშვნელოვანი ჟურნალი, რომელიც ასახულია ნომინალურ წიგნში, ასახულიყო დამკვეთის ჟურნალების სიაში.

შედეგები

სააღრიცხვო სისტემა პაროლით არის დაცული და დევიდ მერინგტონია ერთადერთი პირი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ჟურნალები.

დამუშავებული ჟურნალები, როგორც წესი მოიცავს ყოველთვიურ შესწორებებს ცვეთის, ხელფასების, დარიცხვებისა და გადახდილი ავანსებისთვის. ესენი დაბალი რისკის შემცველადაა მიჩნეული და

ძირითადად ფაილის C, F, I და R ნაწილებში განხორციელდა მათი ტესტირება.

დეტალური ტესტებით გამოვლინდა შემდეგი ჟურნალები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა:

ჟურნალის აღწერა	ახსნა	აუდიტის საამუშაო
20X6 წ. 12 დეკემბერი – თანხა, ფ.ე.156.86 დაკრედიტდა შესყიდვის საკონტროლო ანგარიშზე და დადებულა ხარჯები.	ეს დკავშირებულია ევროკავშირის სამეწარმეო კანონმდებლობის წიგნების შესყიდვასთან „სტელიოს ფრანცაისგან“. შეძენა ევროში განხორციელდა და ანგარიშსწორების შემდეგ გამოვლინდა სავალუტო სხვაობა, რომელიც მოგებაში იქნა გადატანილი.	დადასტურდა, რომ სხვაობა წარმოადგენს ხანადუს ფ.ე.-ში ანგარიშ-ფაქტურის თარიღით გადაყვანილ ანგარიშ-ფაქტურის თანხასა და შემდგომ გადახდას შორის სხვაობას. რადგან თანხა ძალიან უმნიშვნელოა, სხვა ხარჯების დებეტში გატარება არ ასახულა Aa11-ში.

ყველა გამოვლენილი ჟურნალი წარმოადგენს „ჩვეულებრივ“ თვის ბოლოს შესწორებებს და ჩვენს მიერ ფაილის C/F/I/R ნაწილებში შესრულებული სხვა სამუშაოს ფარგლებში იქნა მოცული. დევიდ მერინგტონის წლის ბოლოს პროცედურებში რაიმე უჩვეულო შესწორება არ გამოვლენილა.

ჩვენ მიმოვიხილეთ ნომინალური წიგნი და არ გამოგვივლენია რაიმე ჟურნალი, რომელიც ასახული არ არის აღნიშნულ სიაში.

ადრინდელი სააღრიცხვო შეფასებების გათვალისწინება

წინა ერიოდებში არ ყოფილა მნიშვნელოვანი ან უჩვეულო სააღრიცხვო შეფასებები. თუმცა, ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მცირე ზარალი და ფაქტი, რომ ვალები, რომლის ანარიცხი შეიქმნა წინა წელს მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ანაზღაურებადი არ არის, მიუთითებს, რომ დამკვეთის სააღრიცხვო სისტემა სწორი და მიუკერძოებელია.

დასკვნა

შესრულებული სამუშაოს საფუძველზე ჩანს, რომ დამკვეთის ჟურნალები სამართლიანია და სწორდაა აღრიცხული.